ეროვნული ბიბლიოთეკა

№089
(12 159)

18 აპრილი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

# ყველაფერი უკვე გარკვეულია, შარშანდელი ფინალი მეორდება



საქართველოს თასი.
ნახევარფინალის პირველი მატჩები

**ამერი 3**
**სიონი 0**

საპასუხო მატჩები 1 მაისს. ფინალი 26 მაისს

**ზესტაფონი 4**
**ბათუმი 0**

გუშინ გლდანში. ამერი-სიონი. კახა ცხადაძის (ქვედა ფოტოზე) ბოლო მატჩი ბოლნისურ გუნდში

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები



## სიონის მწვრთნელი თამაშის შემდეგ გადადგა

ჩოგბურთი. ფედერაციის თასი.
საქართველო-პორტუგალია 1:0

### თამაში წვიმის გამო გადაიდო



11

პირველი ქულა ოქსანა კალაშნიკოვამ მოგვიტანა



რაგბი. საქართველოს ნაკრები

### ნიკოლა ფულკიე, ბორჯღალოსანთა ფიზმომზადების მწვრთნელი

11

ფეხბურთი. დღეს იტალიის
ჩემპიონატის მორიგი ტური

### ინტერს სკუდეტოს განაღდება შეუძლია

6



ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა
www.pfl.ge

დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის ყაზბეგის გათამაშება VII

www.pfl.ge
ნახევარფინალი I მატჩები

# სიონისთვის ყველაფერი დასრულდა

**ამერი-სიონი 3:0**

17.04. თბილისი. ამერი
1000 მაყურებელი

საპასუხო მატჩი 1 მაისს

1:0 დოლიძე (8. ბოლქვაძის პასით), 2:0 წინამძღვრიშვილი (46. ელბაქიძის პასით), 3:0 წინამძღვრიშვილი (60. პენ.)

ამერი: ქვაჩახია – დიდავა, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე – დოლიძე (86. მჭედლიშვილი), ბოლქვაძე (41. ჯელაძე), დობროვოლსკი, დეკანოსიძე – დავითაშვილი, წინამძღვრიშვილი (68. ტატანაშვილი)

*სათადარიგოები:* ნადირაშვილი, ხვადაგიანი, გაბისკირია, ჩიმაკაძე

სიონი: მამალაძე - ექონია, ლ. ჭელიძე, ორბელაძე, რაქვიაშვილი – სილაგაძე (30. ბაჯელიძე), სანიკიძე, ბაბუნაშვილი, კორღალიძე (46. ალავიძე), დარასელია - ჩასემი (63. ბ. ცხადაძე)

*სათადარიგოები:* გავაშელი, კობაური, ბოიომო, უგრეხელიძე

გაფრთხილება: დიდავა (73)

მსაჯი: ლ. ფანიაშვილი



დოლიძემ (22) ანგარიში ამ დარტყმით გახსნა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

„ამერსა“ და „სიონს“ შორის გასულ პარასკევს სულ სხვანაირი შინაარსის მატჩი გაიმართა. მაშინ ბოლნისელებმა (თანაც, არაოპტიმალური შემადგენლობით) საკმაოდ ნორმალური შთაბეჭდილება დატოვეს, რამდენიმე საგოლე მომენტი გაანიავეს და მარცხისმომტანი გოლი შეხვედრის მიწურულსღა გაუშვეს. სავსებით ლოგიკური იქნებოდა, ამგვარი დაძაბულობის განმეორება გვევარაუდა, მაგრამ გუშინ დავრწმუნდით, რომ ამ ორი გუნდის დონეს შორის საგრძნობი სხვაობაა. აშკარად გამოჩნდა, რომ პარასკევის მატჩში „ამერს“ შესაძლებლობათა ნახევარიც არ უჩვენებია, სტუმრებს კი ამ ფაქტმა ოპტიმისტური ილუზია შეუქმნა.

ანგარიში ყველაფერზე ნათლად მეტყველებს, გლდანელებმა მეტოქე ყველა კომპონენტში დაჯაბნეს. განსაკუთრებით თვალშისაცემი მაინც მასპინძელთა უკეთესი ფიზიკური მომზადება და შესაშური შეთამაშება იყო. ამერელები ერთმანეთს უსიტყვოდ უგებდნენ, სიონელები კი პირიქით, ძალზე იშვიათად ახერხებდნენ გააზრებული კომბინაციის განხორციელებას.

**ჩიხრაძის** შეგირდებმა გადამწყვეტი უპირატესობა მოედნის ცენტრში მოიპოვეს. **ბოლქვაძემ** და დისკვალიფიკაციამოხდილმა **დობროვოლსკიმ** უდიდესი მოცულობის სამუშაო შეასრულეს, თითქმის უშეცდომოდ იმოქმედეს სხვა ამერელებმაც. აღნიშვნის ღირსია **გიორგი დეკანოსიძეც**, რომელმაც ტრავმა სულ ახლახან მოიშუშა და სწრაფი ტემპით უახლოვდება ოპტიმალურ ფორმას.

მოკლედ, გუშინ „ამერის“ დღე იყო, თასის მფლობელებს ყველაფერი გამოსდიოდათ.

მერვე წუთზე „ამერის“ შეტევათა ერთ-ერთი სულისჩამდგმელმა **გრიგოლ დოლიძემ** პირველად იაქტიურა და გოლიც გავიდა. მან „სიონის“ დაცვის მარცხენა ფლანგი ჩვეული სისწრაფით გაარღვია, შემდეგ ბურთს ბოლქვაძე დაეუფლა და ისევ დოლიძეს გადააწოდა, რომელმაც უძლიერესი დარტყმით **მამალაძეს** ბურთი ფეხებშუა გაუძვრინა – 1:0.

სტუმრებმა მდგომარეობის გამოსწორება სცადეს, მაგრამ ბევრი არაფერი გამოსდიოდათ. „სიონის“ რიგებში ყველაზე შესამჩნევი **დარასელია** იყო, რომელიც აქტიურად კი ცდილობდა შეტევების გამწვავებასა და თანაგუნდელების აყოლიებას, მაგრამ მთლიანობაში, ამერელებმა ბოლნისელთა ლიდერი და კაპიტანი საფუძვლიანად გაანეიტრალეს.

მე-15 წუთზე „ამერმა“ რეალური საგოლე შანსი გაუშვა ხელიდან. დობროვოლსკის გამოზომილი დარტყმა მამალაძემ მოიგერია, დეკანოსიძემ ზუსტად დაამატა, მაგრამ არბიტრმა თამაშგარე დააფიქსირა. სიტყვამ მოიტანა და **ლევან ფანიაშვილმა** მატჩს თავი მაღალ დონეზე გაართვა, მას ერთი სერიოზული შეცდომაც კი არ დაუშვია.

პირველი ტაიმის მიწურულს დავით ბოლქვაძე მეტოქეს შეეჯახა და ფეხი დაიზიანა. გამორჩეული ამერელი თამაშის გაგრძელებას კი შეეცადა, მაგრამ ორიოდ წუთში იძულებული გახდა, მოედანი დაეტოვებინა.

ამასობაში, „ამერმა“ კიდევ ერთი ხელსაყრელი სიტუაცია ვერ გამოიყენა. დეკანოსიძის შესანიშნავი პასით, **დავითაშვილი** მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ რიგიანად ვერ დაარტყა და „სიონი“ მამალაძემ გადაარჩინა.

ბოლნისელთა იმედები მეორე ნახევრის დაწყებისთანავე შემცირდა. თამაში წამების განახლებული იყო, წინამძღვრიშვილმა **ელბაქიძის** გამოზომილი პასი რომ მიიღო და მოჭრილი ცაციათი ბურთი მეკარისგან შორეულ კუთხეში გადაგზავნა – 2:0.

„სიონი“ არ ნებდებოდა, მაგრამ „ამერის“ უპირატესობა კვლავ მყარი იყო. დროის გასვლასთან ერთად, ჩიხრაძის შეგირდებს დაღლა ნაკლებად ეტყობოდათ, მაშინ როცა მეტოქეს მაღალი ტემპის გაძლება უჭირდა.

შეცვლაზე შესული **ჯელაძე** თამაშში კარგად ჩაერთო, მისი ერთ-ერთ გარღვევა სიონელებმა წესების დარღვევით შეაჩერეს. პენალტი წინამძღვრიშილმა უნაკლოდ შეასრულა და ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი კატასტროფის წინაშე დააყენა.

ამას დეკანოსიძის ეფექტური შორეული დარტყმა მოჰყვა, რომელიც ხარიხას მოხვდა. ბოლო ათ წუთში „ამერმა“ დაცვა საგულდაგულოდ გაამაგრა, „სიონმა“ ამ პერიოდში ერთადერთი საგოლე მომენტი შექმნა - **ბაჩანა ცხადაძემ** ძელს გაარტყა.

„სიონს“ ფინალში სასწაული თუ გაიყვანს, ასეთი სასწაულები კი ათასში ერთხელ ხდება. „ამერმა“ ზედიზედ მეორე ფინალისკენ ნაბიჯი დამსახურებულად გადადგა და დაამტკიცა, რომ სადღეისოდ „სიონზე“ ბევრად უკეთესი გუნდია.

საქართველოს ჩემპიონთათვის კი სეზონი, ფაქტობრივად, დასრულებულია, ასეთი დასასრული კი ნებისმიერი ამბიციური გუნდისთვის ფიასკოა. ბოლნისელებს ისღა დარჩენიათ, წარუმატებლობის მიზეზები გააანალიზონ, ამოცანები მომავალი სეზონისთვის დაისახონ და რაც მთავარია, ახალი მწვრთნელი ეძიონ.

**გიორგი ჩიხრაძე** („ამერი“): *„ჩემი ფეხბურთელებით კმაყოფილი ვარ, მათ ყველა დავალებას თავი კარგად გაართვეს. რამდენიმე გამოუყენებელი მომენტის მიუხედავად, ჩემმა გუნდმა დასახულ ამოცანას თავი კარგად გაართვა. გულშემატკივრებს მხარდაჭერისთვის მადლობას ვუხდი. 3:0-ის მიუხედავად, განმეორებით მატჩშიც სრული მობილიზება გვმართებს“.*

**ლევან ჯანეზაშვილი**



კახა ცხადაძე

## ცხადაძე გადადგა

*„დღეს ვიხილეთ ერთი მხრივ, ერთ მუშტად შეკრული, მობილიზებული, სწორად მოთამაშე გუნდი, მეორე მხრივ კი ყოვლად უსახური და უმოტივაციო გუნდი. ჩემი მწვრთნელობის პერიოდში „სიონს“ ასე საშინლად არ უთამაშია. პასუხისმგებლობას მეც ვგრძნობ, ვფიქრობ, ამ კლუბში საკუთარი თავი ამოვწურე, ამიტომაც დღეიდან „სიონის“ მწვრთნელი აღარ ვარ. გადადგომა პირველი ტაიმის მერე გადავწყვიტე“*, - განაცხადა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე **კახა ცხადაძემ**.

ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია. მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონის მსვლელობისას, ცხადაძის „სიონიდან“ წასვლაზე ხშირად საუბრობდნენ. მის შემცვლელზე ჯერ არაფერს ამბობენ, სავარაუდოდ, სეზონის ბოლომდე გუნდს **გიორგი ყიფშიძე** უხელმძღვანელებს.

შეგახსენებთ, ცხადაძემ „სიონი“ 2006 წლის დასაწყისში ჩაიბარა. მისი ხელმძღვანელობით, ბოლნისელები არსებობის მანძილზე პირველად გახდნენ საქართველოს ჩემპიონები. ამ სეზონში კი „სიონი“ არასტაბილურად ასპარეზობს და ევროტურნირებზე გასვლის შანსი, ფაქტობრივად, დაკარგა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## რატი წინამძღვრიშვილი: პირველმა გოლმა სიონი დაშალა

**"ამერი"-"სიონის" მატჩის ერთ-ერთი გმირი რატი წინამძღვრიშვილი იყო. მეორე ტაიმის დასაწყისშივე მეორე ულამაზესი ბურთი გაიტანა და ბოლნისელები, ფაქტობრივად, ნელში გატეხა. მერე ამას პენალტით გატანილი ბურთიც დაუმატა და "ამერი" უკვე ცალი ფეხით ფინალშია.**

**- რატი, თავიდან ბოლნისელები საკმაოდ კარგად გამოიყურებოდნენ. შენი აზრით, რა იყო გადამწყვეტი ეპიზოდი?**

- ჩვენი პირველი გოლი, რომელმაც ბოლნისელები გახსნა და აიძულა, შეტევებში წასულიყვნენ. დღეს ბიჭები ისეთი შემართულები ვიყავით, შეუძლებელი იყო, არ მოგვეგო. მეორე გოლის შემდეგ კი მივხვდით, "სიონი" ველარაფერს მოახერხებდა.

**- მეორე გოლის დროს კარს ხედავდი?**

- არა, ზურგით ვიდექი, მაგრამ ინტუიციით მივხვდი, საით უნდა დამერტყა.

**- დღევანდელი შეხვედრის შემდეგ შეგიძლია თქვა, რომ "სიონი" ფინალშია?**

- ძალიან ძნელი სათქმელია. 3:0 ერთი შეხედვით, საქმის დამთავრებას ნიშნავს, მაგრამ მეორე მხრივ, ყველას კარგად ახსოვს "მილანი"-"ლივერპულის" ფინალი, როდესაც ანალოგიურ ანგარიშის მიუხედავად, მეორე ტაიმში ინგლისელებმა თამაშის შემოტრიალება მოახერხეს. ბოლნისში კი მთელი 90 წუთი დაგვრჩა სათამაშო და მაინც არ მოვეშვებით. წესით, ხელი ვერაფერმა უნდა შეგვიშალოს და ფინალში აუცილებლად უნდა გავიდეთ.



წინამძღვრიშვილის გატანილმა პენალტმა საბოლოო ანგარიში დააფიქსირა

**- საბჭოთა ფეხბურთში იყო სათასო გუნდად მონათლული დონეცკის "შახტიორი". საქართველოში ასეთად "ამერი" ყალიბდება.**

- ასეც არაა საქმე. გამარჯვება ჩემპიონატშიც გვსურდა, თავიდან კარგადაც მივდიოდით, მაგრამ რამდენიმე ქულა უაზროდ დავკარგეთ და რეალურად პირველობის შანსი დავკარგეთ. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ჩემპიონატს მნიშვნელობას აღარ ვანიჭებთ. წარმატება არც თასზე გვაწყენს და არც ჩემპიონატში.

**მერაბ მამულაშვილი**

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

# ზესტაფონმა ფინალი გაინაღდა

**ზესტაფონი-ბათუმი**

**4:0**

17.04. თბილისი. ამერი მაყურებელი

**საპასუხო მატჩი 1 მაისს**

1:0 კვასხაძე (4. იონანიძის პასით), 2:0 ფიფია (9), 3:0 ფიფია (20), 4:0 იონანიძე (66. კვასხაძის პასით)

ზესტაფონი: ქანტურია — საჯაია, ლონლაძე, ონიანი, თოდუა – კ.ჩხეტიანი (77.ნოზაძე), კესანი, ვიეირა (82.სანაია), კვასხვაძე- ფიფია, იონანიძე (68.ჟონატასი)

*სათადარიგოები: რ.კვასხვაძე, დოს სანტოსი, გ.ჩხეტიანი, გოცირიძე*

ბათუმი: სომხიშვილი – თედორაძე, გალოგრე, ლობჟანიძე – შალამბერიძე (55.ბეჟანიძე), ნერგაძე, დუმბაძე, ტულუში (50.კუნჭულია), დარჩიძე, ბაჯელიძე (38.კერესელიძე), კვარაცხელია

*სათადარიგოები: ბექტაშვილი, ფარტენაძე, ბაციკაძე, მაკარიანი*

გაფრთხილება: დუმბაძე (8), დარჩიძე (35), საჯაია (72), კვარაცხელია (75), ვიეირა (79)

არბიტრი: ლაშა სილაგავა



ზესტაფონი-ბათუმის წყვილში ფინალისტის ვინაობა, ფაქტობრივად, გარკვეულია

მამუკა კაკაურიძის ფოტო

ჩემპიონატის მე-19 ტურში ზემოიმერლებმა საკუთარ მოედანზე „ბათუმი" 4:0 დაამარცხეს და სათასო მატჩის წინ კარგი რეპეტიცია გაიარეს. მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ ის მატჩი მართლაც რეპეტიცია გამოდგებოდა და „ზესტაფონი" „ბათუმს" თასის ნახევარფინალშიც ამ ანგარიშით გაანადგურებდა. მართალია, წყვილში მასპინძლები უდავო ფავორიტები იყვნენ, მაგრამ თასს სხვაგვარი სპეციფიკა ახასიათებს, ერთ მატჩს ყველა თამაშობს და იქ ნებისმიერი გუნდი სახიფათოა. თანაც, მეორე წრეში „ბათუმი" საკმაოდ მოფერიანებულია და წინასწარ მისი ჩამოწერა არ შეიძლებოდა. მოკლედ, საინტერესო და დაძაბული ორთაბრძოლის მოლოდინში ვიყავით, მაგრამ „ზესტაფონმა" იმდენად კარგად ითამაშა, სტუმრებს წინააღმდეგობის გაწევის შანსიც არ დაუტოვა და საქმე პირველ 20 წუთში მოუთავა. თუმცა, აჯობებს, მოვლენებს თანმიმდევრობით მივყვეთ.

თასის ნახევარფინალურმა მატჩმა ზესტაფონში დიდი ინტერესი გამოიწვია. გულშემატკივრებს მზიანმა ამინდმაც შეუწყო ხელი და ცენტრალური სტადიონი ბოლომდე გადაიჭედა. შეხვედრას საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი **პეტარ სეგრტიც** დაესწრო, რომელსაც გვერდს „ზესტაფონის" პრეზიდენტი **ილია კოკაია** უმშვენებდა. მასპინძელთა გუნდის თამაშით ალბათ ორივე კმაყოფილი დარჩებოდა. 7000-მდე მხარდამჭერით გაგულიანებულმა ზესტაფონელებმა მეტოქე პირველსავე წუთებში შეავიწროეს და სწრაფი გოლის გატანაც მოახერხეს: მე-4 წუთზე **ჩხეტიანმა** მეტოქის საჯარიმოში მაღალი ბურთი ჩააწოდა, **იონანიძემ** მარჯვენა ფლანგიდან შეჭრილ **კვასხვაძეს** თავით დაუგდო ბურთი და ნიკამაც ახლოდან, თუმცა საკმაოდ მახვილი კუთხიდან დაარტყა და ბათუმელთა კარის შორეულ კუთხეში მოათავსა ბურთი - 1:0. ხუთიოდე წუთში მასპინძლებმა მეორე გოლიც გაიტანეს: კახა ჩხეტიანმა კვლავ მარცხენა ფლანგიდან ჩაკიდა მაღალი ბურთი, რომელსაც კვასხვაძემ თავური დარტყმა მიაყოლა, ბურთი ხარიხამ აისხლიტა, გამოვარდნილ ბურთთან პირველი **გოგა ფიფია** გაჩნდა და თავით დალაშქრა **სომხიშვილის** კარი.

ზესტაფონელთა შეტევები კიდევ უფრო აგრესიული გახდა. მასპინძლები განსაკუთრებით ფლანგებზე აქტიურობდნენ. მარჯვნივ ახალგაზრდა ნიკა კვასხვაძე ბრწყინავდა, მარცხნივ **ვიეირა** და ჩხეტიანი აწიოკებდნენ მეტოქეს, კარგი იყო გაბონელი ლეგიონერი **პოლ კესანიც**, რომელიც ცენტრის ბატონ-პატრონი გახლდათ. ბათუმელთა კარს მწვავედ უტევდნენ ფიფია და იონანიძე. ზესტაფონელთა მონდომებამ მე-20 წუთზე კიდევ ერთხელ გამოიღო ნაყოფი. ვიეირამ გრძელი გადაცემით მარჯვენა ფლანგზე გადაიტანა ბურთი, კვასხვაძემ თავით იონანიძეს დაუგდო, იონას დარტყმამ ხარიხა შეაზანზარა. მის მიერ უკუგდებულ ბურთთან პირველი კვლავაც ფიფია გაჩნდა და ამჯერად ფეხით დალაშქრა ბათუმელთა კარი - 3:0

სტუმრებმა გონს მოსვლა მხოლოდ ტაიმის ბოლოსღა შეძლეს და 38-ე წუთზე პირველად დაარტყეს კარის მიმართულებით, თუმცა **ნერგაძის** გასროლილი სამიზნეს დიდი მანძილით ასცდა. **ამირან გოგიტიძემ** იქვე პირველ ცვლილებას მიმართა, **ბაჯელიძის** ნაცვლად მოედანზე **კერესელიძე** გამოიყვანა და თავდასხმაში **კვარაცხელიას** შეუწყვილა. სტუმართა მწვრთნელის მიზანი გასაგები გახლდათ, ბათუმელებს სტუმრად ერთი გოლის გატანა მაინც უნდა მოეხერხებინათ, რათა ფინალში გასვლის მცირეოდენი შანსი შეენარჩუნებინათ, თუმცა ზესტაფონელები იმდენად უშეცდომოდ თამაშობდნენ, სტუმრებმა მთელი მატჩის განმავლობაში ერთი საგოლე მომენტიც კი ვერ შექმნეს.

მეორე ნახევარი მასპინძლების იერიშებით განახლდა. 48-ე წუთზე იონანიძის დარტყმა კარის ხაზიდან **ბეგლარ თედორაძემ** გამოიტანა. 51-ე წუთზე კი იონანიძის გადაცემის შემდეგ მცველების გარემოცვაში მყოფი ფიფია ახლო მანძილიდან ურტყამდა, თუმცა მეკარემ იმარჯვა. „ბათუმი" მეოთხე გოლს მაინც ვერ გადაურჩა: 66-ე წუთზე ფიფიამ ფლანგზე გაჭრილ კვასხვაძეს შეუყოლა ბურთი, ნიკა მცველებს გაექცა და მეტოქის ბაქანთან დიაგონალური გადაცემა გაუკეთა იონანიძეს, რომელმაც დასწრებაზე ითამაშა და ძლიერი დარტყმით ლამაზი გოლი გაიტანა - 4:0. ფინალისტის ბედი თითქმის გარკვეული იყო. ოღონდ, ზესტაფონელებს საკუთარ კარში არ უნდა მიეღოთ ბურთი. ამის შანსი კი მეტოქისთვის მათ ერთხელაც არ მიუციათ. პირიქით, **თემურ მახარაძის** შეგირდებს კიდევ არაერთხელ შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა. 78-ე წუთზე ფიფიამ ოსტატურად შეასრულა საჯარიმო, სომხიშვილმა მხოლოდ ბურთისთვის თვალის გაყოლება მოახერხა, თუმცა სტუმრები ძელმა იხსნა. 89-ე წუთზე შეცვლაზე შემოსულ **ჟონატასსაც** შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ მისი დარტყმა მცველებმა კარის ხაზიდან გამოიტანეს. ბოლოს კესანმა და კვასხვაძემ გაისროლეს და მატჩიც დასრულდა. ზესტაფონმა ღირსეული გამარჯვება მოიპოვა და ფინალში გასვლა, ფაქტობრივად, გაინაღდა. რაღაც სასწაული უნდა მოხდეს, იმერლებმა თასის ფინალში ზედიზედ მესამედ რომ არ ითამაშონ.

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

ეროვნული ნაკრები

## კლაუს ტოპმიოლერი:

# ამ კაიზერის გაწვრთნას მტერსაც არ ვუსურვებ!

### ტოპიმ გერმანელებს გააგებინა, რომ საქართველოდან წასვლას არ აპირებს...

**კლაუს ტოპმიოლერი** "კაიზერსლაუტერნის" ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია და შესაბამისად, არცაა გასაკვირი, საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცს "წითელ ეშმაკებზე" გული რომ შესტკივა. მას მერე, რაც პფალცური კლუბის ხელმძღვანელებმა **ვოლფგანგ ვოლფი** პოსტიდან გაათავისუფლეს, გერმანულ პრესაში არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "კაიზერის" ახალ მწვრთნელად ტოპი მოიაზრება. ჰერ კლაუსმა ეს ინფორმაცია არაერთგზის უარყო, თუმცა "შპორტ აინსის" კორესპონდენტთან საუბარში არ დამალა, რომ წარმოუდგენელი სულაც არაა, ოდესმე "ლაუტერნის" მწვრთნელი გახდეს. მაგრამ მხოლოდ "ოდესმე"... ამასთან, ტოპიმ ვოლფი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა.

*"გული მტკივა, როცა "კაიზერსლაუტერნზე" ვფიქრობ. ეს გუნდი ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. ვოლფის შემცვლელს ძალიან მძიმე სამუშაო ელის. გუნდი არეულია და სიმართლე გითხრათ, ამ კოლექტივის გაწვრთნას მტერსაც არ ვუსურვებდი. საქმე ისაა, რომ ვოლფმა "ლაუტერნში" ძალიან ბევრი არაფრისმაქნისი ფეხბურთელი მიიყვანა. ამასთან, ყველა უცხოელი! ნაცისტი რომ არ ვარ, ეს ყველამ იცის, უბრალოდ, ამდენ უცხოელ ფეხბურთელს გუნდში ინტეგრირება ძალიან უჭირს, რაც ნამდვილად არაა გასაკვირი. თანაც, ისინი ძალიან დაბალი დონის მოთამაშეები არიან. მაგალითად, ემეკა ოპარა - მე რომ ორი კვირა ვივარჯიშო, ამ ფეხბურთელზე უკეთ ვითამაშებ!"* - აცხადებს ტოპმიოლერი "რაინ-ნეკარ-ცაითუნგისთვის" მიცემულ ინტერვიუში.



კლაუს ტოპმიოლერი

კითვაზე, წარმოუდგენია თუ არა ტოპის საკუთარი თავი "ლაუტერნის" მწვრთნელად, ჩვენი გუნდის 55 წლის თავკაცი ასე პასუხობს: *"წარმოუდგენელი სულაც არაა, რომ ოდესმე გავწვრთნა გუნდი, რომელსაც ჩემს გულში უდიდესი ადგილი უკავია. ტყუილია ის, თითქოს ხელმძღვანელები დამიკავშირდნენ და მწვრთნელის თანამდებობა შემომთავაზეს. ასეც რომ იყოს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი მაკავშირებს და ვინც მიცნობს, ისიც ეცოდინება, რომ ხელშეკრულება არასდროს დამირღვევია."*

**გოტფრიდ ლენცი**

ინტერტოტო

# 23 აპრილს კენჭისყრაა

ყველაზეარაპრესტიჟული ევროტურნირი 23 ივნისს დაიწყება, კენჭისყრა კი უეფას შტაბბინაში 23 აპრილს მოეწყობა. ქართული კლუბი ასპარეზობაში პირველი წრიდან ჩაებმება. შეგახსენებთ, შარშან ინტერტოტოს ფორმატი შეიცვალა, გათამაშება სულ სამი წრისგან შედგება, თითოეულ ქვეყანას ერთი წარმომადგენელი ჰყავს.

საქართველოდან შარშან ინტერტოტოზე თბილისის „დინამომ" იასპარეზა, რომელმაც ერთი წრე გაიარა.

წლეულს ჩვენი გუნდის პირველი მეტოქე კი ამ ქვეყნებიდან ერთ-ერთის კლუბი იქნება: მაკედონია, ისლანდია, ბელარუსი, ირლანდია, ალბანეთი, სომხეთი, ესტონეთი, მალტა, უელსი, ჩრდილოეთი ირლანდია, ლუქსემბურგი, ყაზახეთი, ფარერები, ჩერნოგორია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



ვლადიმერ გუცაევი

საპრეზიდენტო არჩევნები

# გუცაევი ერთ კვირაში გადაწყვეტს

**ნოდარ ახალკაცმა** გუშინწინ საჯაროდ დააფიქსირა თავისი პოზიცია ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წინასაარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო. 13 მაისის არჩევნებისთვის პრეზიდენტობის კანდიდატთა დარეგისტრირების ბოლო ვადა 4 მაისია.

ეყოლება თუ არა კონკურენტი ნოდარ ახალკაცს და ან თუ ეყოლება რამდენი და ვისი სახით?

ახალკაცის ერთ-ერთ მეტოქედ **გიორგი ნემსაძეს** მიიჩნევენ. თუმცა ჩაერთვება თუ არა ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი და საკრებულოს წევრი საპრეზიდენტო ბრძოლაში, ჯერ კიდევ საეჭვოა. მისგან განსხვავებით **მამუკა კვარაცხელიას** ამისი დიდი სურვილი აქვს, მაგრამ ჯერ სუბიექტი ჰყავს მოსაძებნი, ვინც პრეზიდენტობის კანდიდატად წარადგენს. საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია ეროვნული ნაკრების ყოფილ თავკაცს, ამჟამად კი პარლამენტის წევრ **ვლადიმერ გუცაევს**. სხვათა შორის, გუცაევმა და ნემსაძემ, ორი წლის წინათ, 2005 წელს გამართულ ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებშიც წამოაყენეს საკუთარი კანდიდატურები, მაგრამ ბოლო მომენტში არჩევნებში მონაწილეობა აღარ მიიღეს.

*"მართალი გითხრათ, ჯერ კიდევ არ გადამიწყვეტია, მივიღებ თუ არა მონაწილეობას არჩევნებში. ვითარებას კიდევ ერთხელ ავწონ-დავწონი, ვნახავ, თუ ვინ წამოაყენებს კანდიდატურას. დრო ჯერ კიდევ არის, ყველაფერს ერთ კვირაში გადავწყვეტ"*, - "ლელოსთან" სატელეფონო საუბარში განაცხადა ვოვა გუცაევმა.

ფეხბურთის ფედერაციის კანდიდატების რეგისტრაცია გენერალურ სამდივნოში ხდება და ბუნებრივია პირველი ამას **უჩა უგულავა** შეიტყობს. გუშინდელი მონაცემებით რეგისტრაცია არც ერთ კანდიდატს არ გაუვლია.

რაც შეეხება უეფას დამკვირვებელს, მას უეფა შეარჩევს. ორი წლის წინათ, ისევე როგორც 2002 წელს, ასეთი მალტის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და უეფას აღმასკომის წევრი **ჯოზეფ მიფსუდი** იყო.

**დავით ცაბაძე**




21..04.2007 - 21-ე ტურის გათამაშების ცხრილი

ვიტ ჯორჯია-ბორჯომი
ოლიმპი-ჩიხურა
მერანი-დინამო(ბთ)
ლოკომოტივი-დინამო(თბ)
ზესტაფონი-დილა
კახეთი-ამერი
სიონი-ტორპედო
მესხეთი-მგლები
სამტრედია-მეშახტე
ნალჩიკი-ლოკომოტივი
კრივბასი-მეტალისტი

ინტერვიუ პეტარ სეგრტთან

# კლაუსი ერთს ფიქრობს: წინ სამხრეთი აფრიკისკენ

**ახალგაზრდული** ნაკრების მწვრთნელი პეტარ სეგრტი ამავე დროს ნაკრების დამკვირვებელია. მეტოქეების შესწავლა ევალება და ამ მიზნით უკრაინა-ლიტვის ეროვნული ნაკრებების მატჩსაც დაესწრო. თანაც მუდმივად თბილისში ცხოვრობს, ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელებს აკვირდება და ინფორმაციას აწვდის სანაკრებო შტაბს.

პეტარ სეგრტს გუშინწინ შევხვდით და არაერთ საინტერესო საკითხზე ვესაუბრეთ. ის უკვე შეუდგა გუნდის მზადებას ახალი შესარჩევი ციკლისთვის, რომელიც 5 ივნისს აიღებს სტარტს. საუბარი სწორედ ამ თემით დავიწყეთ...

**- თურქულ შეკრებაზე რა წარმოდგენა შეგექმნათ იმ კონტინგენტზე, რომელთანაც მუშაობა მოგიწევთ?**

- ეს შეკრება იმ პერიოდში მოეწყო, როცა ეროვნულ ნაკრებს შოტლანდიასა და ფარერებთან მატჩები ჰქონდა, 19-წლამდელები კი გერმანიასა და ლუქსემბურგში იყვნენ შეკრებაზე. მიუხედავად ამისა, მაინც მოხერხდა ამ ნაკრების შეკრების ორგანიზება. მთავარი მიზანი 21-წლამდელთა კონტინგენტის ნახვა იყო. ამ შემთხვევაში საუბარი მხოლოდ 15-20 ფეხბურთელზე არაა. გვინდოდა, ეს რიცხვი 30-მდე გაგვეზარდა და შეკრება სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა. შემიძლია გითხრათ, რომ 40-50 ისეთი ფეხბურთელი გვყავს, რომელსაც სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრაზე ჰქონდეს პრეტენზია. თურქულ შეკრებაზე ჩემთვის შედეგზე უფრო მთავარი იყო, თუ რამდენად კარგად უგებდნენ ფეხბურთელები ერთმანეთს.

**- ბუნებრივია, აქედანვე ემზადებით 5 ივნისის ესპანეთთან მატჩისთვის...**

- ამ თამაშამდე თვენახევარია დარჩენილი და ბუნებრივია, სამზადისი უკვე დავიწყეთ. ამჟამინდელი ვითარებით, დისკვალიფიკაციის გამო არ გვეყოლება აკაკი ხუბუტია. კიდევ ერთი მცველის, მათე ღვინიანიძის ამბავი ჯერ კიდევ გაურკვეველია. ის ჯერ არაა სრულად მწყობრში და არ ვიცით, თუ რა კონდიციაში იქნება 5 ივნისისთვის. შესაბამისად, ამ ორი ფეხბურთელის შემცვლელები უნდა ვეძიოთ. თურქულ შეკრებაზე გურამ კაშიამ და უჩა ლობჟანიძემ ფანტასტიკური დუეტი შექმნეს. თურქული შეკრების წინ 21-წლამდელთა შტაბიც ჩამოყალიბდა. მას გელა შეყილაძე, ოთარ გაბელია და სერგო კოტრიკაძე დაემატნენ. მართალი გითხრათ, მათ არც კი ვიცნობდი, კანდიდატურები ფედერაციის ხელმძღვანელობამ მომაწოდა. გულწრფელად ვამბობ, შტაბის ეს შემადგენლობა ჩინებული კომბინაციაა.

**- შეკრებიდან რომელ ფეხბურთელებს გამოარჩევდით?**

- ყველა ფეხბურთელი მაქსიმალურად ცდილობდა საკუთარი შესაძლებლობების სათანადოდ წარმოჩენას. ჩვენთვის, მწვრთნელებისთვის მნიშვნელოვანი იყო, ყველა ფეხბურთელმა შეკრების დაწყებიდან 3-4 დღის შემდეგ საგრძნობი პროგრესი განიცადა. ეს კი იმისი მანიშნებელია, რომ შედეგებიც პროგრესირებადი იქნება. სანდრო კობახიძემ ორივე თამაში ძალიან მაღალ დონეზე ჩაატარა. კარგად ითამაშა კახელიშვილმა. აღარაფერს ვამბობ გრიგალაშვილსა და მერებაშვილზე – ისინი ნაკრებისთვის უმნიშვნელოვანესი ფიგურები არიან. განბილებული ვარ იმით, რომ მეკარე ლორია ტრავმირებულია. ჩვენ 3-4 მეკარე გვყავს, მაგრამ იმედი მაქვს, ლორია ესპანეთთან მატჩამდე გამოჯანმრთელდება.

**- შესარჩევ ციკლში ჯგუფის მეტოქეებსა და გასვლის შანსებზე რას იტყოდით?**

- ჩვენს ჯგუფში ესპანეთი საუკეთესო გუნდია. ჩემი აზრით, ჩვენ, პოლონეთი და რუსეთი ერთი დონის გუნდები ვართ და მეორე ადგილისთვისაც ვიბრძოლებთ.

**- ეროვნულ ნაკრებზე გადავერთოთ. უკრაინა-ლიტვის ეროვნული ნაკრებების მატჩს დაესწარით. ლიტვა ჩვენი უახლოესი მეტოქეა და რას იტყოდით ამ ნაკრებზე?**

- ეს ბოლო დღეებია მე და კლაუსი ძალიან ხშირად ვკონტაქტობთ ტელეფონით. ვლაპარაკობთ მეტოქეებზე, ლიტვაზეც... მათ კარგი გუნდი ჰყავთ. დანილევიჩუსი და სტანკევიჩუსი მაღალი დონის ფეხბურთს თამაშობენ. მიუხედავად ამისა, საქართველოს ნაკრებს კარგი შანსი აქვს, ბალტიისპირეთში სამი ქულისთვის იბრძოლოს.

**- ლიტვის თამაში ზამთარშიც ნახეთ. რამდენად განიცადა პროგრესი ამ გუნდმა?**

- დიახ, ლიტვის ნაკრები მალტასთან მატჩში ვნახე. პროგრესი მართლაც განიცადა ამ გუნდმა. ამ ჯგუფში ჩვენ, ლიტვა, შოტლანდია და უკრაინა მეტნაკლებად თანაბარი დონისანი ვართ. თუკი საქართველოს ნაკრები ლიტვაში საბრძოლო შემადგენლობით ჩავა, მოგება რეალური იქნება.

**- კლაუს ტოპმიოლერს ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე გამორჩეულ ფეხბურთელებზეც აწვდით ინფორმაციას. მათზე რა აზრისა ხართ?**

- ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელებზე, რომლებიც ეროვნულის კანდიდატებად მოიაზრებიან, ტოპმიოლერს ჩემს აზრს ვეუბნები, საბოლოო გადაწყვეტილებას კი ის იღებს. რაც შეეხება ახალგაზრდულ ნაკრებს, ეს მთლიანად ჩემი საქმეა და გადაწყვეტილებასაც მხოლოდ მე ვიღებ. გამორჩეულებად იაშვილს, კობახიძესა და მერებაშვილს დავასახელებდი. გამოვყოფდი გრიგალაშვილს. დიდი ტალანტია ბენაშვილი.

როცა კლაუსი 21-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელებს ეროვნულში იწვევს და, თუნდაც თურქეთთან ამხანაგურ მატჩში, რამდენიმე წუთს აძლევს, ეს მოთამაშეები საგრძნობლად იზრდებიან, სტიმული ემატებათ და თამაშის ხარისხს აუმჯობესებენ. არ უნდა დაგვავიწყდეს წინამძღვრიშვილი, რომელიც ასევე ახლოსაა ეროვნულ ნაკრებთან.

**- ბოლო პერიოდში კლაუს ტოპმიოლერს არაერთი წინადადება ჰქონდა ბუნდესლიგის კლუბებიდან. მასთან მეგობრობისა და თანამშრომლობის რამდენიმე წელი გაკავშირებთ, რას ამბობს, ეს წინადადებები მისთვის მაცდუნებელი ხომ არ შეიძლება გახდეს?**

- კლაუსის გადაბირება ჯერ "დორტმუნდმა", მერე კი "კაიზერსლაუტერნმა" მოინდომეს. მერწმუნეთ, 15 წელია ტოპმიოლერთან ვთანამშრომლობ, და საკმაოდ კარგადაც ვიცნობ. მას არ უყვარს დაწყებული საქმის მიტოვება. მით უმეტეს მაშინ, როცა მოსწონს ეს საქმე, ხალხი და გარემო სადაც მუშაობს. არანაირი წინაპირობა არ არსებობს, რომ მან ეს საქმე შუა გზაზე მიატოვოს. ნაკრების კონტინგენტი კლაუსს ერთს აფიქრებინებს – წინ სამხრეთი აფრიკისკენ საქართველოს ნაკრებთან ერთად.

**დავით ცაბაძე**



პეტარ სეგრტი

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge




კახა კალაძე

# კალაძე: მანჩესტერი ფავორიტი არაა

24 მარტს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალური შეხვედრაა - "მილანი" "ლივერპულს" შეხვდება. "რომასთან" მეოთხედფინალში 7:1 მოგების შემდეგ, **ალექს ფერგიუსონის** გუნდს არა მარტო იტალიელებთან მატჩში, საერთოდ, ლიგის მოგების უპირველეს ფავორიტად ასახელებენ. თუმცა საქართველოს ნაკრების კაპიტანი **კახა კალაძე** ასე არ თვლის.

*"მიმაჩნია, რომ ორივე გუნდს თანაბარი შანსი გააჩნია. "რომასთან" შთამბეჭდავი გამარჯვებით ინგლისელებმა ევროპაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვიეს. თუმცა არ ვთვლი, რომ ეს ფაქტი მათ წყვილში აუცილებელ ფავორიტად ხდის. თუკი ბოლო ხუთ წელიწადში "მილანი" მეოთხედ გავიდა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში, წესით, ეს რალაცაზე უნდა მეტყველებდეს. რატომლაც მგონია, რომ რომაელებს "მანჩესტერთან" საერთაშორისო გამოცდილება დააკლდათ. ჩვენ კი ის საკმარისად გვაქვს. ძალიან მსურს, ინგლისელების წინააღმდეგ თამაში და ყველაფერს გავაკეთებ, კარლო ანჩელოტიმ ძირითადში რომ მათამაშოს"*, - განაცხადა კალაძემ "სპორტ-ექსპრესთან" საუბარში.

**მერაბ მამულაშვილი**

# დემეტრაძეს კიევში პლაკატებით დახვდნენ

უკრაინაში **გიორგი დემეტრაძის** მიმართ აგრესიას დასასრული არ უჩანს. სამწუხაროდ, ბოლო დროს დონეცკის "მეტალურგის" თავდამსხმელი საფეხბურთო თემატიკის ნაცვლად, სასამართლო თემებთანაა ასოცირებული. გიორგი ახლახან დონეცკის "მეტალურგის" დუბლებში გამოჩნდა, ძირითადში კი კარგა ხანია აღარ უთამაშია.

კიევის "დინამოსა" და რუსეთის ნაკრების ყოფილმა თავდამსხმელმა **ოლეგ სალენკომ** გიორგის რჩევა გაზეთის ფურცლებიდან მისცა: *"ამ აჟიოტაჟის არსი რეკლამაშია. ფეხბურთელის მიზანი მხოლოდ კონფლიქტის გაღვივებაა, შემდეგ პრესისა და ტელევიზიის ყურადღება რომ მიიქციოს. ამ დროს, დემეტრაძე საქმის არსს თითქმის არ იცნობს. დაილაპარაკეს, დაიშალნენ და შედეგად რა მიიღო? გიორგიმ საფეხბურთო ამბებზე მეტი უნდა იფიქროს და ლიმიტზე ნაკლები ისაუბროს"*.

სხვათა შორის, მე-20 ტურში, როდესაც კიევის "დინამომ" დონეცკის "მეტალურგს" უმასპინძლა, გულშემატკივრები ქართველ თავდამსხმელს პლაკატებით დახვდნენ - "ჟორა - შენ კონტექსტი ხარ".

ამით მიანიშნეს - გიორგი დემეტრაძეს დონეცკური კლუბი თავისი მიზნების განსახორციელებელ პაიკად იყენებსო.

**მერაბ მამულაშვილი**

# გიორგი ციმაკურიძე კიეველებმა ჩანიხლეს

მალე უკრაინის პროფესიული ფეხბურთის ლიგის სადისციპლინო კომიტეტი კიევის "დინამოს" ნახევარმცველ **დიეგო რინკონს** განაჩენს გამოუტანს.

"დინამოს" ბრაზილიელ ლეგიონერთან დაკავშირებული ამბავი ჩვენთვის საინტერესო იმიტომ გახდა, რომ ის მარიუპოლში "ილიჩევეცთან" შეხვედრის დროს ქართველ მცველ **გიორგი ციმაკურიძესთან** განზრახ უხეშობისთვის გააძევეს - მან ქართველ ლეგიონერს სახეში მუშტი ჩაარტყა.

ქართველსა და ბრაზილიელს ერთმანეთში ჯერ სიტყვიერი შეხლა-შემოხლა მოუვიდათ, გიორგი ოდნავ დანინაურდა და შემდეგ, როგორც ბრაზილიელი ამტკიცებს, შერიგების მიზნით, მხარზე ხელი უნდა დაერტყა, მაგრამ ამ დროს ციმაკურიძე შემოტრიალდა და მეგობრულად გაწვდილი ხელი სახეში შემთხვევით მოხვდაო.

*"რინკონმა ჩათვალა, რომ ის უდიდესი მოთამაშეა. მანამდე დედეჩკო წავაქციე, მაგრამ მაშინვე მოვუბოდიშე. ბრაზილიელმა მოირბინა და ჟესტებით ჭკუის დარიგება დამიწყო. მე კი მუშტიც დამარტყა. ბიჭმა ჩათვალა, რომ რინგზე იყო. მე პროფესიონალი ვარ და ამიტომ იმავენაირად პასუხის გაცემა არ მიცდია. როდესაც შემცვალეს, მაშინ რინკონმა მომიბოდიშა და ერთმანეთს ხელიც ჩამოვართვით. თუმცა, ვიმეორებ, ის ჩემთან მართალი არ იყო"*, - განაცხადა გიორგიმ უკრაინულ "სპორტ-ექსპრესთან".

ის ამტკიცებს, რომ ბრაზილიელის პროვოცირება აზრადაც არ ჰქონია. ამჟამად ქართველი "ილიჩევეცშიც" არ ვარჯიშობს და მიზეზად მეორე კიეველს, **დედეჩკოს** ასახელებს. თურმე, გიორგის მისი დარტყმის შემდეგ მუცელი სტკივა.

**მერაბ მამულაშვილი**

# კვარაცხელიას მწვრთნელი შეუცვალეს

სამი ტურის შემდეგ ლიტვის A ლიგაში შარშანდელი ჩემპიონი "კაუნასი" 7 ქულით ლიდერობს, თუმცა, მიუხედავად ამისა, კლუბის ბელარუსი თავკაცი **ვლადიმირ კურნევი** თანამდებობას დაემშვიდობა. მის ნაცვლად მილიარდერმა **ვლადიმირ რომანოვმა** მწვრთნელად ბულგარელი **ანგელ ჩერვენკოვი** მიიწვია, რომელიც, 2005 წლიდან მოყოლებული, კლუბის მეშვიდე მწვრთნელია. მესამე ტურში "კაუნასმა" პირველი ქულები დაკარგა, "ვილნიუსს" ესტუმრა და 2:2 ითამაშა. სტუმართა რიგებში 90 წუთი ითამაშა **გივი კვარაცხელიამ**, **ნუკრი მანჩხავა** კი კვლავ არ ჩანს. "შილიუტემ" "ჟალგირისს" უმასპინძლა და 0:0 ითამაშა. **აკაკი ხუბუტიამ** 90 წუთი გაატარა მოედანზე და მე-12 წუთზე ყვითელი ბარათიც მიიღო.

# შუბლაძემ ანგარიში გახსნა

საფეხბურთო პირველობა მთელ ევროპაში ყველაზე გვიან ფინეთში იწყება, მანამდე სტარტი აიღო სომხეთისა და ბელარუსის ჩემპიონატებმაც. ბელარუსში 14 გუნდი ასპარეზობს. ქართული ლეგიონი ამ ქვეყანაში შემცირდა, კლუბთა ოფიციალურ განაცხადებში სულ სამი ჩვენებურია, თანაც სამივე ადრეც თამაშობდა ამ ქვეყანაში. დებიუტანტ "სმორგონში" გადავიდა ქართველთაგან ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელი, 29 წლის ფორვარდი **სულიკო კაკაბაძე**. კვლავ ბრესტის "დინამოშია" 23 წლის ფორვარდი **რომან გოგინაშვილი**, მოგილევის "დნეპრის" ღირსებას კი 22 წლის ნახევარმცველი **ალექსანდრე შუბლაძე** იცავს. სწორედ შუბლაძემ გამოიჩინა თავი ჩემპიონატის პირველივე ტურში. "დნეპრი" "ვიტებსკს" ესტუმრა და 2:0 მოუგო. ანგარიში 76-ე წუთზე შუბლაძემ გახსნა, **გავრიუშკომ** 83-ე წუთზე საბოლოო შედეგი დააფიქსირა. "სმორგონმა" დებიუტი მოგებით აღნიშნა, "მინსკი" 2:1 დაამარცხა. კაკაბაძემ 88-ე წუთამდე ითამაშა, სულიკო საკმაოდ აქტიური იყო. ბრესტის "დინამო" კი შინ "მტზ-რიპოსთან" დამარცხდა - 0:1. გოგინაშვილი მეორე ტაიმში გამოჩნდა **ჟერშის** ნაცვლად.


ზაალ ელიავა (მარჯვნივ)

# გამეზარდაშვილი გააძევეს

ლატვიურ ვირსლიგაში მეორე ტურის მატჩები გაიმართა. ტურის ცენტრალურ მატჩში ჩემპიონმა "ვენტსპილსმა" რიგის "სკონტოს" უმასპინძლა და 2:0 აჯობა. "ვენტსპილსის" ახალწვეული **ზურაბ მენთეშაშვილი** სათადარიგო იყო. სტუმართა რიგებში სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ **დავით გამეზარდაშვილი** და **ზაალ ელიავა**. გამეზარდაშვილმა 53-ე წუთზე პირველი ყვითელი ბარათი მიიღო, ორ წუთში კი - მეორე და მოედნის ნაადრევად დატოვებით გუნდი დაალალატა. გაძევებიდან ორ წუთში **ჟან-პოლ ნდეკიმ** გახსნა ანგარიში, 59-ე წუთზე **ზიზილევმა** კიდევ ერთი გოლი გაიტანა. "ვენტსპილსს" და "სკონტოს" 3-3 ქულა აქვთ. შეგახსენებთ, რომ "ბალტიის ლიგაში" ორივე კლუბი მეოთხედფინალშია გასული.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ბავშვთა ფეხბურთი

# სენაკში პირველად...

გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელის **ვიტალი დარასელიას** ბავშვობის მეგობრის, ქალაქ სენაკში მცხოვრების სუვენირული ბურთების დამზადების ცნობილი ოსტატის **ზურაბ მიქავას** თაოსნობით და ხელშეწყობით, სენაკში პირველად ჩატარდა ვიტალი დარასელიას 50 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ტურნირი მინი-ფეხბურთში ბავშვთა ორ ასაკობრივ ჯგუფში.

1990-91 წ. დაბადებულ ფეხბურთელთა შორის ფინალში "ტეხურას" უფროსთა გუნდმა 4:0 სძლია "შხეფისუბანს" და პირველი ადგილი დაიკავა.

1993-94 წ. დაბადებულთა შორის ფინალურ შეხვედრაში 6:2 გაიმარჯვა "ტეხურას" უმცროსთა გუნდმა, რომლებმაც მოუგეს "ნატოჩაოს" და საპატიო პრიზიც ხვდათ წილად. გამარჯვებული გუნდები მოამზადეს მწვრთნელებმა **ხვიჩა სანაიამ** და **თამაზ ხუხუამ**.

**ომარ ჩხაიძე**


1990-91 წელს დაბადებულთა გუნდი


1993-94 წელს დაბადებულთა გუნდი

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. გამოტოვებული XXII ტურის წინ

# სან სირო სკუდეტოს მოლოდინში

## გამარჯვების შემთხვევაში ინტერი დღესვე მოიპოვებს ჩემპიონობას, ატალანტას ტიფოზები კი ვიერის დებიუტს ელიან...

**დღეს**

**ასკოლი-მილანი**
**ემპოლი-ატალანტა**
**ინტერი-რომა**
**ლაციო-კიევო**
**ლივორნო-კალიარი**
**რეჯინა-მესინა**
**უდინეზე-სამპდორია**
**პარმა-ფიორენტინა**
**სიენა-ტორინო**




ინტერს სკუდეტოსაგან ერთი ნაბიჯი აშორებს

სერია A-ს 22-ე ტური, წესით, 3 თებერვალს უნდა გამართულიყო, მაგრამ წინა დღით "კატანია"-"პალერმოს" შეხვედრაში მომხდარი ტრაგედიის გამო გადაიდო (შეტაკება ტიფოზებსა და პოლიციას შორის, რასაც ერთი პოლიციელის სიცოცხლე შეეწირა) და დღეს გაიმართება. "კატანია"-"პალერმოს" შედეგი 1:2 უცვლელი დარჩა, ამიტომ დღეს 9 შეხვედრა ჩატარდება. შვიდი მატჩი 19:30-ზე დაიწყება, ორი კი ("პარმა"-"ფიორენტინა" და "სიენა"-"ტორინო") 21:30-ზე.

ცენტრალური შეხვედრა "სან სიროზეა". "ინტერი" "რომას" მასპინძლობს და გამარჯვების შემთხვევაში ჩემპიონი ხდება. განსაკუთრებული ხიბლი ექნება ამის გაკეთებას "რომასთან", ჩემპიონატის მეორე გუნდთან, მიუხედავად იმისა, რომ რომაული გუნდი რეალური კონკურენტი დიდი ხანია აღარაა. იოლი მისახვედრია, რაოდენ დიდია მოლოდინი ინტერისტებში. ჯუზეპე მეაცას სტადიონზე სრული ანშლაგი იქნება: უკვე ყველა ბილეთი გაყიდულია, მილანის შავლურჯი ნაწილი დიდი ზეიმისთვის ემზადება. 18 წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც "ნერაძურის" ტიფოზერიამ ბოლო სკუდეტო იზეიმა (1989 წელს). მართალია, "ინტერს" შარშან "იუვენტუსისთვის" ჩამორთმეული სკუდეტოც გადასცეს, მაგრამ ეს ამბავი საზეიმოდ არავის აღუნიშნავს. "შავ-ლურჯებში" უკმაყოფილება გამოიწვია იმან, რომ საფეხბურთო ლიგამ შეხვედრა ადგილობრივი დროით 17:30-ზე დანიშნა: ოთხშაბათია, ხალხი მუშაობს, ბევრს ნაადრევად მოუწევს სამუშაოს დატოვება და სტადიონზე გაქცევა. ამასთან დაკავშირებით **რობერტო მანჩინიმ** თქვა: *"ცხადია, შეეძლოთ, რომ ჩვენი ტიფოზებისთვის ხელი შეეწყოთ და თამაში ორი საათით გვიან დაენიშნათ. ასე უსაფრთხოების მოთხოვნებიც უფრო დაცული იქნებოდა და ინტერისტებიც არ იქნებოდნენ იძულებულები, რომ სალტო მორტალე ეკეთებინათ შესაძლო სკუდეტოს ზეიმზე მისასწრებად. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს შეხვედრა ჯერ კიდევ მოსაგებია და თუ გავიმეორებთ იმ პირველ ტაიმს, როგორიც ბოლოს "პალერმოსთან" იყო, ჩაო..."*. მანჩინი ბოლო, საკვირაო თამაშის პირველ ტაიმს გულისხმობდა, რომელიც "ნერაძურიმ" "პალერმოსთან" 0:2-ზე წააგო. მაგრამ მეორე ტაიმში მილანელებმა თამაში შემოატრიალეს და **კრუსისა** და **ადრიანოს** თავური გოლებით 2:2 დაასრულეს. ეს "ინტერის" ზედიზედ მეორე ფრე იყო, რეჯოკალაბრიაში ნათამაშები 0:0-ის შემდეგ. "რომას" რაც შეეხება, გუნდმა წინა ტურში "ოლიმპიკოზე" "სამპდორია" 4:0-ზე გაანადგურა და ნაწილობრივ ჩამოირეცხა ის სამარცხვინო ლაქა, რომელიც ერთი კვირის წინათ ჩემპიონთა ლიგაში 1:7-ზე წაგებით მანჩესტერიდან გამოჰყვა.

ცალკე თემაა "ინტერისა" და "რომას" ურთიერთდაპირისპირებები. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ეს გუნდები იმდენჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, რომ ალბათ სათვალავიც კი აერიათ, და ყოველთვის, ან თითქმის ყოველთვის, გამარჯვებული „ინტერი" რჩებოდა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ „რომასთვის" „ინტერი" ტრადიციულად რთული მეტოქეა. პირველი იყო 5 მარტის დაპირისპირება გასულ ჩემპიონატში, როცა **მატერაციმ** „ოლიმპიკოზე" ბოლო წუთზე გაათანაბრა (1:1) და წერტილი დაუსვა „ჯალოროსის" გამარჯვებათა იმ დროისთვის სარეკორდო სერიას (ზედიზედ 11 მოგება). ამის შემდეგ იყო მაისის იტალიის თასის ფინალი, რომელიც ორი მატჩის ჯამში მილანელებმა მოიგეს (1:1, 3:1). 28 აგვისტოს „ინტერმა" და „რომამ" უკვე იტალიის სუპერთასის ფინალში ითამაშეს. ეს იყო ფანტასტიკური შეხვედრა, სადაც „ნერაძური" 0:3-ს აგებდა და სასწაულად ჩატარებული მეორე ტაიმის ხარჯზე 4:3 მოიგო. ბოლო დაპირისპირება კი მიმდინარე ჩემპიონატის პირველ წრეში, 20 სექტემბერს შედგა და ისიც „ინტერის" გამარჯვებით 1:0 დასრულდა. ერთსა და იმავე მეტოქესთან ერთბაშად ამდენი წარუმატებლობა „რომას" ფეხბურთელებისთვის მძიმე ფსიქოლოგიური ტვირთია. თუ რომაელებს უნდათ, რომ „სან სიროზე" დათრგუნულები არ გავიდნენ, ეს ბოლო ერთი წელი მეხსიერებიდან უნდა ამოშალონო, წერდა „გაძეტა დელო სპორტი". მაგრამ მეორე მხრივ, რომაელებს დასაკარგი არაფერი აქვთ: ჩემპიონატი მათთვის პრაქტიკულად დასრულებულია, მდევარ "ლაციოს" 9 ქულით უსწრებენ და დარჩენილ 7 ტურში მეორე ადგილის შენარჩუნება არ უნდა გაუჭირდეთ. თუკი "სამპდორიის" განადგურების შემდეგ, დღეს "ინტერს" ზეიმს ჩაუშლიან, საკუთარი გულშემატკივრის წინაშე საბოლოოდ შეძლებენ რეაბილიტაციას. აქვე ისიც აღვნიშნოთ, რომ "ინტერი" და "რომა" წლეულს ზედიზედ მესამე სეზონში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს იტალიის თასის ფინალში. წინა ორ დაპირისპირებაში გამარჯვება ორივეჯერ მილანელებს დარჩათ.

მასპინძლებს დღეს დაშავებული **ვიეირა**, **მაქსველი** და **კრესპო** არ ეყოლებათ. პირველი ორის ნაცვლად **ფიგუ** და **გროსო** ითამაშებენ. შეტევაში ტრავმამოშუშებული **იბრაჰიმოვიჩი** ბრუნდება და **ადრიანოს** შეუწყვილდება. "რომას" ტრავმის გამო **ტადეი** დააკლდება. ბრაზილიელს **ვილჰელმსონი** შეცვლის. სავარაუდო შემადგენლობები ასე გამოიყურება:

**ინტერი**: ჟულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა, მატერაცი, გროსო, კამბიასო, ძანეტი, სტანკოვიჩი, ფიგუ, ადრიანო, იბრაჰიმოვიჩი

**რომა**: დონი, პანუჩი, მექსე, კივუ, ტონეტო, დე როსი, პისარო, ვილჰელმსონი, პეროტა, მანსინი, ტოტი

"მილანი" აუტსაიდერ "ასკოლის" სტუმრობს და იმის გათვალისწინებით, რომ ამ ტურში "პალერმო" არ თამაშობს, მეოთხე ადგილზე პოზიციების განმტკიცების მშვენიერი შანსი აქვს. თუმცა მიუნხენში გამარჯვებისა და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლის შემდეგ **ანჩელოტის** გუნდში ისეთი განწყობაა, რომ მესამე ადგილზე ფიქრიც შეიძლება. "როსონერის" ექვსი ქულა აშორებს "ლაციომდე", რომელიც კვირას სწორედ ასკოლიში შეჩერდა (2:2), მას შემდეგ, რაც ზედიზედ რვა შეხვედრა ჰქონდა მოგებული. "მილანმა" ჩემპიონატში ბოლო ორი მატჩი მოიგო. კვირას მესინაში მეკარე **დიდამ** მხარის ტრავმა მიიღო და 10 დღე იძულებით დაისვენებს. ბრაზილიელს **კალაჩი** შეცვლის. ანჩელოტი დღეისთვის **გატუზოსა** და **ზეედორფის** დასვენებას აპირებს, მათ მაგივრობას **ამბროზინი** და **გურკუფი** გასწევენ. დაცვაში, სავარაუდოდ, ჩემპიონთალიგური ოთხეული **ოდო-ნესტა-მალდინი-იანკულოვსკი** დაბრუნდება, შეტევაში კი **რონალდო-ჯილარდინოს** წყვილი ითამაშებს.

"ფიორენტინას" რთული გასვლა ელის გადარჩენისთვის მებრძოლ "პარმასთან", "ატალანტამ" კი ზედიზედ ორი გამარჯვების შემდეგ სერიაში დარჩენა, პრაქტიკულად, გაინაღდა და სიურპრიზს ამზადებს: ბერგამოელების შემადგენლობაში დღეს **კრისტიან ვიერის** დებიუტს ელიან. წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ბობო მოედანზე აღარ გამოჩენილა. მას აპრილის ბოლოს ელოდნენ, მაგრამ გუშინწინ "ატალანტას" მწვრთნელმა **კოლანტუონომ** ყველასთვის მოულოდნელად გამოაცხადა, ემპოლიში ვიერი თადარიგში მეყოლება და ბოლო ნახევარ საათს ვათამაშებო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 31 | 25 | 6 | 0 | 65-25 | 81 |
| 2. რომა | 31 | 19 | 8 | 4 | 62-23 | 65 |
| 3. ლაციო | 31 | 17 | 8 | 6 | 54-26 | 56 |
| 4. მილანი | 31 | 16 | 10 | 5 | 45-27 | 50 |
| 5. პალერმო | 32 | 13 | 10 | 9 | 46-39 | 49 |
| 6. ემპოლი | 31 | 12 | 10 | 9 | 33-31 | 46 |
| 7. ფიორენტინა | 31 | 17 | 8 | 6 | 52-26 | 44 |
| 8. ატალანტა | 31 | 9 | 12 | 10 | 45-43 | 39 |
| 9. სამპდორია | 31 | 10 | 9 | 12 | 37-40 | 39 |
| 10. უდინეზე | 31 | 10 | 9 | 12 | 40-44 | 39 |
| 11. კალიარი | 31 | 7 | 13 | 11 | 26-33 | 34 |
| 12. ლივორნო | 31 | 7 | 12 | 12 | 32-46 | 33 |
| 13. კატანია | 32 | 8 | 9 | 15 | 38-61 | 33 |
| 14. ტორინო | 31 | 8 | 8 | 15 | 25-42 | 32 |
| 15. სიენა | 31 | 6 | 14 | 11 | 27-35 | 31 |
| 16. კიევო | 31 | 6 | 10 | 15 | 33-43 | 28 |
| 17. რეჯინა | 31 | 9 | 11 | 11 | 39-42 | 27 |
| 18. პარმა | 31 | 5 | 11 | 15 | 26-49 | 26 |
| 19. მესინა | 31 | 5 | 9 | 17 | 29-52 | 24 |
| 20. ასკოლი | 31 | 3 | 11 | 17 | 24-51 | 20 |




კრისტიანო ლუკარელი

ლივორნო

# ლუკარელი: სეზონის ბოლოს წავალ

## კაპიტანმა ტიფოზების ლანძღვა ვერ აიტანა

კვირას "ლივორნო"-"რეჯინას" შეხვედრა 1:1 დასრულდა. გოები პირველ ტაიმში გავიდა, მეორე ნახევრში კი თამაში იმდენად მოსაწყენი იყო, რომ ლივორნოელმა ტიფოზებმა საკუთარ გუნდს სტვენა და ლანძღვა-გინება აუტეხეს. გულშემატკივრის მთავარ სამიზნედ "ლივორნოს" კაპიტანი და ქარიზმატული ლიდერი **კრისტიანო ლუკარელი** იქცა, მიუხედავად იმისა, რომ გოლი ამჯერადაც მან გაიტანა. სტვენა და გინება ლუკარელის მისამართით თამაშის შემდეგაც გაგრძელდა, რამაც ტოსკანელ მეგოლეს მოთმინების ფიალა აუვსო და აი, რა ათქმევინა: *"მორჩა, ამ შეხვედრის შემდეგ ის უკანასკნელი ძაფიც გაწყდა, რომელიც "ლივორნოსთან" მაკავშირებდა. ამიერიდან მხოლოდ გოლების გატანაზე ვიფიქრებ გუნდის გადასარჩენად, სეზონის ბოლოს კი სხვაგან წავალ"*.

ორშაბათს კაპიტნის დასაცავად ხმა "ლივორნოს" პრეზიდენტმა **ალდო სპინელიმ** აიმაღლა: *"როგორ შეიძლება, აკრიტიკო ისეთი ფეხბურთელი, როგორიც ლუკარელია? მისი წყალობითაა, რომ ზედიზედ სამი წელიწადი გუნდი სერია A-ში ადგილს ინარჩუნებს. კრისტიანოს იმდენად უყვარს "ლივორნო", რომ ასეთი დამოკიდებულება შეურაცხყოფად მიიღო. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ლუკარელის წასვლა გადავაფიქრებინოთ. მესმის, რომ ტიფოზები "რეჯინასთან" ფრეს ვერ შეეგუენ, მაგრამ ისიც გავიხსენოთ, რომ "ლივორნოს" სიყვარულით კრისტიანომ თავის დროზე "პალერმო" და "გლაზგო რეინჯერსი" უარით გაისტუმრა"*.

პრეზიდენტის მხარდაჭერის მიუხედავად, გუშინ ლუკარელიმ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ მისი წასვლა გარდაუვალია. *"მე აზრს აღარ შევიცვლი. მოხდება ისე, როგორც კვირას განვაცხადე* – თქვა 31 წლის მეგოლემ სამშაბათს - *ჩემმა შვილმა, რომელიც იმ დღეს სტადიონზე იყო, თამაშის შემდეგ მკითხა, ტიფოზები რატომ გეძახდნენ "მოსყიდულსო"... ყველაზე მეტად გული ამან მატკინა. ახლა შეუძლებელია, რომ გადაწყვეტილება შევიცვალო. ტიფოზებმა უნდა გაიგონ, რომ ის, რაც კვირას მოხდა, ფეხბურთთან არანაირ კავშირში არაა. ეს იყო ლუკარელის ოჯახის შეურაცხყოფა და უკვე მეტისმეტი მოუვიდათ"*.

წარმოშობით ლივორნოელი ლუკარელი "ლივორნოს" ღირსებას 2003 წლიდან იცავს. კვირას მან ჩემპიონატში მე-16 გოლი გაიტანა, 2004-05 სეზონში კი 24 გოლით სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი გახდა. კაპიტნის შესაძლო აზარგებაზე წლეულს საუბარი უკვე არაერთხელ იყო, წინადადებები ტოსკანელ გოლეადორს მართლაც არ აკლია. ლივორნოელი ტიფოზები ახლა იძახიან, რომ ლუკარელი წასვლისთვის შესაფერის საბაბს ეძებს და ამ სიტუაციის გამოყენებას ცდილობს, სინამდვილეში კი გუნდის დატოვება უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



იურგენმა ინგლისში დაბრუნება არ ისურვა

ჩელსი

# მოურინიო ლონდონში რჩება

## კლინსმანმა არისტოკრატთა შეთავაზება ოჯახის გამო იუარა...

"სანმა" "ჩელსისა" და **იურგენ კლინსმანის** მოლაპარაკებების ახალი დეტალები გამოამზეურა. "ბლექბერნთან" სათასო ნახევარფინალის წინ ლონდონელთა დელეგაცია ლოს ანჯელესს გაემგზავრა. დელეგაციას "ჩელსის" დირექტორატის წევრი და **რომან აბრამოვიჩის** მარჯვენა ხელი **იუჯინ ტენენბაუმი** ხელმძღვანელობდა. გერმანიელთა ყოფილი ბოსი "არისტოკრატებს" ყავარჯნებით დაუხვდა. საუბარმა რამდენიმე საათს გასტანა. "სანის" მტკიცებით, კლინსმანს წლიურად 6.4 მილიონი გირვანქა შესთავაზეს. იურგენმა მაცდუნებელ წინადადებაზე თავაზიანი უარი თქვა. მან მიზეზად ოჯახი დაასახელა. კლინსის მეუღლე და შვილები კალიფორნიაში საუცხოოდ გრძნობენ თავს და გარემოს შეცვლაც არცკი სურთ. ოჯახი იყო გერმანიის ნაკრებიდან წასვლის მიზეზიც. მუნდიალის შემდეგ საფეხბურთო კავშირმა მას თანამშრომლობის გაგრძელებაზე ჩამოუგდო სიტყვა, მაგრამ იურგენს გულმა ამერიკისკენ გაუწია.

ამასობაში, შაბათს "ჩელსიმ" "ბლექბერნს" მოუგო და ასოციაციის თასის ფინალში გააღწია. ნამატჩევს ლონდონელთა გასახდელში მოხდა ის, რასაც სამი თვე ელოდნენ. აბრამოვიჩმა ფეხბურთელებს წარმატება პირადად მიულოცა და **ჟოზე მოურინიოსაც** გადაეხვია. ინგლისელი მიმომხილველები კი კითხულობენ, რას იზამდა რუსი ოლიგარქი, კლინსმანი ლონდონში მუშაობას რომ დათანხმებოდაო.

სპეკულაციებს კლინსმანის მოსალოდნელი დანიშვნის შესახებ წერტილი დაესვა. "ჩელსიმ" კი უკვე მომავალ სეზონზე დაიწყო ფიქრი. მოურინიო მისი გეგმების განუყოფელი ნაწილიაო, გვაუწყებს "დეილი მეილი". ჟოზე "არისტოკრატების" ტრადიციულ საქველმოქმედო აქციაში ჩაერთვება. აქციის მიზანი, სიმსივნით დაავადებულ ბავშვთა ფონდისთვის თანხების შეგროვებაა. გადაწყვეტილია ისიც, რომ ქომიუნითი შილდის წინ, ფანებთან ტრადიციულ შეხვედრასაც პორტუგალიელი სპეციალისტი გაუძღვება. ეს და კიდევ სხვა ინფორმაციები ირიბად მიუთითებენ, რომ აბრამოვიჩი მწვრთნელთან გამოთხოვებას აღარ გეგმავს, თუმცა კლუბის მეპატრონეს ამის შესახებ ოფიციალური განცხადება ჯერაც არ გაუკეთებია.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ალექსი, მალდინის მემკვიდრე?

## ანჩელოტი ბრაზილიელს ევროპის საუკეთესო მცველად მიიჩნევს, მილანს 11 მილიონი მზად აქვს...

ცოტა ხნის წინათ **კარლო ანჩელოტიმ** განაცხადა, სადღეისოდ ევროპაში საუკეთესო მცველი "ეინდჰოვენში" მოთამაშე ბრაზილიელი **ალექსიაო**. გუშინ "გაძეტა დელო სპორტი" წერდა, "მილანი" მზად არის ალექსზე იერიშის მისატანადო. მის გადასაბირებლად მილანელებს "ჩელსისთან" მოუწევთ მოლაპარაკება, რადგან **აბრამოვიჩის** კლუბს ფეხბურთელი ჰოლანდიაში იჯარის წესით ჰყავს განათხოვრებული. **როდრიგო დიას და კოსტა ალექსი** ივნისში 24 წლის ხდება. მისი სიმაღლე 188 სანტიმეტრია, წონა 92 კილოგრამი. იშვიათი ფიზიკური სიძლიერის მქონე მცველს გოლების გატანაც ეხერხება. მისი შედეგიანი თავური დარტყმით იყო, "ეინდჰოვენმა" "არსენალს" ლონდონში რომ გაუთანაბრა (1:1) და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გავიდა. მაგრამ მერე მუხლის ტრავმამ ბრაზილიელს საშუალება არ მისცა, "ლივერპულთან" ეთამაშა და პსვ ევროპას დაემშვიდობა. ჰოლანდიაში გატარებულ ორ სეზონში ალექსი ძალიან გაიზარდა, მაგრამ ეროვნულ ნაკრებში მის მიერ გამართულ შეხვედრების პროცენტული მაჩვენებელი ძალიან დაბალია (7 მატჩი) და ამის გამო, "ჩელსი" ფეხბურთელის პრემიერლიგაში გამოყენებას ვერ ახერხებს. ინგლისური წესების თანახმად, უცხოელ ფეხბურთელს საკუთარი ნაკრების შეხვედრების 75 პროცენტში უნდა ჰქონდეს მონაწილეობა მიღებული იმისთვის, რომ პრემიერლიგაში თამაშის უფლება მიეცეს. სწორედ ამ გარემოების გამოყენებას ცდილობს "მილანი". "გაძეტა დელო სპორტის" თანახმად, 10-11 მილიონი ევრო საკმარისი იქნება, "როსონერი" და "ჩელსი" ალექსის ტრანსფერზე რომ შეთანხმდნენ. ეს თანხა კი კლუბს უკვე გამზადებული აქვს. დიდია ალბათობა, რომ **კოსტაკურტასთან** ერთად კარიერა ამ სეზონის ბოლოს **პაოლო მალდინიმაც** დაასრულოს. სწორედ მალდინის მემკვიდრედ განიხილავს ანჩელოტი ალექსს, რომელიც, თუ ტრანსფერი შედგა, "მილანის" მეშვიდე ბრაზილიელი გახდება. თუ ამას **რონალდინიოც** დაემატა...




ალექსი ხარისტეასის წინააღმდეგ

## ბოროვსკი ისევ ლაზარეთში

ბრემენის "ვერდერის" ნახევარმცველი, ლაზარეთიდან ახლახან დაბრუნებული **ტიმ ბოროვსკი** "დორტმუნდთან" მატჩის დროს ისევ დაშავდა და შესაცვლელი გახდა. სამედიცინო შემოწმებამ ცხადჰყო, რომ გერმანიის ნაკრების წევრის ტრავმა სერიოზულია - ბოროვსკი მინიმუმ ერთ თვეს დაისვენებს. ამრიგად, გამორიცხული არ არის, რომ მან ამ სეზონში თამაში საერთოდ ველარ მოახერხოს. შეგახსენებთ, რომ ბოროვსკიმ ტრავმა 24-ე ტურშიც მიიღო და მაშინ შვიდკვირიანი იძულებითი პაუზა გამოუწერეს.

## ფორსელი ჰანოვერში?

"ჰანოვერს" თავდასხმის ხაზში სერიოზული პრობლემები აქვს. მას მერე, რაც გერმანიის ჩემპიონატის მეორე წრე დაიწყო, "წითლები" მუდმივად მხოლოდ ერთი ფორვარდით (**ორჟი შტაინერი**) თამაშობენ. არცაა გასაკვირი, გუნდის ბოსებმა მომავალი სეზონისთვის, პირველ რიგში, ფორვარდების შეძენაზე რომ დაიწყეს ზრუნვა. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, "ჰანოვერისთვის" ყველაზე სასურველი თავდამსხმელი ფინელი **მიკაელ ფორსელია**, რომელიც ბუნდესლიგას კარგად იცნობს. 26 წლის ფორსელი 2003/04 წლების სეზონში მიონხენგლადბახის "ბორუსიაში" განათხოვრების წესით თამაშობდა, გერმანიის პირველობაზე 16 მატჩში 7 გოლის გატანა შეძლო და დიდი როლი ითამაშა იმაში, რომ "გლადბახი" მეორე ბუნდესლიგაში არ გავარდა. ფორსელი დღესდღეობით ინგლისის პირველ ლიგაში მოასპარეზე და პრემიერლიგის გზაზე მდგარი "ბირმინგემის" ღირსებას იცავს.

ბაიერნი

# გიორლიტცის ახალი კონტრაქტი

## შვაინი ზაფხულამდე დაისვენებს?

"ბაიერნის" ხელმძღვანელებმა ორშაბათს კიდევ ერთი ფეხბურთელის მომავალს მოჰფინეს ნათელი. *"ამ დღეებში ანდრეას გიორლიტცთან ახალ კონტრაქტს გავაფორმებთ. ფეხბურთელთან შეთანხმებას უკვე მივაღწიეთ და ახლა მხოლოდ ფორმალური მხარეა მოსაგვარებელი. მიხარია, რომ ასე მოხდა,"* - უთხრა "კიკერს" ბავარიული გიგანტის გენერალურმა მენეჯერმა **ული ჰიონესმა**. გიორლიტცს რეკორდმაისტერთან კონტრაქტი 30 ივნისს უმთავრდებოდა.

25 წლის მარჯვენა მცველი "ბაიერნში" 2004 წელს, "მიუნხენ 1860"-იდან გადავიდა და რეკორდმაისტერმა მის სანაცვლოდ 2.5 მილიონი ევრო გადაიხადა. მაგრამ **გიორლიტცი** ტრავმებმა გატანჯეს - მან საერთო ჯამში 5 ოპერაცია გადაიტანა, რის გამოც ბუნდესლიგაში დღემდე მხოლოდ 50 თამაში აქვს ჩატარებული. ანდრეასი მინდორზე ორი თვის წინათ, ბილეფელდის "არმინიასთან" შეხვედრაში დაბრუნდა. მანამდე მან 27 თვე (!) დაისვენა. *"ანდრეასი ჩვენი მიზნების ნაწილია. მან საკუთარ თავზე ძალიან კარგად იმუშავა და ასეთი მძიმე ტრავმის შემდეგ მაინც მოახერხა ფორმის აღდგენა. გიორლიტცმა ახალი კონტრაქტი ულაპარაკოდ დაიმსახურა,"* - აცხადებს "ბაიერნის" თავკაცი **ოტმარ ჰიტცფელდი**.

ბავარიული გრანდის ქომაგები დღესდღეობით ყველაზე მეტად **ბასტიან შვაინშტაიგერის** გამო ნერვიულობენ. როგორც იცით, შვაინის მარცხენა მუხლის ანთება აქვს. მისთვის ზუსტი დიაგნოზი გუშინ უნდა დაესვათ. ჯერჯერობით, მხოლოდ ისაა გარკვეული, რომ ფეხბურთელს ტრავმა არ აქვს, მაგრამ მუხლის ანთება კი სახეზეა. უკვე ცნობილია, რომ შვაინშტაიგერი "ბაიერნს" ვერც "შტუტგარტთან" უმნიშვნელოვანეს მატჩში დაეხმარება. ჩვენი გერმანელი კოლეგები ეჭვობენ, რომ 22 წლის ნახევარმცველისთვის ეს სეზონი უკვე დასრულებულია. ჰიტცფელდის თქმით, შვაინის საქმეს ცუდი პირი უჩანს...

არგენტინის ნაკრები

# ვერონის დაბრუნება გადაიდო

**ხუან სებასტიან ვერონის** ნაკრებში დაბრუნება გადაიდო. დღეს არგენტინა ჩილესთან ამხანაგურ მატჩს გამართავს. სამწლინახევრიანი შესვენების შემდეგ, ვერონს ალბისელესტეს მაისურა უნდა მოერგო. მას კაპიტნობაც უნდა ეკისრა, მაგრამ ტრავმამ ფეხბურთელის გეგმები თავდაყირა დააყენა. **ალფიო ბასილემ** ჟურნალისტებს სინანულით აუწყა, რომ ხუან სებასტიანის სახით, ახალგაზრდებს დიდი ძალა დააკლდებათ. ბასილემ ამ შეხვედრისთვის მხოლოდ არგენტინაში მოასპარეზე ფეხბურთელები გამოიძახა. მატჩს ანდების ძირში მდებარე ქალაქი მენდოსა უმასპინძლებს. ეს პირველი პაექრობა იქნება, რომელსაც არგენტინელები მუნდიალის შემდეგ შინ გამართავენ.

31 წლის ვერონმა ნაკრებში 56 მატჩი ჩაატარა. 2002 წლამდე ის მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო, მაგრამ კორეა-იაპონიის მუნდიალზე ჯგუფიდან სენსაციური გავარდნა მას გადააბრალეს. ფანებმა ვერონს ზურგი შეაქციეს. 2004 წელს ნაკრებში დანიშნულ **ხოსე ნესტორ პეკერმანს** კი ერთხელაც აღარ გამოუძახია. ვერონს მეორე სუნთქვა გაეხსნა შარშან ზაფხულს, არგენტინაში დაბრუნების შემდეგ. ის **დიეგო სიმეონეს** "ესტუდიანტესში" ჩაირიცხა და პირველივე ცდიდან აპერტურა მოიგო.




დიდიე დროგბა

პრემიერლიგა

# დროგბა თუ კრისტიანო?

## ვინ გახდება წლის საუკეთესო ფეხბურთელი? ტოტალიზატორების ფავორიტი პორტუგალიელი გარემარბია...

მაისი "ჩელსისა" და "მანჩესტერ იუნაიტედის" დაპირისპირების თვეა. ამ გუნდების საუკეთესო ფეხბურთელები, **დიდიე დროგბა** და **კრისტიანო რონალდო** დუელს მინდორს მიღმაც გააგრძელებენ. ისინი პრემიერლიგის წლის საუკეთესო ფეხბურთელობაზე აცხადებენ პრეტენზიას. გამარჯვებულს პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაცია გამოავლენს.

ჯილდოსთვის სხვა კანდიდატებიც იბრძოლებენ. ტიტულზე წარდგენილნი არიან მანჩესტერელები - **რაიან გიგზი** და **პოლ სქოულზი**, არსენალელი **სესკ ფაბრეგასი** და შარშანდელი გამოკითხვის გამარჯვებული, ლივერპულელი **სტივ ჯერარდი**. "იუნაიტედის" კიდევ ერთი ვარსკვლავი **უეინ რუნი** კანდიდატთა შორისაც კი ვერ მოხვდა. სამაგიეროდ, მას წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელის პრიზის მოგება შეუძლია. რუნი ამ ჯილდოს 2005 და 2006 წლებში ფლობდა.

საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელის ნომინაციაში კრისტიანო რონალდოსა და ფაბრეგასის გვარებსაც ვხედავთ. მათ გარდა, კოლეგების ყურადღება დაიმსახურეს 23 წლის რედინგელმა თავდამსხმელმა **კევინ დოილმა**, "ტოტენჰემის" 19 წლის გარემარბმა **აარონ ლენონმა** და "მანჩესტერ სიტის" 18 წლის მცველმა **მიკა რიჩარდსმა**, რომელმაც ამ სეზონში ინგლისის ნაკრებში სადებიუტო მატჩი ჩაატარა.

საბუქმეიქერო კანტორა "ფედი ფაუერმა" ფსონების მიღება ორშაბათს დაიწყო, მაგრამ ორი დღის თავზე კრისტიანო სიიდან გაქრა. ფსონების 95 პროცენტი პორტუგალიელ გარემარბზე დაიდო. ბევრმა ოთხნიშნა თანხაც კი არ დაიშურა. "ფედი ფაუერის" წარმომადგენელმა განაცხადა: *"პორტუგალიელის გამარჯვება ძვირი დაგვიჯდება, მაგრამ ჩვენ ერთადერთნი არ ვიქნებით, ვისაც მისი საუცხოო სეზონი დააზარალებს."* სხვა ფეხბურთელთა შანსები ასეთია: დროგბა - 5/2, სქოულზი - 13/2, ჯერარდი - 25/1, ფაბრეგასი - 25/1, გიგზი - 28/1.



კრისტიანო რონალდო

დაპირისპირება

# ალვარესს მოკვლით დაემუქრნენ

## სკანდალურმა არბიტრმა ანონიმური ზარების უკან მიატოვიჩი დაინახა, პედიამ ბრალდება კატეგორიულად უარყო...



არეულობა რასინგი-რეალის მატჩისას

სამეფო კლუბისა და **ტურიენსო ალვარესის** დაპირისპირებამ ახალი გაქანება პოვა. თუ აქამდე "რეალის" მესვეურები აქტიურობდნენ, ამჯერად ასპარეზზე თავად სკანდალური მატჩის არბიტრი გამოვიდა. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, დედაქალაქური გრანდის კარში უსამართლო ორი პენალტის დამნიშვნელი კაცი **პრედრაგ მიატოვიჩისა** და **ფაბიო კაპელოს** დასჯას ითხოვს. სენიორ ალვარესი გუშინ "კადენა სინკოს" პირდაპირ ეთერში მიიწვიეს და საშუალება მისცეს, ფართო საზოგადოებისთვის მოსაზრებები გაეზიარებინა: *"საშინლად დაუცველად ვგრძნობ თავს. ფეხბურთი და ჩემი საქმე უზომოდ, მეტიც, ფანატიკურად მიყვარს. ყოველთვის კეთილსინდისიერად ვმსახურობდი, მაგრამ პროფესიულმა ცხოვრებამ აუტანელი ტკივილი და განცდა მომიტანა. ცდილობენ, თავს ლაფი დამასხან და საქვეყნოდ შემარცხვინონ. პრედრაგ მიატოვიჩი ყოველგვარი ფაქტების გარეშე თავს უფლებას აძლევს, მოსყიდულ მსაჯად გამასაღოს. ეს ცილისწამებაა და ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციისგან მყისიერ რეაგირებას ვითხოვ. ფაბიო კაპელოც უსამართლოდ მომეპყრო. მან დედა შემაგინა. რა თქმა უნდა, ყველა საჭირო დოკუმენტს მოვამზადებ და აუცილებლად ვიჩივლებ. საუბედუროდ, პრობლემები ამით არ სრულდება. მიატოვიჩი და კაპელო თვალხილულნი არიან, მაგრამ მე უხილავი ხალხიც მებრძვის. ყოველდღე ანონიმურ სატელეფონო ზარებს ვპასუხობ. მემუქრებიან! რას არ მეუბნებიან, სიკვდილითაც კი ცდილობენ ჩემს შეშინებას. ცხოვრება ტანჯვად მიქციეს. ექვსი წლის ქალიშვილი მყავს. გუშინ პარკიდან ატირებული დაბრუნდა, ბავშვები მეუბნებიან, რომ მამაშენმა "რეალის" ჩასაძირად ფული აიღო, მან ბინძური შეკვეთა შეასრულაო. ყველაზე მეტად ჩემი ოჯახის წევრებზე ვღელავ. ყურიდან არ ამომდის ვიღაც გარეწრის ხმა, რომელმაც ცინიკურად მომახსენა, ცოლ-შვილი რომ გყავს, ხომ არ დაგავიწყდაო. საზოგადოებას მოვუწოდებ, ყველაფერი ცივი გონებით გაანალიზოს. მე ქრთამი არ ამიღია, არც ვინმეს შეკვეთა შემისრულებია. შესაძლოა, შეცდომა დავუშვი, მაგრამ მიზანმიმართულად არაფერი გამიკეთებია. არ გამოვრიცხავ, ანონიმური სატელეფონი ზარების უკან მიატოვიჩი იდგას. მისგან არაფერია გასაკვირი. მიუხედავად ყველაფრისა, უკან არ დავიხევ და საჩივარს შევიტან."*

სენიორ ალვარესის სკანდალურ სატელევიზიო ინტერვიუს მოგვიანებით მიატოვიჩი გამოეხმაურა და განაცხადა, რომ კრიმინალი არ არის, ვინმეს მოკვლით დაემუქროს. ამავდროულად სამეფო კლუბის გენერალური დირექტორი კვლავ დარწმუნებულია, რომ ბატონმა ტურიენსომ მისი გუნდი განზრახ დაჩაგრა და მიიჩნევს, რომ მსაჯი გულისამაჩუყებელი განცხადებებით რთული სიტუაციიდან გამოძრომას ცდილობს.

მანჩესტერ იუნაიტედი

# ოლდ ტრეფორდზე დიდას გარეშე

## პედერსენი 8 მილიონად, ეშმაკებს კრიშიტო, ხოლო ქალბატონს ვიდიჩი მოუნდა, კეიროში ფერგის ბოლომდე ერთგულებს...



სერ ალექს ფერგიუსონი და კარლუშ კეიროში

**ნელსონ დიდა** "მანჩესტერთან" პირველ ნახევარფინალს გამოტოვებს. გასულ უქმეებზე "მილანმა" "მესინას" 3:1 მოუგო. ბრაზილიელმა გოლკიპერმა მხარი დაიზიანა. "როსონერის" ექიმის **ჟან პიერ მეერსემანის** თქმით, ვითარება კრიტიკული არ არის. ფეხბურთელს 8-10 დღე გაუცდება. ეს კი "ოლდ ტრეფორდის" მატჩის (24 აპრილს) გამოსატოვებლად საკმარისია.

გავაგრძელოთ "მანჩესტერზე" საუბარი. "ეშმაკები" 8 მილიონ გირვანქას ამზადებენ. მათ "ბლექბერნის" გარემარბ **მორტენ გამსტ პედერსენის** შეძენა სურთ. პედერსენი "ივუდ პარკზე" მესამე სეზონს ატარებს. ის "ვარდების" ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელია. **სერ ალექს ფერგიუსონი** მასში **რაიან გიგზის** შემცვლელს ხედავს. უელსელი 33 წლისაა. ნორვეგიელი ლეგიონერი კი მხოლოდ 25-ის. გასულ ზაფხულს მორტენ გამსტს "ტოტენჰემი" იწვევდა. "ბლექბერნმა" საპასუხოდ ხელფასი გაუორმაგა (კვირაში 20 ათას გირვანქას უხდის) და ახალი ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. ხელშეკრულებაში ჩადებულია პუნქტი, რომელიც ფეხბურთელს ვადამდე აბარგების უფლებას აძლევს. განსაზღვრულია გამოსასყიდი თანხაც: ზემოთხსენებული 8 მილიონი გირვანქა.

"იუნაიტედის" სატრანსფერო ამბიციები ამით არ ამოიწურება. "ეშმაკები" ახალგაზრდა იტალიელი მცველით, **დომენიკო კრიშიტოთიც** დაინტერესდნენ. ეს უკანასკნელი "ჯენოაში" თამაშობს. იანვრის ტრანსფერებისას მან "იუვენტუსთან" წინასწარი კონტრაქტი გააფორმა. ივნისში კრიშიტომ ტურინს უნდა მიაშუროს. "ტუტოსპორტის" ცნობით, "იუნაიტედი" ყმაწვილის ხელში ჩაგდებას შეეცდება. დაინტერესებულია მადრიდის "რეალიც", თუმცა გრანდებს მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ კომენტარი არ გაუკეთებიათ.

"მანჩესტერისა" და "იუვენტუსის" გზები, შეიძლება, სხვაგანაც გადაიკვეთოს. "ქალბატონმა" **ნემანია ვიდიჩი** მოიკითხა. მოლაპარაკებების დაწყების პირველი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. "ეშმაკებმა" სერბი მცველის სანაცვლოდ შეთავაზებულ 7 მილიონ გირვანქაზე თავაზიანი უარი განაცხადეს. ფერგი ვიდიჩთან გამოთხოვებას არ აპირებს. ის მისი გუნდის წამყვანი ცენტრალური მცველია.

ამასობაში, "იუნაიტედის" მეორე მწვრთნელმა **კარლუშ კეიროშმა** ახალი კონტრაქტი გააფორმა. ფინანსური პირობები უცნობია. 2004 წელს, როცა ერთწლიანი მადრიდული ეპოპეის შემდეგ ის მანჩესტერში დაბრუნდა, სამწლიან ხელშეკრულებაზე მოაწერა ხელი. სპეკულაციების თანახმად, კეიროში საინტერესო შეთავაზებების განსახილველად მზად იყო, მაგრამ მითქმა-მოთქმას გუშინ დაესვა წერტილი. კეიროში "მენიუში" მინიმუმ მომავალ ზაფხულამდე დარჩება. სერ ალექსის კონტრაქტიც 2008 წლის ივნისში იწურება.

ბარსელონა. ტრანსფერები

# ჟიგიჩი გუდიონსენის ნაცვლად?

"ბარსელონა" სანტანდერელ თავდამსხმელ **ნიკოლა ჟიგიჩს** ყიდულობს. ამ ინფორმაციას "დიარიო სპორტი" ავრცელებს. კატალონიელებს ათლეტური აღნაგობის ფეხბურთელი 8-10 მილიონი ევრო დაუჯდებათ. მისი ტრანსფერი სპორტული დირექტორის, **ჩიკი ბეგირისტაინის** რეკომენდაციით ხორციელდება. ჟიგიჩი "რასინგში" გასულ ზაფხულს ჩაირიცხა, თუმცა "ბარსელონას" დაუფიქრებლად მიაშურებს.

ვის ადგილს დაიკავებს სერბი ლეგიონერი? მიმომხილველთა მტკიცებით, ის **ეიდურ გუდიონსენს** შეცვლის. ისლანდიელ თავდამსხმელს ინგლისში დაბრუნებას უწინასწარმეტყველებენ. მისი შეძენა "მანჩესტერ იუნაიტედსა" და "ნიუკასლს" სურთ. მოსალოდნელი ტრანსფერებზე ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

და კიდევ, "ბარსელონის" ბრაზილიელმა მცველმა **ედმილსონმა** ბარძაყის კუნთი დაიზიანა. ის ორი კვირა დაისვენებს. ესპანეთის ჩემპიონატის დასრულებამდე რვა ტურია დარჩენილი.



ნიკოლა ჟიგიჩი ყაზახეთთან მატჩისას

### ლივერპულმა იაკუინტა მოისურვა

"ლივერპულის" ბოსი **რაფა ბენიტესი** სატრანსფერო სიას ამზადებს. მისი ყურადღება "უდინეზეს" თავდამსხმელმა **ვინჩენცო იაკუინტამ** მიიპყრო. 28 წლის ფორვარდმა სერია A-ში 25 მატჩი ჩაატარა და 13 გოლი შეაგდო. ფრიულელები მის სანაცვლოდ 10 მილიონ გირვანქას მოითხოვენ. ბენიტესს შემადგენლობის გასაძლიერებლად 40 მილიონს აღუთქვამენ. ეს იმას ნიშნავს, რომ იაკუინტას ტრანსფერი უმტკივნეულოდ განხორციელდება. "ლივერპულის" ემისრები შაბათს, "უდინეზე"-"კიევოს" მატჩს (2:1) დაესწრნენ. პირველი გოლი ვინჩენცომ შეაგდო. ბენიტესმა იტალიელ ფორვარდზე ორაზროვანი კომენტარი გააკეთა: *"ბევრ ფეხბურთელს ვაკვირდებით. იაკუინტა? დიახ, ის ძალიან მომწონს."*

### სალაიეტა ვილიარეალში, ტაკინარდი იუვეში

"ვილიარეალმა" "იუვენტუსს" გარიგება შესთავაზა. ესპანელებს ურუგვაელი თავდამსხმელი **მარსელო სალაიეტა** სურთ. სალაიეტას ტურინიდან აბარგება მოუწევს. "ბებერი ქალბატონი" სერია A-ში დაბრუნებისთანავე უმაღლესი კლასის თავდამსხმელს იყიდის. უცნობია, რა თანხას გადაიხდიან "ყვითელი სუბმარინები". სეზონის ბოლოს "ვილიარეალიდან" ტურინში გაემგზავრება საყრდენი ნახევარმცველი **ალესიო ტაკინარდი**. მან ესპანეთში იჯარით ერთი სეზონი გაატარა.

### ტევესი კორინთიანსში ბრუნდება?

**კარლოს ტევესს** ბრაზილიაში დაბრუნება შესთავაზეს. არგენტინელმა თავდამსხმელმა ბოლო ხუთ შეხვედრაში სამი გოლი შეაგდო, მაგრამ მისი "ვესტ ჰემი" პრემიერლიგას ემშვიდობება. გავარდნის შემთხვევაში, კარლოსი ახალ სამსახურს მიაშურებს. ერთი ვარიანტი უკვე ცნობილია. ფორვარდს თანამშრომლობა შესთავაზა "კორინთიანსმა". გასულ ზაფხულს ტევესი და **ხავიერ მასკერანო** ლონდონში სწორედ "კორინთიანსიდან" წავიდნენ. ორიოდე დღის წინ ბრაზილიურ გრანდში ახალი მწვრთნელი მივიდა. **პაულო სესარ კარპეჯანიმ** დირექტორებს კარლოსის დაბრუნება მოსთხოვა.

### ფრიდელის ახალი კონტრაქტი

**ფრედ ფრიდელმა** "ბლექბერნთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა. 35 წლის გოლკიპერი ინგლისში 2009 წლის ივნისამდე დარჩება. ხელშეკრულებას "ჩელსისთან" ასოციაციის თასის ნახევარფინალის წინ მოეწერა ხელი. ფრიდელს ამერიკის ნაკრებში 82 მატჩი აქვს ჩატარებული. ის "ლივერპულის" ყოფილი გოლკიპერია. ფრედი "ივუდ პარკზე" 2000 წელს გადავიდა და მას მერე 241 მატჩი გამართა.

### კელერმა სეზონი დაასრულა

მიონხენგლადბახის "ბორუსიას" ქვა ალმართში მიენია. გასულ უქმეებზე მან შინ "ჰამბურგთან" წააგო (0:1). გლადბახელები უსაფრთხო ზონას შვიდი ქულით დაშორდნენ. მათ გავარდნისაგან მხოლოდ სასწაული თუ გადაარჩენთ. ამ ფონზე "ბორუსიას" ძირითადი გოლკიპერიც გამოაკლდა. **კეისი კელერმა** ბარძაყის კუნთი დაიზიანა და ნაადრევად დაასრულა სეზონი. 37 წლის გოლკიპერს კონტრაქტიც ივნისში ეწურება. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ტრავმით ამერიკელი ლეგიონერი, ფაქტობრივად, "გლადბახსაც" გამოეთხოვა. მას ნაკრებში 96 მატჩი აქვს ჩატარებული, გერმანიაში კი 2004 წლიდან მოღვაწეობს.

### დასწრების ახალი რეკორდი საფრანგეთში

გასულ უქმეებზე საფრანგეთის ჩემპიონატში დასწრების ახალი რეკორდი დამყარდა. 32 ტურის შეხვედრები ცოცხლად 6.8 მილიონმა ადამიანმა ნახა. აქამდე სარეკორდოდ ითვლებოდა 2004 წლის მაჩვენებელი, როცა 32 ტურის შემდეგ 6.5 მილიონი ადამიანი დაფიქსირდა. ჩემპიონატის მიმართ ინტერესი იზრდება. ჩემპიონი კი გამუდმებით ერთი და იგივე გუნდი ხდება. ცოტაც და "ლიონი" ზედიზე მეექვსედ დაეუფლება ტიტულს. გათამაშების დასრულებამდე რვა ტურით ადრე სხვაობა მასა და მეორეადგილოსან "ტულუზს" შორის 17 ქულას შეადგენს.

### დაფი საზაფხულო შვებულებაში გავიდა

გასულ უქმეებზე "პორტსმუთმა" "ნიუკასლი" 2:1 დაამარცხა. ჯორდებს სხვა სერიოზული დანაკლისიც გადახდათ. 81-ე წუთზე ირლანდიელი ნახევარმცველი **დემიენ დაფი** დაშავდა და თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო. სამედიცინო შემოწმებამ ცხადყო, რომ მას ტერფის ძვალი აქვს დაზიანებული და ამ სეზონში ველარ ითამაშებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ რაულ გონსალესთან

# მითხრან, რა სურთ!

## როგორც ჩანს, კაპელოს მოეჩვენა, გონსალეს ბლანკო სულაც არ არის დაღლილი...

**დიდი ხანია, ესპანურ მედიაში რაულ გონსალესის ვრცელი ინტერვიუ არ გამოქვეყნებულა. "რეალის" კაპიტანი იმდენად დაკავებული იყო, რომ ექსკლუზიური ინტერვიუსთვის ვერა და ვერ იცლიდა. არადა, საზოგადოებაში უამრავი კითხვა დაგროვდა. გულშემატკივრებს, პირველ რიგში, აინტერესებთ, რა ელის გონსალეს ბლანკოს. ცნობილია, რომ სამეფო კლუბს მისთვის კონტრაქტის გახანგრძლივება არ შეუთავაზებია. ჟურნალისტისა და რესპონდენტის საუბარი "რასინგთან" მატჩის გახსენებით დაიწყო...**

**- პრიმერა დივიზიონის ბოლო ტურში უმნიშვნელოვანესი ქულები დაკარგეთ. შანსი გქონდათ, ჩემპიონობისკენ მიმავალ გზაზე ერთი ნაბიჯით ნაგენიათ წინ, მაგრამ კანტაბრიიდან ხელმოცარულები დაბრუნდით...**

- ამ თემაზე ძალიან ბევრი ვისაუბრეთ. ფაქტობრივად, არ დარჩა არც ერთი ფეხბურთელი, რომელმაც კომენტარი არ გააკეთა. მიუხედავად ამისა, საკითხი ამოწურულად არ მიმაჩნია. საშინელი საღამო გვქონდა. სამეფო კლუბმა შესანიშნავად ითამაშა და წაგება არანაირად არ დაუმსახურებია. ჩვენ მართლაც მთელი პასუხისმგებლობით ვითამაშეთ, მაგრამ მსაჯის გაუგებარი მუშაობის გამო, ყველაფერი წყალში ჩაგვეყარა. როგორც კაპიტანს, ალბათ, არ შემშვენის არბიტრებზე აუგად საუბარი, თუმცა ისეთ უსამართლობას წავაწყდით, შეუძლებელია, სიმშვიდე შევინარჩუნო. გადამწყვეტ მომენტში ფეხი დაგვიდეს და აბსოლუტურად უსამართლოდ დაგვჩაგრეს. რა გაეწყობა, ახლა დარჩენილ რვა შეხვედრაზე უნდა ვიფიქროთ. რა თქმა უნდა, "ბარსელონა" სერიოზულ უპირატესობას ფლობს, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ გამარჯვება განაღდებული აქვს.

**- თქვენ და თქვენს თანაგუნდელებს ხომ არ გეჩვენებათ, რომ "რეალს" მიზანმიმართულად ებრძვიან?**

- მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ტურიენსო ალვარესი და "რასინგთან" მატჩი წარსულში დარჩა. უმჯობესია, მომავალზე ვიფიქროთ. სეზონი ჯერ არ დასრულებულა. ვალდებულები ვართ, იქამდე ვიბრძოლოთ, სანამ ჩემპიონობის თეორიული შანსი მაინც იარსებებს. მომავალ ტურში "ვალენსიას" ვმასპინძლობთ. ურთულესი მატჩი გველის. თუ მთელ დროს წარსულზე საუბარსა და წუწუნს დავუთმობთ, მოსამზადებლად დრო არ დაგვრჩება და "ღამურებთან" წავაგებთ. ეს კი დასასრული იქნება. არათუ პრიმერა დივიზიონში გამარჯვების შანსს, არამედ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შესაძლებლობასაც დავკარგავთ. მოკლედ, უმნიშვნელოვანესი პაექრობა გველის. დროა, სერიოზულ მზადებაზე გადავიდეთ. რა თქმა უნდა, მეტისმეტად იმედგაცრუებულები ვართ, მაგრამ პროფესიონალებმა ყველა გამოცდას უნდა გაუძლონ.

**- და მაინც, როგორ ფიქრობთ, ტურიენსო ალვარესმა "რეალს" მიმდინარე სეზონში ყველაზე მეტი პრობლემა შეუქმნა? ის სხვებზე მეტად არაობიექტური და უსამართლო იყო?**

- თუ მოვიგებდით, კვირამდე ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერები ვხდებოდით. როგორც ჩანს, სენიორ ალვარესს ამის წარმოდგენაც კი არ სურდა. სხვაგვარად, უბრალოდ, ვერ ვიფიქრებ. ამდენი შეცდომა სამი მატჩისთვისაც კი მეტისმეტი იქნებოდა. სამწუხაროდ, ამ სეზონში არბიტრებმა მრავალი ქულა დაგვაკარგვინეს, მაგრამ ის, რაც სანტანდერში ვიხილეთ, ყოველგვარ ზღვარს გასცდა. გაცოფებულები ვიყავით. ვცდილობთ, დავმშვიდდეთ, მაგრამ ჯერაც ძალიან გაბრაზებულები გახლავართ.

**- თქვენი აზრით, როცა მსაჯი უსამართლოდ იქცევა, მას უნდა შეეწინააღმდეგო, თუ უმჯობესია, მკვეთრი რეაგირებისგან თავი შეიკავო?**

- უშუალოდ მატჩის მსვლელობისას ემოციები იმდენად ჭარბობს, რომ ჩუმად ვერ იქნები. მსაჯებთან კამათი ჩვეულებრივი მოვლენაა. უბრალოდ, დასაშვებ ზღვარს არ უნდა გადააჭარბო. ამით მხოლოდ საკუთარ თავსა და გუნდს დააზარალებ. ჯერ ერთი, მსაჯი გადაწყვეტილებას არცერთ შემთხვევაში არ შეცვლის. და მეორე, საშინელებაა, როცა ადამიანი ცხოველს ემსგავსება. თუ არბიტრს სიტყვიერ ან ფიზიკურ შეურაცხყოფას მიაყენებ, ის წითელ ბარათს აგიფრიალებს. შემდეგ კი სადისციპლინო კომიტეტში მოხსენებას გააკეთებს და სასტიკი დისკვალიფიკაციით დაგსჯიან. მოკლედ, თავშეკავებულობასა და ინტელექტს დიდი ფასი აქვს.

**- "რეალის" კაპიტნის აზრით, სამეფო კლუბმა მომხდარი უნდა დაივიწყოს და ტურიენსო ალვარესის წინააღმდეგ არ უნდა იმოქმედოს? გეცოდინებათ, რომ ხელმძღვანელობას სულ სხვა შეხედულება აქვს.**

- მხოლოდ იმის თქმა მსურს, რომ ფეხბურთელები დეკლარაციებითა და ხმაურიანი განცხადებებით ბრძოლას არ ვაპირებთ. შესაძლებელია, კლუბის ხელმძღვანელობას სხვა გეგმები ჰქონდეს. არ ვიცი, ინფორმაციას არ ვფლობ. ჩვენი საქმე იმდენად რთულია, რომ ერთბაშად რამდენიმე ფრონტზე ვერ ვიბრძოლებთ. ფეხბურთის მთავარი ამოცანა ვარჯიში და თამაშია. ასე რომ, მუშაობა და არაფერი მუშაობის გარდა.

**- ზედიზედ ორი ტურია, თავდამსხმელის პოზიციაზე თამაშობთ. ფაბიო კაპელომ განაცხადა, რაული წინ იმიტომ წავწიე, რომ ოდნავ დაღლილიაო. ხომ არ ფიქრობთ, რომ იტალიელი სპეციალისტის სიტყვები უცნაურად ჟღერს?**

- ფორვარდობა ყველაზე დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ამიტომ კაპელოსადმი სასაყვედურო აბსოლუტურად არაფერი მაქვს. ბოლო ორი თამაშია, იმპროვიზაციისთვის გაცილებით მეტი დრო მრჩება.

**- შედეგმაც არ დაახანა, ორი გოლი გაიტანეთ...**

- გოლები არ არის გადამწყვეტი. მოგეხსენებათ, წინა წლებში თავდასხმა მებარა. მსოფლიომ სწორედ ფორვარდად გამიცნო. როგორც გითხარით, მოწინააღმდეგის კარის სიახლოვეს მოქმედებისას უდიდეს სიამოვნებას ვიღებ. ფეხბურთელისთვის კი საკუთარი საქმით სიამოვნების მიღება გადამწყვეტია. თუ არ გსიამოვნებს, ვერც გოლს გაიტან და ჩემპიონიც ვერასოდეს გახდები. მოკლედ, კაპელოს გადაწყვეტილებას მივესალმები. დაღლილობას რაც შეეხება, სიმართლე გითხრათ, სულაც არ ვარ დაღლილი. როგორც ჩანს, კაპელოს ასე მოეჩვენა, მაგრამ გარწმუნებთ, ეს არ არის სიმართლე.

**- გეთანხმებით, თავდამსხმელი რაული სრულიად სხვა სანახავია. ფორვარდობისას სამეფო კლუბის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირთა დავაში უამრავ დიად ფეხბურთელს აჯობეთ. რაული წინ სათამაშოდაა დაბადებული, მაგრამ ბოლო სამი თუ ოთხი სეზონი ნახევარდაცვაში გაატარეთ. რატომ?**

- რა გითხრათ, ალბათ, ფიქრობდნენ, რომ თავდასხმაში არ ვვარგოდი და უკან დამწიეს (იცინის). ცდილობდნენ, ახალი ამპლუა ეპოვნათ. ეს მწვრთნელების საქმეა. მე კი ყოველთვის ერთი არჩევანი მაქვს: მათ გადაწყვეტილებებს უნდა დავემორჩილო. პრობლემა არასოდეს შემიქმნია, რადგან ყოველთვის ვაცნობიერებდი, რომ "რეალი" რაულზე გაცილებით დიდია. გუნდის ინტერესებისთვის ბრძოლაში თავი არასოდეს დამიზოგავს.

**- ბევრს მიაჩნია, რომ "რეალისთვის" თავდადება ძალიან ძვირად დაგიჯდათ. მაგალითად, ნაკრებში ადგილი დაკარგეთ.**

- ცხადია, რომ ნახევარდაცვაში გადასვლით, პირადად მე, სერიოზული პრობლემები შემექმნა. ინდივიდუალური თვალსაზრისითაც დავზარალდი. მიუხედავად ამისა, მართლაც არასოდეს დამიწუწუნია. სამეფო კლუბი დედასავით მიყვარს. მას ვერ ვუღალატებდი. თუ გუნდს დავჭირდები, ჩემს ამბიციებს არასოდეს წამოვაყენებ. აქაურობას მხოლოდ იმ შემთხვევაში დავტოვებ, თუ მეტყვიან, რომ საჭირო აღარ ვარ. ზოგჯერ მივმხვდარვარ, რომ მეტისმეტად ბევრი გავაკეთე, რომ ძალების დაზოგვა საქმეს არ გააფუჭებდა, თუმცა შემდეგაც ასევე ვიქცეოდი. რა ვქნა, მიყვარს ეს ვამპირი "რეალი" (იცინის). სამწუხაროდ, ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი აღარ მიწვევს. მას ვერაფერს მოვთხოვ. ლუის არაგონესი უფლებამოსილია, "სელექსიონის" შემადგენლობა პირადი შეხედულებისამებრ დააკომპლექტოს. მნიშვნელობა არ აქვს, დამაფასებენ თუ არა, მე მუდამ ნაკრებზე ვილოცებ. პატრიოტი ადამიანი ვარ.

**- ემერსონმა "რასინგთან" მატჩის ბოლო 15 წუთი კოჭლობით ჩაატარა. საინტერესოა, რატომ არ შეცვალა კაპელომ?**

- ასეთ პრინციპულ შეხვედრებში პრობლემას ვერასოდეს გაექცევი. თქვენ რა გგონიათ, მხოლოდ ემერსონს უჭირდა? თამაშის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე მარჯვენა ფეხის ცერა თითი ისე მტკიოდა, რომ ვყმუოდი, მაგრამ გამაყუჩებელი ნემსი გამიკეთეს და მაინც გავედი მოედანზე. მოწინააღმდეგესთან პირველივე შეჯახებისას თითი ისევ ამტკივდა, მაგრამ ხმა არ ამომიღია. ემერსონს შეცვლა არ მოუთხოვია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ თამაში ჯერ კიდევ შეეძლო.

**- "ბარსელონისა" და "მალიორკის" დაპირისპირება ხომ არ გინახავთ?**

- რა თქმა უნდა, ვნახე.

**- როგორ ფიქრობთ, კატალონიელებს ძაღლის ბედი აქვთ?**

- ბალეარელებს მართლაც იღბლის წყალობით მოუგეს. შესაძლოა, მათი მთავარი კოზირი მართლაც ბედი იყოს. დიდი იმედი მაქვს, რომ დარჩენილი რვა ტურის შემდეგ სიტუაცია რადიკალურად შეიცვლება და ჩემპიონი სამეფო კლუბი გახდება.

**- ვალდესი წითელ ბარათს არ იმსახურებდა?**

- რა თქმა უნდა, ის უნდა გაეძევებინათ. "ბარსას" მეკარემ უკანასკნელი იმედის ჯარიმა აიკიდა, მაგრამ მხოლოდ ყვითელი ბარათი უჩვენეს. ორი წუთის შემდეგ კი პენალტი მოიგერია. იღბალიც ესაა (იცინის).

**- დარჩენილი შეხვედრების კალენდარზე რას გვეტყვით?**

- შინ ყველაზე რთული ბრძოლა "ვალენსიასთან", "სევილიასა" და "სარაგოსასთან" გვექნება. ყველაფერი შეიძლება მოხდეს...

**- მაინც?**

- შეიძლება, ჩემპიონები გავხდეთ, ასევე შესაძლებელია, მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის საგზური ვიკმაროთ, ან საერთოდ, ოთხეულშიც ვერ მოვხვდეთ. რვა მატჩი ცოტა არ არის. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. გულშემატკივრებს თანაგუნდელების სახელით პირობას ვაძლევ, რომ თავს არ დავზოგავთ. დანარჩენს დრო გამოაჩენს.

**- ექსპერტების ერთი ნაწილი დარწმუნებულია, რომ რამონ კალდერონს რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა მოუწევს. სოსიოები და უბრალო გულშემატკივრები მისი მუშაობით უკმაყოფილოები არიან. რას ფიქრობს კაპიტანი ამ თემასთან დაკავშირებით?**

- ვიცი, სკანდალური განცხადება გაგახარებდათ, მაგრამ მომიწევს, იმედები გაგიცრუოთ. კაპიტანმა საკუთარ თავს კლუბის მმართველობაში ჩარევის უფლება არ უნდა მისცეს. მე მხოლოდ ვარჯიში და თამაში მევალება. სხვა არაფერი მაინტერესებს.

**- გასაგებია, მაგრამ არ მითქვამს, პრეზიდენტის მოვალეობებში ჩაერიეთ-მეთქი. მხოლოდ საკუთარი მოსაზრების დაფიქსირება გთხოვეთ.**

- კალდერონი პრეზიდენტია. ის ხალხმა აირჩია და კიდევ სამი წელი დარჩება. სამეფო კლუბს ახლა სიმშვიდესა და სტაბილურობაზე მეტად არაფერი სჭირდება. მოდით, ამ ადამიანებს მუშაობის საშუალება მივცეთ. არ ფიქრობთ, რომ ნახევარ წელიწადში წლების განმავლობაში დაგროვებული პრობლემების მოგვარება ძალიან რთულია? ყველას ვურჩევ, რიგგარეშე არჩევნების პროპაგანდას ნუ გააჩაღებენ.

**- ვიცით, რომ "ლივერპულს" თქვენი შეძენა სურს...**

- არა, ჩემთვის არც ერთი კლუბის დაინტერესების შესახებ არაფერი უთქვამთ. არც "ლივერპული" შემხმიანებია და არც "რეალის" დირექტორატს უცნობებია რამე.

**- გუშინ საკმაოდ ხმაურიანი განცხადება გააკეთეთ. რაშია საქმე, გაბრაზებული ხართ?**

- უბრალოდ, არ მიყვარს, როცა რაღაცას თავს არიდებენ და გაურკვევლობაში მტოვებენ. გუშინდელ ნათქვამს ახლაც გავიმეორებ, მითხრან რა სურთ. როგორც უკვე გითხარით, მე აქ დარჩენა მინდა, მაგრამ თუ რაულისა და სამეფო კლუბის შეფების სურვილები ერთმანეთს არ ემთხვევა, გულწრფელად მითხრან.



რაულ გონსალესი რასინგთან გატანილ გოლს ზეიმობს

**ილია ნიკოლაიშვილი**

შალკე

# კურანი და ასამოა ბრწყინავენ

## თუ ჩემპიონობას დორტმუნდში გაინაღდებენ, ჯერალდი შინ ფეხით წავა...

გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** ბუნდესლიგის გასული ტურიდან "მაინცისა" და "შალკეს" დაპირისპირება ამოარჩია. ბუნდესმწვრთნელი "შტადიონ ამ ბრუხვეგზე" იმყოფებოდა და ბუნდესგუნდის კანდიდატებს დააკვირდა. მატჩის ყურებისას მას აუცილებლად გაახსენდებოდა ის დრო, როცა **კევინ კურანი** და **ჯერალდ ასამოა** გერმანიის ეროვნულ გუნდში რეგულარულად ხვდებოდნენ - მაშინ ლიოვი **იურგენ კლინსმანის** ასისტენტი გახლდათ.

დღესდღეობით გერმანიის ნაკრების ძირითადი თავდასხმა **მიროსლავ კლოზესა** და **ლუკას პოდოლსკის** დუეტია. კურანი ლიოვმა ხანგრძლივი პაუზის შემდეგ კვლავ დააბრუნა ბუნდესგუნდში, ასამოას კი, ძალიანაც რომ სდომოდა, ვერ გამოიძახებდა, რადგან წარმოშობით განელი ფორვარდი ზაფხულს აქეთ ტრავმირებული გახლდათ. მოკლედ, ჯერალდი დაბრუნდა, დაბრუნდა შესანიშნავად და "შალკეს" ქომაგებს გაახსენა, თუ ვინ არის მათი საყვარელი ფეხბურთელი. სწორედ ასამოა და კურანი იყვნენ ის ფეხბურთელები, რომლებმაც ათი დღის წინათ მიონხენგლადბახის "ბორუსიის" კარში გოლები გაიტანეს, მერე კი, "მაინცთანაც" თითოჯერ იხეირეს და "ბაიერნთან" განცდილი მარცხის (0:2) შემდეგ, ქომაგებს ხასიათი ისევ გამოუსწორეს.

*"თუ ასე გავაგრძელებთ,* - ამბობს ექვსთვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ ბრწყინვალედ დაბრუნებული ასამოა, - *ჩემპიონობას აუცილებლად ვიზეიმებთ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეიფორიაში უნდა ჩავვარდეთ: ჯერ არაფრისთვის მიგვიღწევია. ახლა, მომდევნო ტურში "კოტბუსს" უნდა მოვუგოთ და პოზიციები გავიმყაროთ. ეს ისტორიული შანსია, რომლის ხელიდან გაშვება არ შეიძლება."*

ისტორიულ შანსებზე თუ ვილაპარაკებთ, ასამოამ ნამდვილად იცის, რაზეც საუბრობს. ჯერალდი "შალკეს" ფეხბურთელებში ყველაზე ძველი კადრია - ის გელზენკირხენულ კლუბში 1999 წლიდან თამაშობს. "შალკეს" დღევანდელი შემადგენლობიდან მხოლოდ მან გამოსცადა 2000/2001 წლის სეზონის მწარე დასასრულის გემო, როცა "შალკემ" ჩემპიონობა ბოლო წამებზე დაკარგა და ისტორიული შანსი ხელიდან გაუშვა. *"მაგრამ დღევანდელ და მაშინდელ სიტუაციებს ერთმანეთს ვერ შევადარებთ. მაშინ "შალკე" ბუნდესლიგის ფავორიტი არ იყო და ძალიან გაგვიმართლა, ბოლო ტურამდე რომ გვქონდა ჩემპიონობის შანსი. 2001 წელს უდიდეს ეიფორიაში ვიყავით და სწორედ ამ ეიფორიამ დაგვღუპა. დღეს კი გაცილებით ძლევამოსილი გუნდი გვყავს. გული კარგს მიგრძნობს,"* - ოპტიმისტობს ასა.

"მაინცთან" გამარჯვება შალკელებმა, არც მეტი, არც ნაკლები, დორტმუნდში, სწორედ იმ დისკოთეკაზე იზეიმეს, სადაც მათი მოსისხლე მტრის, "ბორუსიის" ფეხბურთელები დადიან ხოლმე. ყველაზე მეტი სწორედ ასამოამ იცეკვა. იმ დროს "დორტმუნდის" ფეხბურთელებს ეძინათ, რადგან კვირას "ვერდერთან" უნდა ეთამაშათ. ბოლოსწინა ტურში "შალკე" სწორედ BVB-ს სტუმრობს და იქნებ რეპეტიცია გაიარეს - დიდი შანსია, რომ გელზენკირხენელებმა ჩემპიონობა სწორედ დორტმუნდში გაინაღდონ.

**ლევან კობიაშვილის** გუნდის ფანებიც სწორედ ამაზე ოცნებობენ: *"ჩემპიონები დორტმუნდში გახდებით!"* - მღეროდნენ ისინი მაინცში. *"ჩემთვის აბსოლუტურად სულერთია, სად გავინაღდებთ ჩემპიონობას, მაგრამ თუ ეს დორტმუნდში მოხდება, მაშინ სიტყვას გაძლევთ, რომ სახლამდე ფეხით ჩავალ. ეს მართლაც გრანდიოზული რამ იქნებოდა,"* - ამბობს ასამოა. ამ შემთხვევაში მას 35 კილომეტრის ფეხით გავლა მოუწევს.

2 ივნისს გერმანიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში სან მარინოს მასპინძლობს (გახსოვთ 13:0?) და დიდი შანსია, რომ იმ შეხვედრისთვის ლიოვმა კურანი და ასამოა ბუნდესგუნდშიც ერთად დაიბაროს და ათამაშოს...



კევინ კურანი და ჯერალდ ასამოა

### შალკემ შობერი დაიბევა!

ამასობაში "შალკეს" ხელმძღვანელებმა მომდევნო სეზონისთვის მორიგი ტრანსფერი სრულჰყვეს. როგორც მოსალოდნელი იყო (ადრეც ვიუწყებოდით), გელზენკირხენულმა კლუბმა წინასწარი კონტრაქტი გაუფორმა როსტოკის "ჰანზას" კარის დარაჯ **მათიას შობერს**, რომელიც კობიაშვილის გუნდის წინადადებას მაშინვე დათანხმდა. 31 წლის გოლკიპერი "აუფ შალკეზე" თავს უცხოდ ნამდვილად არ იგრძნობს, რადგან ძველი შალკელია და ამ გუნდში 1990-იდან 2000 წლამდე ირიცხებოდა. მერე კი გელზენკირხენი დატოვა და როსტოკში გადაბარგდა. შობერს "ჰანზასთან" კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და ამრიგად, "შალკეში" ყოველგვარი საზღაურის გარეშე გადავა. მან კობის გუნდთან ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

*"შალკე" ჩემთვის მშობლიური გუნდია. მიხარია, რომ კიდევ ერთხელ მეძლევა შანსი, ამ გუნდში ვიასპარეზო,"* - ამბობს შობერი. გელზენკირხენელთა პირველი მეკარე დღესდღეობით ახალგაზრდა **მანუელ ნოიერია**. შობერი "შალკეს" კონკურენციის გასამძაფრებლად სჭირდება. გენერალური მენეჯერის, **ანდრეას მიულერის** თქმით, მას აუცილებლად მიაჩნდა ის, რომ მომდევნო სეზონს "შალკე" ორი მაღალი დონის გოლკიპერით შეხვედროდა. შობერს ბუნდესლიგაში "ჰანზას" მაისურით 123 მატჩი აქვს ჩატარებული, მეორე ბუნდესლიგაში კი 63.

**გოტფრიდ ლენცი**

ინტერვიუ ტიერი ანრისთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტიტი ჩემპიონ ინტერს ქომაგობს

## და მილანს მანჩესტერთან მატჩისთვის რჩევებს აძლევს

**ტიერი ანრის, თურმე, "ინტერის" წარმატებები ახარებს. იუვენტუსური წარსულის მიუხედავად, ფრანგს იმედი აქვს, რომ "ნერაძური" დღეს "რომას" დაამარცხებს და იტალიის ჩემპიონი გახდება. ტრავმის გამო უფეხბურთოდ დარჩენილმა ფორვარდმა ორშაბათს ლონდონში "რიბოკის" ახალი ბუცი "სპრინტფიტი" წარადგინა. პრეზენტაციას "გაძეტა დელო სპორტის" კორესპონდენტიც დაესწრო. იტალიელმა ჟურნალისტმა შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა და ანრის რამდენიმე შეკითხვა დაუსვა.**

**- ანრი, მილანის ხსენებაზე რაიმე განსაკუთრებული აზრები ხომ არ გებადებათ?**

- პირველი, რაც გონებაში მომდის, "სან სიროა". ამ სტადიონზე თამაში მართლა დიდი სიამოვნებაა, მიუხედავად იმისა, რომ მოედნის საფარი ხანდახან პლაუს ჰგავს...

**- იცით, რომ თქვენი "სან სიროზე" ხილვისთვის მილანური გუნდები მზად არიან, ყველაფერი გააკეთონ?**

- მე "არსენალთან" კონტრაქტი მაქვს, არასწორი იქნება, რომ შესაძლო ტრანსფერებზე დავიწყო ლაპარაკი. მაგრამ ერთი რამე მინდა ვთქვა: ბედნიერი ვარ, რომ "ინტერი" ჩემპიონობისკენ მიდის. მოედანზე მიღწეულ ჩემპიონობას ვგულისხმობ. შარშანდელი სკუდეტო მილანელებს არავისთვის წაურთმევიათ, მაგრამ წლევანდელს მაინც სულ სხვა ხიბლი ექნება.

**- მორატის წარმატება გიხარიათ?**

- დიახ, ამ ადამიანმა ფეხბურთისთვის ბევრი კარგი საქმე გააკეთა. ბრწყინვალე პიროვნებაა, თუ არ ვცდები, ერთხელ სტადიონზე ველოსიპედით მისულიც კი ვნახე. წარმოიდგინეთ, მორატი, ასეთი პრესტიჟული კლუბის პრეზიდენტი, "სან სიროზე" ველოსიპედით მიდის... საოცარი არ არის?

**- თქვენი ეს კომპლიმენტები "ინტერის" მისამართით "მილანის" ტიფოზებს გვარიანად გაანაწყენებს. ამის თავიდან ასაცილებლად, იქნებ რამდენიმე რჩევა მისცეთ "მილანს" ჩემპიონთა ლიგისთვის...**

- თუ ფიქრობთ, რომ ახლა ტაქტიკური სქემების მოხაზვას დავიწყებ "მანჩესტერის" დასამარცხებლად, ძალიან სცდებით. ის კი ფაქტია, რომ "არსენალი" ერთადერთია, ვინც ამ სეზონში "იუნაიტედს" ორჯერ მოუგო. "ოლდ ტრაფორდზე" სპექტაკლი დავდგით, მერე "ემირითს სთედიუმზეც" მოვიგეთ, თუმცალა, უნდა ვაღიარო, რომ მეორე გამარჯვება ბოლომდე დამსახურებული არ ყოფილა. მაგრამ "მანჩესტერის" დამარცხების რაიმე საიდუმლო არ არსებობს. საჭიროა, რომ პირველიდან ბოლო წუთამდე შეუტიო. ჩვენ ეს ორჯერ შევძელით, გოლები ბოლო წუთებზე გავიტანეთ, იმიტომ, რომ გამარჯვების ბოლომდე გვჯეროდა.

**- "მანჩესტერ იუნატედი" ერთ-ერთია ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასული სამი ინგლისური გუნდიდან. ნუთუ, ინგლისური ფეხბურთის დონე ასე აღემატება სხვა ჩემპიონატებისას?**

- გამოუცდელობა რომ არა, "არსენალსაც" შეეძლო, თავისი სიტყვა ეთქვა. თუმცა მართალია: ამ მომენტისთვის ინგლისური საკლუბო ფეხბურთის დონე მართლაც ყველას აღემატება.

**- და სანაკრებო დონეზე? მსოფლიოს ჩემპიონი იტალია მართლა ყველაზე ძლიერი გუნდია?**

- მსოფლიოს ჩემპიონატი იტალიამ მოიგო. ამით ყველაფერი ნათქვამია, მორჩა და გათავდა. რევანში ევრო 2008-ის შესარჩევ ეტაპზე ავიღეთ, მაგრამ ეს შეხვედრა მხოლოდ სამ ქულად ფასობს. ის კი აქედანვე ცხადია, რომ იტალიის წინააღმდეგ თამაში არასდროს იქნება ისეთი, როგორც სხვებთან. ასეთი ადრეც არ ყოფილა და მით უმეტეს ახლა. დანარჩენი კი მხოლოდ ცარიელი სიტყვებია.

**გოგა ახალაძე**




ტიერი ანრი



კრისტოფ მეტცელდერი და ნელსონ ვალდესი ვერდერთან ნამატჩევს

დორტმუნდი

# ბორუსია კატასტროფის ზღვარზე

## მიუხედავად ამისა, ფეხბურთელები მშვიდად არიან...

ცხრა დღის წინათ დორტმუნდის "ბორუსიამ" "ალემანიას" 4:1 მოუგო და მეორე ბუნდესლიგაში გასავარდნი ზონიდან ამოვიდა. ბევრმა იფიქრა, რომ ვესტფალიელები აზრზე მოვიდნენ, მაგრამ ეს აზრი მცდარი აღმოჩნდა. კვირას "ბორუსიამ" "ვერდერს" ვერაფერი დაუპირისპირა, 0:2 დამარცხდა და თავი ისევ მძიმე მდგომარეობაში ჩაიგდო. შავ-ყვითლები ახლა მე-15 ადგილზე არიან და მეთექვსმეტეადგილოსანს მხოლოდ და მხოლოდ 2 ქულით უსწრებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ "დორტმუნდი" კვლავინდებურად უდიდესი საფრთხის წინაშე დგას. მოკლედ, საკუთარ კედლებში განცდილმა მე-5 მარცხმა გუნდში ისევ ყველაფერი არია.

მიუხედავად ამისა, "ბორუსიის" ფეხბურთელები მაინც მშვიდად არიან, რაც ერთობ გასაკვირია. იმ დროს, როცა BVB-ს გულშემატკივრებს ნერვები აწყდებათ, მოთამაშეები წყნარად საუბრობენ იმაზე, რომ დღეს "დორტმუნდი" ის გუნდი არაა, "ვერდერს" ჯეროვანი წინააღმდეგობა რომ გაუწიოს. მართალია, ყველამ იცის, რომ "ვერდერი" "ბორუსიაზე" ერთი თავით (თუ მეტით არა) მაღლა დგას (ეს სატურნირო ცხრილიდანაც ჩანს), მაგრამ რატომ ვერ უნდა ეთამაშოს "დორტმუნდი" "ვერდერს" საკუთარი პუბლიკის წინაშე ტოლ-სწორად, როცა, მაგალითად "კოტბუსმა", ბრემენულ კლუბს ამ სეზონში ორივეჯერ ქულები აართვა? შედარებისთვის, "კოტბუსის" საშინაო მატჩებს მაქსიმუმ 20 000 მაყურებელი ესწრება ხოლმე, დორტმუნდის "ვესტფალენშტადიონი" კი მუდმივად გადაჭედილია (80 000).

წესითა და რიგით, დროა, "ბორუსიის" ფეხბურთელები გამოფხიზლდნენ და არსებული სიტუაცია რეალურად შეაფასონ, მაგრამ მათგან ყოვლად გაუგებარი და უაზრო განცხადებები ისმის. მაგალითად, BVB-ს კაპიტანმა **კრისტიან ვიორნსმა** კვირის მარცხის შემდეგ სავსებით სერიოზულად თქვა ასეთი რამ: *"მიუხედავად იმისა, რომ წავაგეთ, პროგრესი შეინიშნება."* **კრისტოფ მეტცელდერმა** წაგებული თამაშიდან ასევე პოზიტიური დასკვნა გააკეთა: *"გერმანიის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს კარგად ვეთამაშეთ, კრიტიკის საფუძველს ვერ ვხედავ."* თავდამსხმელი **ები სმოლიარეკი** კი ოცნებებშია: *"ანგარიში ჩვენ რომ გაგვეხსნა, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა..."*

ასეთი სისულელეები ფანებს ყელში ამოუვიდათ. სიმართლე ისაა, რომ "ვერდერი" "ალკმაართან" გადატანილი ბრძოლის შემდეგ გადაღლილი იყო და მიუხედავად ამისა, დორტმუნდელებმა "მუსიკოსებს" მაინც ვერაფერი დაუპირისპირეს. **თომას დოლის** გუნდმა კვირას ზუსტად ისე ითამაშა, როგორც მეორე ბუნდესლიგაში გასაგდებ გუნდს შეეფერება. ერთადერთი, ვინც მარცხის შელამაზებას არ ცდილობს, მწვრთნელია. დოლმა მატჩის შემდეგ ისევ თავისი შეგირდების მენტალიტეტზე ილაპარაკა და აღნიშნა, თითოეულმა მოთამაშემ საკუთარ თავს ჰკითხოს, ჩადო თუ არა სული და გული კვირის შეხვედრაშიო. ამ კითხვაზე "ბორუსიის" ფეხბურთელთა ნახევარზე მეტი თუ გულახდილები იქნებიან, მხოლოდ უარყოფით პასუხს თუ გასცემენ.

განსხვავება, პირველ რიგში, კლასში იგრძნობოდა. ავიღოთ, მაგალითად ორივე გუნდის ფლეიმეიქერები: აქეთ შეუჩერებელი და ვერცხლისწყალივით მოძრავი **დიეგო**, რომელმაც დორტმუნდელებს უამრავი პრობლემა შეუქმნა, იქით კი **სტივენ პიენაარი**, რომელიც "აახენთან" კარგად გამოიყურებოდა, "ვერდერთან" კი ისევ უმაქნისი გახლდათ. არადა, სწორედ პიენაარი გახლდათ ის კაცი, ვინც თამაშის წინ თავისი განცხადებებით გულშემატკივრებს ფაქტობრივად თავი რომ შეაზიზღა (*"ბორუსია არ არის გუნდი"; "თუ მეორე ბუნდესლიგაში გავარდებით, მაშინვე ავიბარგები"*).

ამრიგად, მომდევნო თამაშის წინ (შაბათს დორტმუნდელები ბერლინში ჩადიან), "ბორუსია" კვლავინდებურად უმძიმესი წნეხის ქვეშაა მოქცეული. თანაც, დოლს საკადრო პრობლემებიც მიემატა - **დედე**, რომელიც ბოლო მატჩებში უდავოდ საუკეთესო დორტმუნდელი იყო, ტრავმირებულია და დიდი შანსია, რომ გუნდს სეზონის ბოლომდე ველარ დაეხმაროს. ფაქტია, რომ ბრაზილიელი ვერც ბერლინში ითამაშებს და ვერც "აინტრახტთან". არადა, დედე აახენში შესანიშნავი იყო, "ვერდერთან" კი, სანამ იძულებით არ შეცვალეს, BVB-ს ერთადერთი ნათელი წერტილი გახლდათ.

დაბოლოს, ერთი კურიოზიც... სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს: თომას დოლმა მიმდინარე სეზონში ვერც "ჰამბურგთან" ერთად შეძლო თუნდაც ერთი საშინაო მატჩის მოგება და ვერც "დორტმუნდში" დანიშვნის შემდეგ. თომასის ბალანსი ასეთია: 8 ფრე, 3 მარცხი...

**გოტფრიდ ლენცი**

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი

საქართველოს ნაკრები

### ახალი ფრანგი მწვრთნელი



ნიკოლა ფულკიე

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს ფიზმომზადების მწვრთნელი დაუნიშნეს. ფრანგ სპეციალისტ **ნიკოლა ფულკიეს** რეკომენდაცია ნაკრების კონსულტანტმა **ანრი ბრონკანმა** გაუწია. ფულკიეს აქამდე "გრენობლში", "ბორდოსა" და "მონპელიეში" უმუშავია, შესაბამისად, ის კარგად იცნობს ამ კლუბებში მოთამაშე ქართველ მორაგბეებს და მათ შესაძლებლობებს. ნიკოლა ფულკიე საქმიანობას უახლოეს დღეებში შეუდგება.

ლეგიონერები

### ბრძოლა გზის გასაგრძელებლად



მასი-ლანამეზანი. მარცხნივ - გიორგი ჩხაიძე

**საფრანგეთის ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში მეორე ჯგუფური ეტაპის გათამაშება დასასრულს უახლოვდება. ბოლო ტურის წინ პლეიოფში გასასვლელად ქართველ მორაგბეთა ოთხი გუნდი -"ობენა", "მასი", "ექსი" და "პერიგო" იბრძვის.**

B ჯგუფში **ელიზბარ ყუფარაძის** "ობენამ" აუტსაიდერ "ბორეპერის" უმასპინძლა და 18:12 დაამარცხა. ბოლო ტურში ჩვენებურის გუნდი სტუმრობს "ორიიაკს", რომელმაც ჯგუფში პირველობა და პლეიოფის საგზური უკვე გაინაღდა. ამ უკანასკნელმა ხუთიდან ხუთივე შეხვედრა მოიგო. ფლეი ოფში ჯგუფების გამარჯვებულებთან ერთად ორი საუკეთესო მეორეადგილოსანიც გადის.

**ორიიაკი-15 ქულა / ობენა-11, ლურდი-7, ბორეპერი-7**

C ჯგუფში პლეიოფში მოსახვედრად **დავით გასვიანის** "ექსი" იბრძვის. პროვანსელებმა ბოლოსწინა ტურში შინ დაამარცხეს **კონსტანტინე ჯინჭარაძის** "ბურგ ან ბრესი" - 20:11. "ექსს" ბოლო შეხვედრა სტუმრად აქვს აუტსაიდერ "ლა სეინთან" და გამარჯვება ჭირდება. თუმცა ექსელების ბედი უფრო მაინც მეორე შეხვედრის შედეგზეა დამოკიდებული სადაც ჯგუფის ლიდერი "ოლორონი" ბურგ ან ბრესში სტუმრობს.

**ოლორონი-13 ქულა / ექსი-11, ბურგ ან ბრესი-9, ლა სეინი-7.**

D ჯგუფის ლიდერი **გიორგი ჩხაიძის, დავით დადუნაშვილისა და ვიქტორ დიდებულიძის** "მასია". პარიზელებმა ბოლოსწინა ტურის მატჩში საკუთარ მოედანზე უშუალო კონკურენტი "ლანამეზანი" დაამარცხეს 19:12. ასევე შინ გაიმარჯვა "ბედარიდესთან" **ირაკლი აბუსერიძის** "ორლეანმა" 23:17. ბოლო ტურში "მასი" აუტსაიდერ "ბედარიდეს" სტუმრობს, "ორლეანი" კი "ლანამეზანს" ჩააკითხავს.

**მასი-13 ქულა / ლანამეზანი-11, ორლეანი-9, ბედარიდე-7.**

E ჯგუფში პირველ ადგილზეა **თედო ზიბზიბაძისა** და **ვანო ნადირაძის** "პერიგო", რომელმაც მე-5 ტურში შინ დაამარცხა **ზურაბ მჭედლიშვილისა** და **ალექსანდრე მარგველაშვილის** "დომონი" 29:24. "პერიგოს" კონკურენციას "ტიროსი" უწევს, რომელმაც შინ აუტსაიდერ "რუნს" სძლია 33:0. ბოლო ტურში "პერიგო" სწორედ "რუანს" სტუმრობს, "დომონი" კი "ტიროსს" უმასპინძლებს.

**პერიგო-13 ქულა / ტიროსი-13, დომონი-7, რუანი-7.**

დასრულდა რეგულარული გათამაშება ფედერალ 2 დივიზიონში. ზედა დივიზიონში გადასვლის უფლება აქ B ჯგუფში პირველ ადგილზე გასულმა **დიმიტრი ხოჭოლავას** "სერჟ პონტუაზმა" მოიპოვა. მეთექვსმეტედფინალიდან ჩაერთვებიან პლეიოფში **დავით ბოლღაშვილის** "ლილი" და **თემურ სოხაძის** "ბასტია".

მეთექვსმეტედფინალში გასასვლელ დამატებით ეტაპზე ითამაშებენ: **ილია მაისურაძის, ლევან ჯაველიძისა** და **დავით კაჭარავას** "ნანტი", **სერგო გუჯარაიძის, ოთარ ელოშვილისა** და **პალიკო ჯიმშელაძის** " არასი", **ბესო უდესიანის** "ვილფრანში", **რატი ურუშაძისა** და **დიმა პავლოვის** "ნიცა", **სანდრო მჭედლიშვილისა** და **რეზო ბელქანიას** "ფიჟაკი", **ბადრი ხეხელაშვილის** "კონიაკი".

ბესიკ ჯანგავაძე

## ლოჯიკგრუპი სპორტის სასახლეს 30 წლით უპატრონებს

ყველაფერი გაირკვა - თბილისის სპორტის სასახლე ამიერიდან 30-წლიანი მმართველობის უფლებით კომპანია "ლოჯიკგრუპს" გადაეცა. ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც სატენდერო ვადა ამოიწურა და, ფაქტობრივად, გამარჯვებული უკონკურსოდ გამოვლინდა.

ვინაა "ლოჯიკგრუპი"? ეს არის სასტუმრო "აჭარის" მფლობელი ფირმა, რომელსაც წარმოადგენენ თემურ უგულავა და გია გენაძე. პირობები უცვლელი დარჩა. მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე უნდა შესრულდეს 2 მილიონი ლარის სამუშაო. საბოლოოდ გაიხარჯება 5 მილიონი ლარი. რემონტი სპორტის სასახლეში, როგორც ვიუწყებოდით, ტენდერამდე გაცილებით ადრე დაიწყო, რისი "ლელოში" გაშუქების უფლება, ამას წინათ, რატომღაც, უხეშად დაბლოკა სასახლის ადმინისტრაციამ.

## მშვილდოსნობა

### ნაცნობი ოთხეული

ქართველი მშვილდოსნები, 30 აპრილიდან 5 მაისის ჩათვლით, იტალიურ ვარეზეში გასამართი მსოფლიო თასისთვის ემზადებიან, თუმცა ბოლო შესარჩევი ეტაპი - საქართველოს ჩემპიონატი ჩაეშალათ. ქვეყნის პირველობა ფედერაციამ სამაისოდ გადადო. ტურნირის ჩაშლა სასტარტო თვალსაზრისითაა დანაკლისი, თორემ საკადრო როტაციის მხრივ სიახლეებს ვერ შემოგვთავაზებდა. ნაკრების ბირთვად ქცეული ოთხეული ხომ ყველა ტურნირის ფავორიტია და ნახევარფინალისტთა ვინაობა ლამის წინასწარაა ცნობილი. საიტალიო შემადგენლობის შერჩევაზე ბევრი არც ნაკრების თავკაც **თამაზ ფუტკარაძეს** უფიქრია და, ადრინდელ ტურნირთა შედეგების გათვალისწინებით, ისევ ძველ კვარტეტს უხმო - **ხათუნა ნარიმანიძე, ქრისტინე ესებუა, ასმათ დიასამიძე** და **ოლგა ლადიგინა**. ჩვენები იტალიაში 29 აპრილს გაფრინდებიან, მაგრამ ჯერ გაურკვეველია ლადიგინას დაფინანსების საკითხი. იმედია, ეს პრობლემა მოგვარდება და იტალიაში ასპარეზობის შანსი მასაც მიეცემა.

ფედერაციისა თუ ნაკრების ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, იტალიაში ვაჟთა ნაკრები არ გაემგზავრება, რადგან მათი შედეგები ჩამორჩება საერთაშორისო სტანდარტებს. ქალთა ნაკრები ამჟამად ბათუმში ემზადება.

ირაკლი თავაძე



ოლგა ლადიგინა

## ჩოგბურთი

ფედერაციის თასი

### წვიმა იყო, გადაიდო...

| | |
|---|---|
| **საქართველო-ნორვეგია** | **1:0** |
| **პორტუგალია-ბოსნია** | **1:0** |



პირველი ქულა კალაშნიკოვამ მოგვიტანა

გუშინ მავრიკის კუნძულის ქალაქ ფინიქსში სტარტი აიღო ფედერაციის თასის ევრო-აფრიკული II ზონის ტურნირმა. საქართველოს ნაკრების მატჩს ნორვეგიასთან გუშინ დასრულება არ ეწერა, ძლიერმა ტროპიკულმა წვიმამ, რაც არცთუ იშვიათია შუაგულ ინდოეთის ოკეანეში, თამაში შეწყვიტა და დღეისთვის გადადო. პირველ შეხვედრაში **ოქსანა კალაშნიკოვა იდუნ ჰერცბერგს** დაუპირისპირდა და 6:1, 6:2 მოუგო. საქართველო 1:0 დაწინაურდა, კორტზე კი პირველი ნომრები **მაკა ჩახნაშვილი** და **კაროლინ სტეირო** გავიდნენ. პირველ სეტში 5:5-ზე წვიმის გამო მატჩი შეწყდა. დღეს ეს მატჩიც დასრულდება და წყვილთა შეხვედრაც. ამის მერე კი საქართველოს ნაკრები ბოსნიას გაეჯიბრება. გუშინ პორტუგალიის ნაკრები ბოსნიასთან მატჩში 1:0 დაწინაურდა. **ნეუსა სალვამ** 6:3, 6:3 დაამარცხა **დიან სტოჟიჩი**. **ფრედერიკა პედადეს** და **სანდრა მარტინოვიჩის** მატჩი კი წვიმის გამო გადაიდო. A ჯგუფში საბერძნეთი 1:0-ს უგებს ფინეთს - **ანა კუმანტუმ** ფინელ **ესი ლაინეს** აჯობა - 6:4, 7:5.

### ქართული შურისძიება

ალაბამის შტატის ქალაქ დოტენში ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის (75 ათასი დოლარი) საკვალიფიკაციო შეჯიბრება დასასრულს უახლოვდება. მეორე წრეში **ანა ტატიშვილი** (405) ხვდებოდა მეორე ნომრად განთესილ ამერიკელ **ანჯელა ჰეინესს** (217), რომელმაც პირველ წრეში **სოფიო მელიქიშვილი** დაამარცხა. ანა ლას ვეგასშიც შეხვდა ჰეინესს და ორ სეტში დამარცხდა. ასე რომ, შავკანიანი ამერიკელის წინაამდეგ გაორმაგებული მოტივაციით ითამაშა. მიუხედავად იმისა, რომ პირველ სეტში ჰეინესმა იმარჯვა, ტატიშვილმა მაინც შეძლო ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში გასვლა - 4:6, 6:4, 6:2. ახლა ანა ტატიშვილი მე-6 ნომრად განთესილ არგენტინელ **ბეტინა ხოსამის** (238) ხვდება და თუ კვლავ გაიმარჯვებს ტურნირის ძირითად ბადეში მოხვდება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

## სროლა

### პრეზიდენტი შეიცვალა

საქართველოს სროლის სახეობათა ფედერაციას ახალი პრეზიდენტი ჰყავს - ფინანსური პოლიციის უფროსის მოადგილე **ლევან მხეიძემ** თანამდებობა თავის შეფს - **დავით ქარსელაძეს** დაუთმო. მოუცლელობის გამო თანამდებობიდან წასვლის სურვილი მხეიძემ ადრევე გამოთქვა. ფედერაცია ერთი პერიოდი კი შეეცადა მის დათანხმებას, მაგრამ რაკი არ დაიშალა, განცხადებაც დაუკმაყოფილა. შემცვლელზე დიდხანს არ უფიქრიათ და ისევ იმ უწყებას მიადგნენ, რადგან სროლა მაინც ძალოვან სტრუქტურებთან ასოცირდება. თუმცა ამჯერად უმაღლეს დონეზე გავიდნენ და პრეზიდენტობა მთავარი ფინანსისტი პოლიციელი დაიყოლიეს. იმედია, იგი წინამორბედზე გაცილებით დიდხანს დარჩება ფედერაციაში და უფრო მეტადაც დაეხმარება, თუმცა გაკეთებულს ნურც მხეიძეს დავუკარგავთ. თავისი წილი საქმეები იმანაც შეასრულა ფედერაციაში.

ამასობაში გაირკვა, რომ ოლიმპიური ფონდის დაფინანსებით, 2 მაისს ბანგკოკში, მსოფლიო თასზე ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე** და **ნინო უჩაძე** გაემგზავრებიან. ადრე თითქოს მხოლოდ სალუქვაძის გაგზავნაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ ახლა უჩაძეც დააფინანსეს. სამწუხაროდ, ტერიტორიული დაშორებისა და ამით გამოწვეული ხარჯების გამო, სხვებს ვერ აგზავნიან. ფინანსური პრობლემების გამო ფედერაციამ მსოფლიო თასის ორი ეტაპი ისედაც გამოტოვა.

უჩაძეს ტურნირზე წასასვლელი თანხა კი უშოვეს, მაგრამ მისთვის სამსახური არა და არ მოიძებნა. შეგახსენებთ, ის ქუთაისის სპორტის საქალაქო სამსახურის უფროსად მუშაობდა და თავის საქმეს კარგადაც ასრულებდა, მაგრამ ქუთაისისა თუ იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში მომხდარი მორიგი გადაადგილებების შემდეგ გაათავისუფლეს. საქმეში კულტურისა და სპორტის სამინისტროც ჩაერია, სპორტის დეპარტამენტიც, მაგრამ ამაოდ. როგორც დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაურმა** გვითხრა, მაქსიმუმი, რასაც მიაღწიეს, იყო დაპირება უჩაძის სამსახურით დაკმაყოფილების შესახებ, მაგრამ მსროლელი დღემდე უმუშევარია.

ირაკლი თავაძე




ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

საქართველოს მე-16 ჩემპიონატი. XXI ტური

# მსაჯს მოთამაშე აბრაზებს, მოთამაშეს - მსაჯი

**17 აპრილი. ვერის პარკი**

**მაკაბი-სტუ 65:83**

17:18, 18:23, 12:17, 18:25

მაკაბი: დოლიძე (13 ქ. 3 პ. 3 ჩ), ხორავა, ენუქიძე, ჯგერენაია (6 ქ. 5 მ. 4 პ), ვაშაკიძე (30 ქ. 7 მ. 3 პ), კორკოტაძე (4 პ), ს. შერმადინი (15 ქ. 9 მ), პირველაშვილი (1 ქ), ბარსეგიანი, გამცემლიძე

სტუ: ეძგვერაძე (5 ქ. 3 პ), სეფისკვერაძე (3 ქ), ბერაია (10 ქ. 3 პ), კოხრეიძე (9 ქ. 5 მ. 3 პ), ძიძიგური (5 ქ. 5 პ), მაისურაძე (11 ქ. 6 მ), დევიძე (2 ქ. 5 მ), ახალკაცი (19 ქ. 11 მ. 4 პ), ბარბაქაძე (11 ქ. 5 მ. 3 პ), ლ. ნოზაძე (8 ქ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. არეშიძე

**დინამო-ავიამშენი 88:101**

18:28, 19:20, 18:27, 33:26

დინამო: გულისაბედაშვილი (13 ქ), ბადრიძე (8 ქ), ლაფანაშვილი (13 ქ. 3 პ), სიგუა (1 ქ), მურჯიკნელი (10 ქ), გვიმრაძე (20 ქ. 3 პ), ფაიქრიძე (2 ქ), ნ. ნოზაძე (2 ქ. 5 პ), კოლუაშვილი (19 ქ. 5 მ)

ავიამშენი: დ. ბერიშვილი (6 პ), ბაბიაშვილი (28 ქ. 5 მ. 3 პ), ხოშტარია (16 ქ), ნიკოლაძე (11 ქ. 5 მ. 4 პ), ი. ბერიშვილი (8 ქ), ნინიაშვილი (8 ქ. 6 მ), კეიდია (7 ქ), სუხიშვილი (12 ქ. 7 მ), კვიმსაძე (11 ქ)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, ხ. გაბედავა

**თსუ-აზოტი 77:99**

16:28, 27:37, 23:10, 11:24

თსუ: არნივიძე, ბ. ბერიშვილი (7 ქ. 5 ჩ), ფანჩულიძე (4 ქ), ლეჟავა (18 ქ), მ არხვაშვილი (4 ქ), ვეფხვაძე (6 ქ), შანიძე (7 ქ), მათიაშვილი (1 ქ. 8 მ), ხეცურიანი (10 ქ. 6 პ), იმნაძე (10 ქ. 3 პ), მ. ბერიშვილი (3 ქ), ტყეშელაშვილი (7 ქ)

აზოტი: გამყრელიძე (10 ქ. 6 მ. 3 პ. 3 ჩ), ბეჟანიშვილი (11 ქ. 5 მ. 5 პ), ბოისა (2 ქ), დიდია (4 ქ), ტულუში (14 ქ. 9 მ. 3 ჩ), მარკოიშვილი (20 ქ. 6 მ. 3 პ), უგრეხელიძე (6 ქ. 5 მ), გოგობერიშვილი (17 ქ), ტუჯანი (8 ქ. 6 მ), მალოშევიჩი (7 ქ)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, მ. ანდღულაძე

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. აზოტი | 21 | 20 | 1 | 41 |
| 2. ავიამშენი | 21 | 15 | 6 | 36 |
| 3. თსუ | 21 | 14 | 7 | 35 |
| 4. დინამო | 21 | 6 | 15 | 27 |
| 5. სტუ | 21 | 5 | 16 | 26 |
| 6. მაკაბი | 21 | 3 | 18 | 24 |

**დღეს**

12:00 აზოტი-დინამო

14:00 თსუ-სტუ

16:00 ავიამშენი-მაკაბი

მიუხედავად იმისა, რომ სატურნირო თვალსაზრისით, თსუ-"აზოტის" დაპირისპირება არაფერს წყვეტდა, ტრადიცია მაინც არ დაირღვა და ხმაურიანი შეხვედრა ვიხილეთ. ხმაურიანი პირდაპირი გაგებით - მწვრთნელ-მოთამაშეები მსაჯის მოქმედებებზეც შეძახილებით რეაგირებდნენ და არც ერთმანეთისკენ გაწევას ერიდებოდნენ.

მატჩის შემდეგ რუსთაველთა კაპიტანი **რამაზ გოგობერიშვილი** კომისარ **თენგიზ ქიქოძეს** ესაუბრებოდა:




**ორი MVP. გოგობერიშვილი და ლეჟავა**

- როცა მსაჯი შეცდომას დაუშვებს, ხომ უნდა შეუსწოროთ?!

- ოფიციალური წესების მიხედვით თამაშისას არბიტრის საქმეში ჩარევის უფლება კომისარს არა აქვს.

- იქნებ, მატჩის შემდეგ მაინც ესაუბროთ, თორემ ასე გაგრძელება არ შეიძლება. მსაჯების მოქმედებამ მოთამაშეებიც გაგვალიზიანა, რაც თამაშის ხარისხზე უარყოფითად აისახა.

რამაზი მართალია, ემოციური ალელვების ნიადაგზე კალათბურთელები ტექნიკურ შენიშვნებს ერთმანეთის მიყოლებით ილებდნენ. საბოლოოდ ექვსი ტექნიკური დაგროვდა, რაც ზომაზე გაცილებით მეტია. მაგრამ მხოლოდ მსაჯების გამტყუნება არ იქნება მართალი - არბიტრების ყოველ მოქმედებაზე მოთამაშეები ემოციურად რეაგირებდნენ, რამაც რიგ ეპიზოდებში მსაჯულებს მატჩის სადავეები დააკარგვინა. ერთ მომენტში არბიტრმა დავით ბერეკაშვილმა ტუჯანის შეძახილს შეძახილითვე უპასუხა - რა ეე!.. გაჩუმდით და ითამაშეთ!

ასე რომ, კარგი მსაჯობა გარკვეულწილად კალათბურთელებზეა დამოკიდებული, ისევე, როგორც მოთამაშე - არბიტრზე.

თსუ-მ და "აზოტმა" ორი განსხვავებული ტაიმი ითამაშეს. პირველ ნახევარში რუსთაველებმა მჭიდრო დაცვის წყალობით სოლიდურ უპირატესობას მიაღწიეს - 65:43. ეს, ფაქტობრივად, მატჩის მოგებას ნიშნავდა. მაგრამ საპირისპიროს ფიქრობდნენ სტუდენტები, რომელთა ლიდერმა **ბესიკ ლეჟავამ** ზედიზედ ჩაგდებული 5 ქულის წყალობით, სხვაობა 9 ქულამდე შეამცირა (66:75). მასვე მეოთხე პერიოდში ჩამორჩენის 5 ქულამდე დაყვანა შეეძლო, მაგრამ 4-დან მხოლოდ 2 საჯარიმო გამოიყენა. მაშინ, როცა თსუ-ელები თავისუფალ ტყორცნებს ვერ აგდებდნენ, "აზოტმა" "მეორე სიჩქარე ჩართო" და გოგობერიშვილ-გამყრელიძე-მარკოიშვილის შეწევნით 14:0 სპურტი "გამოაცხო".

თსუ კი მაშინ დამშვიდდა, როცა "გაშვიდდა" - საფინალო სირენამ 77:99 დააფიქსირა.

**ტურის ფრაზა.** ერთ ეპიზოდში **გიორგი მარკოიშვილმა** სამიანს სამიანი მიაყოლა და სტუდენტი **ნიკა ვეფხვაძე** მწვრთნელთან მივიდა:

- მარკოიშვილი ვისია?

- ვისი და ბაგრატიჩისა, - მშვიდად მიუგო ნუგზარ ჭეიშვილმა.

ვინც არ იცის, ვეტყვით, რომ ნუგზარ ბაგრატის-ძე გიორგი და მანუჩარ მარკოიშვილების მამაა.

**ტურის მოთამაშე.** რადგან მეხუთე წრე ამოსუნთქვის საშუალებას არ გვაძლევს, ამიტომ ყოველი MVP-ს ცალ-ცალკე წარდგენა გაგვიჭირდება. ამიტომ საუკეთესოების მცირე ინტერვიუებს მატჩების მიმოხილვებს დავურთავთ. დღეს **რამაზ გოგობერიშვილს** მოვუსმინოთ, რომელმაც თსუ-სთან 24 წუთში 17 ქულა, 3 მოხსნა და 1 ჩაჭრა მიითვალა.

- თსუ-სთან მატჩის შედეგი სატურნირო მდგომარეობაზე ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენდა. მიუხედავად ამისა, მაინც დაძაბული შეხვედრა გამოდგა. თავადაც ნახეთ, რომ 22-ქულიანი უპირატესობა მეტოქემ შვიდამდე შეგვიმცირა. ეს კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ თსუ ძლიერი გუნდია.

**- საკუთარ თამაშზე რას იტყვი?**

- რაც შემეძლო ყველაფერი გავაკეთე. თუმცა, როგორც ყოველთვის, საკუთარი გარჯით კმაყოფილი მაინც არა ვარ. ვფიქრობ, გამარჯვებას გუნდური თამაშის წყალობით მივაღწიეთ.

**- ახალწვეულ ბოიან მალოშევიჩზე რას იტყვი?**

- მას შედარებით სუსტ სტუ-სთან უკეთ გამოუვიდა თამაში. თსუ-სთან კი გამოჩნდა, რომ აკლიმატიზაცია ჯერ არ გაუვლია. ბოიანი კარგი ბიჭია და მჯერა, რომ ძალიან დაგვეხმარება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

| საქართველოს XVI ჩემპიონატი. XX ტური | |
|---|---|
| სტუ-აზოტი | 62:100 |
| მაკაბი-დინამო | 63:92 |
| თსუ-ავიამშენი | 122:96 |

**საუკეთესო მაჩვენებლები**

| | | | |
|---|---|---|---|
| **ქულა** | | | |
| 60 | გიორგი შერმადინი | დინამო-მაკაბი | 111:113 |
| **მოხსნა** | | | |
| 22 | გიორგი შერმადინი | მაკაბი-სტუ | 86:84 |
| **პასი** | | | |
| 12 | გიორგი დოლიძე | სტუ-მაკაბი | 96:85 |
| **ჩაჭრა** | | | |
| 7 | შალვა კოხრეიძე | აზოტი-სტუ | 107:52 |
| **დაფარება** | | | |
| 6 | გიორგი შერმადინი | თსუ-მაკაბი | 111:97 |
| **შეცდომა** | | | |
| 13 | შალვა კოხრეიძე | აზოტი-სტუ | 107:52 |

**ქულა**

| | | | თამაში | ქულა | საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი შერმადინი | მაკაბი | 17 | 639 | 37,6 |
| 2 | ზვიად ბაბიაშვილი | ავიამშენი | 19 | 428 | 22,5 |
| 3 | ნოდარ ბერაია | სტუ | 16 | 352 | 22,0 |
| 4 | დავით გვიმრაძე | დინამო | 15 | 249 | 16,6 |
| 5 | ბესიკ ლეჟავა | თსუ | 20 | 322 | 16,1 |
| 6 | ირაკლი ხოშტარია | ავიამშენი | 18 | 289 | 16,1 |
| 7 | შიო ხეცურიანი | თსუ | 17 | 239 | 14,1 |
| 8 | კოტე ტულუში | აზოტი | 18 | 248 | 13,8 |
| 9 | ლექსო ლაფანაშვილი | დინამო | 17 | 232 | 13,6 |
| 10 | რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 19 | 252 | 13,3 |
| 11 | ირაკლი ბერიშვილი | ავიამშენი | 18 | 230 | 12,8 |
| 12 | ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 18 | 226 | 12,6 |
| 13 | სოსო შერმადინი | მაკაბი | 20 | 251 | 12,6 |
| 14 | გულივერ ახალკაცი | სტუ | 20 | 248 | 12,4 |
| 15 | დავით უგრეხელიძე | აზოტი | 20 | 247 | 12,4 |
| 16 | ლუკა შანიძე | თსუ | 20 | 246 | 12,3 |
| 17 | ზურაბ ბადრიძე | დინამო | 17 | 206 | 12,1 |
| 18 | ვაკო ბეჟანიშვილი | აზოტი | 16 | 190 | 11,9 |
| 19 | გიორგი ბარბაქაძე | სტუ | 19 | 224 | 11,8 |
| 20 | ვიქტორ კოლუაშვილი | დინამო | 19 | 224 | 11,8 |
| 21 | ირ. გულისაბედაშვილი | დინამო | 19 | 220 | 11,6 |
| 22 | შალვა კოხრეიძე | სტუ | 20 | 220 | 11,0 |

**მოხსნა**

| | | | თამაში | მოხსნა | საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი შერმადინი | მაკაბი | 17 | 239 | 14,1 |
| 2 | ზვიად ბაბიაშვილი | ავიამშენი | 19 | 175 | 9,2 |
| 3 | რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 19 | 153 | 8,1 |
| 4 | სოსო შერმადინი | მაკაბი | 20 | 157 | 7,9 |
| 5 | დავით უგრეხელიძე | აზოტი | 20 | 139 | 7,0 |
| 6 | დავით მაისურაძე | სტუ | 16 | 104 | 6,5 |
| 7 | გულივერ ახალკაცი | სტუ | 20 | 125 | 6,3 |
| 8 | დავით გვიმრაძე | დინამო | 15 | 82 | 5,5 |
| 9 | ირაკლი ხოშტარია | ავიამშენი | 18 | 97 | 5,4 |
| 10 | ჟურივეტ ტუჯანი | აზოტი | 17 | 91 | 5,4 |
| 11 | ვიქტორ კოლუაშვილი | დინამო | 19 | 98 | 5,2 |
| 12 | დავით იმნაძე | თსუ | 12 | 61 | 5,1 |

**პასი**

| | | | თამაში | პასი | საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი დოლიძე | მაკაბი | 20 | 129 | 6,5 |
| 2 | ირაკლი ბერიშვილი | ავიამშენი | 18 | 105 | 5,8 |
| 3 | ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 18 | 104 | 5,8 |
| 4 | დავით ბერიშვილი | ავიამშენი | 17 | 82 | 4,8 |
| 5 | კოტე ტულუში | აზოტი | 18 | 84 | 4,7 |
| 6 | ირაკლი ხოშტარია | ავიამშენი | 18 | 81 | 4,5 |
| 7 | შალვა კოხრეიძე | სტუ | 20 | 90 | 4,5 |
| 8 | ლექსო ლაფანაშვილი | დინამო | 17 | 72 | 4,2 |
| 9 | გიორგი შერმადინი | მაკაბი | 17 | 68 | 4,0 |
| 10 | ნოდარ ბერაია | სტუ | 16 | 61 | 3,8 |
| 11 | გიორგი ნიკოლაძე | ავიამშენი | 19 | 70 | 3,7 |
| 12 | შიო ხეცურიანი | თსუ | 17 | 61 | 3,6 |
| 13 | ნიკო ნოზაძე | დინამო | 20 | 70 | 3,5 |

**ჩაჭრა**

| | | | თამაში | ჩაჭრა | საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | შალვა კოხრეიძე | სტუ | 20 | 59 | 3,0 |
| 2 | ბუბა ბერიშვილი | თსუ | 19 | 47 | 2,5 |
| 3 | ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 18 | 43 | 2,4 |
| 4 | კოტე ტულუში | აზოტი | 18 | 40 | 2,2 |
| 5 | ირ. გულისაბედაშვილი | დინამო | 19 | 41 | 2,2 |
| 6 | ნიკო ნოზაძე | დინამო | 20 | 43 | 2,2 |
| 7 | ნოდარ ბერაია | სტუ | 16 | 33 | 2,1 |
| 8 | ირაკლი დოლიძე | მაკაბი | 20 | 40 | 2,0 |
| 9 | ზურაბ ბადრიძე | დინამო | 17 | 32 | 1,9 |
| 10 | ლექსო ლაფანაშვილი | დინამო | 17 | 30 | 1,8 |
| 11 | ირაკლი ხოშტარია | ავიამშენი | 18 | 29 | 1,6 |
| 12 | ბესიკ ლეჟავა | თსუ | 20 | 32 | 1,6 |

**დაფარება**

| | | | თამაში | დაფარება | საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი შერმადინი | მაკაბი | 17 | 39 | 2,3 |
| 2 | რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 19 | 23 | 1,2 |
| 3 | პლასიდე როდუმტა | ავიამშენი | 15 | 15 | 1,0 |
| 4 | ზვიად ბაბიაშვილი | ავიამშენი | 19 | 12 | 0,6 |
| 5 | გულივერ ახალკაცი | სტუ | 20 | 12 | 0,6 |
| 6 | ვიქტორ კოლუაშვილი | დინამო | 19 | 11 | 0,6 |
| 7 | დავით უგრეხელიძე | აზოტი | 20 | 11 | 0,6 |

**შეცდომა**

| | | | თამაში | შეცდომა | საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი შერმადინი | მაკაბი | 17 | 115 | 6,8 |
| 2 | ირაკლი დოლიძე | მაკაბი | 20 | 103 | 5,2 |
| 3 | შალვა კოხრეიძე | სტუ | 20 | 98 | 4,9 |
| 4 | ზურაბ კორკოტაძე | მაკაბი | 20 | 78 | 3,9 |
| 5 | ნოდარ ბერაია | სტუ | 16 | 57 | 3,6 |
| 6 | გიორგი პირველაშვილი | მაკაბი | 19 | 64 | 3,4 |
| 7 | ბესიკ ლეჟავა | თსუ | 20 | 67 | 3,4 |
| 8 | ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 18 | 58 | 3,2 |
| 9 | გიორგი ბარბაქაძე | სტუ | 19 | 60 | 3,2 |
| 10 | სოსო შერმადინი | მაკაბი | 20 | 62 | 3,1 |
| 11 | დავით მაისურაძე | სტუ | 16 | 49 | 3,1 |
| 12 | გულივერ ახალკაცი | სტუ | 20 | 58 | 2,9 |
| 13 | ირაკლი ბერიშვილი | ავიამშენი | 18 | 49 | 2,7 |
| 14 | ირ. გულისაბედაშვილი | დინამო | 19 | 51 | 2,7 |

XX ტურის მიმოხილვა. ინტერვიუ ბესიკ ლეჟავასთან

# ნახევარფინალის რეპეტიცია

ჩვენი ჩემპიონატის მეოთხე წრე თსუ-მ ხმაურიანად დაასრულა - ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი "ავიამშენი" 122:96 დაამარცხა. აქედან გამომდინარე, ლოგიკური იყო ტურის მარგი მოთამაშის თსუ-დან არჩევა. ამასთან ბევრი ვიფიქრეთ, მაგრამ სიმბოლურ ნაკრებს მაინც ოთხი თსუ-ელი შერჩა - **ბესიკ ლეჟავა, მიხეილ ფანჩულიძე, რიჩარდ მათიაშვილი** და **დავით იმნაძე.**

სიმბოლურში დარჩენილ ერთ ადგილზე სამი კანდიდატი იყო - "ავიატორი" **ირაკლი ბერიშვილი**, რომელმაც ორმაგი დუბლი შეასრულა (15 ქულა, 10 პასი) და ორი დინამოელი **ლექსო ლაფანაშვილი** და **ირაკლი გულისაბედაშვილი**. მათგან რომელიმეს გამორჩევა რთული იყო, ამიტომ ეს საქმე ციფრებს მივანდეთ.

**ირაკლი ბერიშვილი:** 15 ქულა + 10 პასი + 2 მოხსნა + 1 ჩაჭრა - 4 შეცდომა = 24.

**ლექსო ლაფანაშვილი:** 12 ქულა + 6 მოხსნა + 5 პასი + 4 ჩაჭრა - 1 შეცდომა - 26.

**ირაკლი გულისაბედაშვილი:** 15 ქულა + 7 მოხსნა + 5 პასი + 3 ჩაჭრა - 3 შეცდომა = 27.

ასე რომ, მე-20 ტურის სიმბოლური ნაკრები ირაკლი გულისაბედაშვილმა შეავსო.

ახლა ტურის საუკეთესოს, ბესიკ ლეჟავას მოვუსმინოთ.

**- ბესო, ვარსკვლავთა მატჩის გამოკითხვაში ლევან მოსეშვილის გუნდის უკანახაზელთა შორის პირველ ადგილზე ხარ. რას "დააბრალებ"?**

- გამოვტყდები, ინტერნეტთან მომუშავე იმდენი ნაცნობი არ მყავს, რამდენიც ხმა მაქვს მიღებული. თუმცა, მიხარია, რომ პირველი ვარ და "ოლ სტარს" ვითამაშებ.

**- "ავიამშენი" დიდი სხვაობით დაამარცხეთ. ეს როგორ მოახერხეთ?**

- შეტევაში რასაც მოვინადინებდით, ყველაფერი გამოგვდიოდა. ფარქვეშაც კარგად გამოვიყურებოდით და პერიმეტრზეც. მწვრთნელმა ნუგზარ ჭეიშვილმა ერთგვარი ექსპერიმენტი ჩაატარა და შედარებით ახალგაზრდები დაგვტვირთა. ჩვენც ნდობა გავუმართლეთ, მე და ფანჩულიძემ ერთობლივად 57 ქულა ჩავაგდეთ, ხოლო მათიაშვილმა და იმნაძემ ჯამში 23 მოხსნა ჩაიწერეს.

**- ბევრი არ ელოდა, რომ ახალგაზრდა მეფარეები გამოცდილ პლასიდე როდუმტას აჯობებდნენ...**

- მის წინააღმდეგ თამაში ძნელია, გრძელი ხელები აქვს. მაშინ, როცა როდუმტა მოედანზეა, ფარქვეშ შესვლას ყველა ფრთხილობს. მაგრამ დათო იმნაძემ და რიჩარდ მათიაშვილმა შაბათს ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარეს და მათ წინააღმდეგ პლასიდემაც ვერაფერი გააწყო.

**- მეხუთე წრეზე ზოგი აუგს ამბობს, ზოგი კარგს. მისი დამატება რამდენად სწორად მიაგჩნიათ?**

- ვფიქრობ, მეხუთე წრე საჭიროა, რადგან ფლეიოფის წინ სათამაშო პრაქტიკა ყველას გვჭირდება. ბოლო წრის მატჩების შემდეგ ნახევარფინალებს ტონუსში შევხვდებით.

**- თსუ-ს საფლეიოფო პერსპექტივაზე რას იტყვი?**

- რეგულარულ ჩემპიონატში "ავიამშენთან" ანგარიში საყაიმოა - 2:2. ამიტომ, ჩვენს შორის ნახევარფინალურ სერიას ფავორიტი არ ჰყავს. ფინალში გასვლის შანსი 50/50-ზეა. ისე, ძალიან მინდა წელს მაინც ვითამაშო ფინალურ სერიაში.

**- ოთხი წრის შედეგების მიხედვით, სიმბოლურ ნაკრებში ვის შეიყვანდი?**

- ჩემი ნება რომ იყოს, ხუთივე პოზიციაზე თსუ-ელებს ჩამოვამწკრივებდი, მაგრამ სუბიექტურობაში რომ არავინ დამდოს ბრალი, ამიტომ ნაკრებს ჩემი თანაგუნდელების გარეშე შევადგენ: უკანახაზელები - ლაშა გამყრელიძე (აზოტი) და კოტე ტულუში (აზოტი); ფორვარდები - ირაკლი ხოშტარია (ავიამშენი) და ზვიად ბაბიაშვილი (ავიამშენი) და ცენტრი - პლასიდე როდუმტა (ავიამშენი).

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კრივი

საერთაშორისო ტურნირი

## კიევმა ბაქო უნდა დაადასტუროს



ბაქოს ტურნირის გამარჯვებული კობა ფხაკაძე კიევშიც იჩხუბებს

საქართველოს მოკრივეთა ნაკრები უკრაინის დედაქალაქში გაემგზავრა და გუშინ წლის მეორე საერთაშორისო ტურნირში ჩაერთო. კიევური ტურნირი A კატეგორიისაა და ცნობილი უკრაინელი მოკრივეების, **ვლადიმირ** და **ვიტალი კლიჩკოების** სახელს სტარებს.

როგორც იცით, მარტის ბოლოს, ჩვენმა მოკრივეებმა წლის პირველ ტურნირზე იჩხუბეს ბაქოში, სადაც საქართველოს ნაკრებმა რვა მედალი მოიპოვა. ალსანიშნავია, რომ ბაქოში შედგა ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელის, **ავთანდილ შოშიაშვილის** დებიუტი, რომელიც ფრიად ილბლიანი გამოდგა.

ამდენად, საინტერესოა, რამდენი მედალი გვექნება კიევის ტურნირზე, რითაც შეგვეძლება გარკვეული დასკვნების გამოტანა. უკრაინული შეჯიბრების შედეგები დაგვანახებს, მხოლოდ იღბლის წყალობა იყო ბაქოში მოპოვებული რვა მედალი თუ შოშიაშვილმა მოკლე დროში მოასწრო ისეთი გუნდის ჩამოყალიბება, რომელიც ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, მსოფლიო გრანდებში გაერევა.

საქართველოს ნაკრები კიევში თითქმის იმავე შემადგენლობით წავიდა, რომლითაც ბაქოში იასპარეზა.

თუმცა არის რამდენიმე გამონაკლისიც. მაგალითად, 51 კილოგრამში, კლიჩკოების ტურნირზე მონაწილე არ გვეყოლება, რადგან საქართველოს ჩემპიონი და ბაქოს ტურნირის პრიზიორი **მერაბ თურქაძე** ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ემზადება. იგი ახალგაზრდული გუნდის შემადგენლობაში, მაისის ბოლოს, იმავე კიევის ან ფრანკფურტის საერთაშორისო ტურნირზე გამოვა, ივლისში კი ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე იკრივებს.

სამშობლოში დარჩნენ **რევაზ ქარელიშვილი** (75) და **თორნიკე იველაშვილი** (81), რომლებმაც ბაქოში უშუალო კონკურენტებთან, **გიორგი ნაკანსა** და **დავით ნიკლაურთან** წააგეს.

ცუდია ის ამბავი, რომ ბაქოს მსგავსად, კიევშიც არ წასულა საქართველოს ნაკრების ყველაზე ტიტულოვანი წევრი, ევროპის ჩემპიონატის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი **კონსტანტინე კუპატაძე**. იგი თბილისში ვარჯიშობს და მისი მომავალი სამომავლო გეგმები და პერსპექტივები უცნობია.

მთლიანობაში, ავთანდილ შოშიაშვილმა ასეთი შემადგენლობა იახლა უკრაინაში:

**ზვიად ხადური** (48 კგ), **ნიკოლოზ იზორია** (54), **კობა ფხაკაძე** (57), **ვასილ ყაზიშვილი** (60), **ლევან ღვამიჩავა** (64), **კახა ჟვანია** (69), **გიორგი ნაკანი** (75), **დავით ნიკლაური** (81), **იაგო კილაძე** (91) და **ბექა ლობჟანიძე** (+91).

სამწუხაროდ, როგორც თითქმის ყველა საკრივო საერთაშორისო ტურნირზე, ამჯერადაც არანაირი ინფორმაცია არ არის ინტერნეტში უკრაინული შეჯიბრების შესახებ, ამიტომ, ისევ კრივის ფედერაციის თბილისში მყოფი წევრებიდან თუ გავიგებთ ხოლმე სტატისტიკურ შედეგებს. ტურნირი 22 აპრილს მთავრდება. დასრულებისთანავე გუნდი თბილისში გამოეშურება და დაწვრილებით ინფორმაციას მხოლოდ ამის შემდეგ თუ მივიღებთ...

**კობა ხატისაშვილი**

## ხელბურთი

ინტერვიუ მამია კობახიძესთან

## შახტარიდან წამოვედი, რუსია სეზონის ბოლოს მიდის

**საქართველოს ჩემპიონატის უკანასკნელ ტურში, "შევარდენი"–"თბილისის" მატჩზე ეროვნული ნაკრების წევრი მამია კობახიძე შევნიშნე. გამიკვირდა, რადგან იგი უკრაინულ "შახტარ-აკადემიაში" თამაშობს, უკრაინის პირველობა კი ჯერ არ დასრულებულა. მამიამ მითხრა, რომ უკრაინიდან წამოვიდა და ახალი სეზონიდან სხვა ქვეყანაში გააგრძელებს კარიერას.**

- "შახტართან" კონტრაქტი სეზონის ბოლოს მიმთავრდებოდა. უკრაინელებს ძალიან კი უნდოდათ ჩემი დატოვება, მაგრამ სამწლიან კონტრაქტს მთავაზობდნენ, რაზეც უარი ვთქვი. იქაური ჩემპიონატი ურიგო დონის არ არის, მაგრამ კიდევ სამი წლით უკრაინაში თამაშის პერსპექტივამ დიდად ვერ მომხიბლა. მით უმეტეს, რომ არც რაიმე განსაკუთრებულ პირობებს მთავაზობდნენ. კონტრაქტი მაისში კი მიმთავრდებოდა, მაგრამ მუხლის ტრავმა მივიღე და ამ სეზონის ბოლომდე ველარ ვითამაშებდი. ამიტომაც, რაკილა ოჯახი ძალიან მომენატრა, დრო ვიხელთე და ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, კონტრაქტი ვადამდე გავწყვიტე. ახლა თავისუფალი აგენტი ვარ და სადაც მინდა, იქ გავაგრძელებ კარიერას.

**- ტრავმა რამდენად სერიოზულია?**

- არც ისეთი საშიშია. მკურნალობის კურსს თბილისში გავივლი და ერთ თვეში ვარჯიშს განვაახლებ.

**- კარიერის გაგრძელებას სად აპირებ?**

- ვნახოთ, ჯერ კონკრეტული ვარიანტები არ გამომჩენია. მაის-ივნისში, ევროპაში სეზონი დასრულდება და ამ საკითხზე მუშაობაც მაშინ დაიწყება. ძალიან შორეულ და ცივ ქვეყანაში წასვლას ალბათ მოვერიდები, უფრო ისეთი ქვეყნის ჩემპიონატში მინდა თამაში, რომელიც რიგიანი დონისაც იქნება და იქაურობასთან შეგუებაც არ გამიჭირდება.

**- იქამდე საქართველოს ჩემპიონატში თამაშსაც ხომ არ აპირებ?**

- არ არის გამორიცხული, რომ ფორმის შენარჩუნებისთვის დროებით მართლაც დავუბრუნდე ჩემს ყოფილ კლუბ სტუ-"შევარდენს". ერთი კვირაა, თბილისში ვარ, საქართველოს ჩემპიონატის ორიოდე მატჩი ვნახე და დავინახე, რომ ჩემპიონატის დონე ახლა უფრო მაღალია, ვიდრე მაშინ, აქ რომ ვთამაშობდი. კარგია ისიც, რომ "თბილისის" სახით, ჩემპიონობის მაძიებელი კიდევ ერთი რეალური კანდიდატი გამოჩნდა. "თბილისშიც" ბევრი მეგობარი მყავს, მაგრამ, რა თქმა უნდა, მაინც ჩემს ყოფილ კლუბს ვგულშემატკივრობ.

**- ვლადიმერ რუსიას როგორ მისდის საქმეები?**

- ბრწყინვალე ფორმაშია და "შახტარის" ლიდერია. თუმცა მხოლოდ მისი კარგი თამაში საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ გუნდს ჩემპიონობისთვის ებრძოლა. "შახტარს" რეგულარულ პირველობაზე აჯობეს "პორტოვიკმა" და ზტრ-მ. მაისის ბოლოს, რუსია და მისი თანაგუნდელები მესამე ადგილისთვის მატჩში "ბრავარს" ეთამაშებიან.

**- რუსიაც ხომ არ აპირებს უკრაინიდან წამოსვლას?**



მამია კობახიძე

- სეზონის ბოლოს მასაც უმთავრდება კონტრაქტი და ნამდვილად იმსახურებს უკეთეს ჩემპიონატში თამაშს. თავადაც სურს "შახტარიდან" წამოსვლა. ვარიანტები აქვს, მაგრამ ზუსტად არ ვიცი, რომელ გუნდებზეა საუბარი. მხოლოდ ის ვიცი, რომ რუსიას გერმანიაში თამაში სურს.

**- ბოლოს, საქართველოს ნაკრებზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა...**

- ძალიან დაგვაზარალა იმან, რომ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მომზადება, ფაქტობრივად, ვერ მოვახერხეთ. ამასთან, ტიტე კალანდაძისა და სერგო დათუკიშვილის ტრავმებიც ჩამოსვლაც დიდი დანაკლისი აღმოჩნდა. ძალიან მწყდება გული, რომ ნაკრებს და საერთოდ, მთელ ქართულ ხელბურთს ისეთი ყურადღება და დაფინანსება არ აქვს, როგორიც ეკადრება. არადა, ხელბურთს არცერთ სახეობაზე ნაკლები პერსპექტივა არ აქვს...

**კობა ხატისაშვილი**

## ტანვარჯიში



1912 წელი. წინა რიგში: ა. ბაქრაძე, გ. ეგნატაშვილი, ი. ლორთქიფანიძე. უკანა რიგში: დ. ჯავრიშვილი, ვ. ციციშვილი, შ. აგლაძე, ი. ნანეიშვილი და ნ. ონანაშვილი

## ქართული ტანვარჯიშის საიუბილეო თარიღები

ქართული ტანვარჯიშის საუკუნოვანი იუბილე 1997 წელს საზეიმოდ აღინიშნა. წლეულს კი ამ მოვლენიდან 110 წელი სრულდება. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, საქართველოში ტანვარჯიშის დანერგვის თარიღად მიჩნეულია 1889 წელი, როცა თბილისის გიმნაზიის დირექციამ ჩეხეთიდან სპეციალისტი **იულიუს გრუმლიკი** მოიწვია. ფაქტია, რომ 1897 წელს ჩამოყალიბდა თბილისში ტანვარჯიშის მოყვარულთა პირველი წრე. 100 წლის წინათ კი პრაღაში ქართველი ტანმოვარჯიშეები პირველად გამოდიან საერთაშორისო სარბიელზე - მონაწილეობენ სრულიად "სოკოლის" მეხუთე შეკრებაში. გრუმლიკი შემდეგ მისივე თანამემამულე "სოკოლის" წევრმა **ანტონ ლუკეშმა** შეცვალა. სწორედ მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა გუნდი, რომელმაც აპრილში, ზემოხსენებულ შეკრებაზე მაღალი ოსტატობის დემონსტრირებით გამოიჩინა თავი. საქართველოს წარგზავნილებმა მეორე ჯგუფის გუნდებს შორის პირველობა მოიპოვეს და "სოკოლის" საპატიო ლენტი დაიმსახურეს. **გიორგი ეგნატაშვილი** პირად პირველობაში 1800 მონაწილეს შორის მე-11 იყო. ამ წარმატებამ, გარდა თბილისისა, არნახული სტიმული მისცა ტანვარჯიშის განვითარებას ქუთაისში, ახალციხეში, თელავში, ხონში, ბათუმში, ზესტაფონში, სოხუმში, ფოთში, ონში...

1912 წელს, უკვე "სოკოლის" მეექვსე შეკრებაზე თავიანთ ჯგუფში კვლავ გაიმარჯვეს ქართველებმა. 2000 მონაწილეს შორის XV ადგილზე გავიდა **გიორგი ნიკოლაძე**, რომელიც პეტერბურგის სახელით ასპარეზობდა.

1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, სამშობლოში დაბრუნებული **გ. ნიკოლაძის, ი. ლორთქიფანიძის, რ. მირიმანიანის, ჯაფარიძის, ივ. ბერიძის**, აგრეთვე **გ. ეგნატაშვილის, გ. ბერელაშვილის, პ. მარღანიძის, თამარ ნიკოლაძის** და სხვათა მონდომებით, ყალიბდება საზოგადოება "შევარდენი", რომელმაც მოიცვა სრულიად საქართველო, ხოლო ტანვარჯიში ჩვენი ცხოვრების წესად იქცა...

ქართველმა ტანმოვარჯიშეებმა თანდათან დაიპყრეს უმაღლესი სპორტული მწვერვალები.

ოლიმპიური ჩემპიონები არიან: **მედეა ჯუღელი, გალინა შარაბიძე, ვლადიმერ გოგოლაძე**.

მსოფლიო ჩემპიონები და პრიზიორები: **სერგო ჯაიანი, გალინა შარაბიძე, რუსუდან სიხარულიძე, ნინო დრონოვა, პაატა შამუგია**.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონები და პრიზიორები: **გულო რცხილაძე, პალვე რომანაშვილი, გიორგი ბაბილოძე, ალექსანდრე ჯორჯაძე, რაისა ზაალიშვილი, ნიკოლოზ თაყაიშვილი, მედეა ჯუღელი, გალინა შარაბიძე, შოთა ჩაჩხიანი, სერგო ჯაიანი, რევაზ შარაბიძე, ვალიკო ასათიანი, რევაზ კაჭახიძე, თორნიკე სანებლიძე, ნოდარ მაკალათია, მიხეილ ბოგუსი, დონარა ჯანუყაშვილი, იური ნინოშვილი, პაატა შამუგია, შოთა აზარაშვილი, ამირან ნოზაძე, მალხაზ თათარაძე, რუსუდან სიხარულიძე, ალექსანდრე ლებედევი, პავლე ლეონტიევი, ანაიდა ბაბასიანი, ნინო დრონოვა, ეკა ზეთურიძე, ვლადიმერ გოგოლაძე, ვახტანგ კევლიშვილი, ამირან ბერიანიძე, ნუგზარ ლვინიაშვილი, ზაზა ხომასურიძე, ლევან სისაური**.

ჩვენს ტანვარჯიშს, რომელმაც მსოფლიოს მისცა უამრავი გამოჩენილი სპორტსმენი, როგორც ხედავთ, წლეულს, ერთდროულად რამდენიმე საიუბილეო თარიღი უსრულდება.

გილოცავთ, მეგობრებო!

## თარიღი

**გიორგი თოფაძე.** დაიბადა 18.04.1940, ყაზბეგში. საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი (1996 წლიდან), საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი (1998 წლიდან), საქართველოს ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელი ნაგანოს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე (1998 წელი), საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის ხელმძღვანელი სოლტ-ლეიკ-სიტის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე (2002), მეწარმე, ქველმოქმედი, შპს "ყაზბეგის" პრეზიდენტი (1995 წლიდან), საქართველოს ორგზის წლის საუკეთესო ბიზნესმენი (1997, 98), თსუ-ის პროფესორი (1998), საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის წევრი (1998).



საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს ამავე კომიტეტის ვიცეპრეზიდენტს, საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს გიორგი (გოგი) თოფაძეს.

"ლელოს" რედაქცია დაბადებიდან საიუბილეო თარიღს ულოცავს კოლეგა ჟურნალისტს, სპორტულ რადიო "ჯაკოს" საერთაშორისო განყოფილების რედაქტორს, საქართველოში მსოფლიოს ქართველ ებრაელ ქალთა ასოციაციის პრეზიდენტს, ქალბატონ ევა ბაბალაშვილ-ხუხაშვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ჩონსი ბილაპსთან

# შარშან MVP მე უნდა ვყოფილიყავი

**ამ სეზონის** დასრულების მერე, "დეტროიტ პისტონზის" ერთ-ერთი ლიდერი - ჩონსი ბილაპსი თავისუფალი აგენტი გახდება. გამოცდილი უკანახაზელის აყვანას ბევრი ძლიერი გუნდი რომ ეცდება, ამას წყალი არ გაუვა, მაგრამ რატომღაც ვეჭვობთ, რომ ბილაპსი მაინც მიჩიგანში დარჩენას ამჯობინებს.

ბილაპსის გუნდმა ვადამდე ადრე გაინაღდა აღმოსავლეთში პირველობა და კონფერენციის სამივე წრეში (ცხადია, თუ გუნდი ორი წრის გავლას შეძლებს), საკუთარი მოედნის უპირატესობა ექნება.

ფლეი ოფის მოახლოვებასთან ერთად, ჩვენი ამერიკელი კოლეგები, როგორც ყოველთვის, მთავარ აქცენტს გუნდების ქარიზმატულ ლიდერებზე აკეთებენ და ამ მხრივ გამონაკლისი არც ჩონსია.

მიმდინარე რეგულარულში, "პისტონზის" ფლეიმეიქერი ერთ მატჩში საშუალოდ 17.2 ქულას, 7.3 შედეგიან გადაცემასა და 3.4 მოხსნას აგროვებს და თავისი გუნდის პირველი მექულე-მეპასეა. 30 წლის ჩონსი, ბოლო წლებში ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო უკანახაზელად იქცა, რომლის გარეშეც მისი გუნდის წარმოდგენა შეუძლებელია. აღნიშნულ ინტერვიუში, ბილაპსი დამდეგ ფლეი ოფზე, "დეტროიტის" შანსებსა და კონკურენტებზე საუბრობს.

**- ჩონსი, ფლეი ოფი მოდის. თქვენი პროგნოზი "დეტროიტთან" მიმართებაში.**

- ყველაფერს მოვიგებთ, თუ მეტოქეები ამის საშუალებას მოგვცემენ (იცინის). კარგი გუნდი გვყავს, თუმცა წინა 3 სეზონისგან განსხვავებით, სულ სხვა კალათბურთს ვთამაშობთ. პოზიციურ შეტევაში უფრო იოლად ვაგროვებთ ქულებს და უფრო სწრაფ კალათბურთს ვანიჭებთ უპირატესობას. ბევრს ეს მოსწონს, ზოგს წინა "პისტონზი" უფრო მოსწონდა, მაგრამ ყოველ წელს ერთსა და იმავე თამაშის დემონსტრირებას ვერ მოვახდენთ. მთავარია შედეგი და მჯერა, რომ წლევანდელ "დეტროიტს" ბევრის მიღწევა შეუძლია.

**- ბენ უოლასის გარეშე?**

- დიახ, თუნდაც ბენის გარეშე.

**- აღმოსავლეთში მთავარ კონკურენტად უოლასის "ბულზი" მიგაჩნიათ?**

- სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, "ბულზი" და "კავალიერსი" მართლაც ყველაზე სახიფათო ოპონენტებად ითვლებიან, მაგრამ კონფერენციის რვავე საუკეთესო გუნდს აქვს იმის შანსი, რომ მეტოქე დაამარცხოს და შემდეგ ეტაპზე გავიდეს. იგივე "ორლანდოს" დუაიტ ჰოვარდი და გრანტ ჰილი ჰყავს, რაც დამშვიდების საშუალებას ნამდვილად არ გვაძლევს. პირველ წრეში ამ გუნდს ვხვდებით და დამიჯერეთ, "პისტონზის" ორგანიზაციაში მეორე წრეზე ჯერ არავინ ფიქრობს. ჩვენი მიზანი, "მეჯიქთან" სერიაში საუკეთესო კალათბურთის ჩვენებაა, მერე კი სხვებზეც ვიფიქრებთ.

**- რა შეიცვალა ბენის დაკარგვის მერე?**

- ბევრი რამ შეიცვალა. პირველ რიგში, უფრო სწრაფი კალათბურთის თამაში დავიწყეთ და ოპონენტებს საფრთხეს არა მარტო პერიმეტრიდან ან საშუალო მანძილიდან სროლებით, არამედ სამწამიანიდანაც ვუქმნით. კრის უებერმა ჩვენი თამაშის სტილი გაამრავალფეროვნა. კრისის დამატება დიდი ბონუსი იყო. ვნახოთ, როგორ წაგვივა საქმე ფლეი ოფში, სადაც სახელები და წარსულის მიღწევები არაფერს ნიშნავს.




ჩონსი ბილაპსი

**- სპეციალისტები სატრანსფერო სეზონის მთავარ იმედგაცრუებად და შეცდომად "დეტროიტში" ნაზრ მოჰამედის გადასვლას მიიჩნევენ. თქვენ რას ფიქრობთ?**

- ნაზრმა კარგად დაიწყო სეზონი, მერე კი, ნელ-ნელა პრობლემები შეექმნა. მისი აყვანა შეცდომა ნამდვილად არ ყოფილა. მოჰამედი ჯერ კიდევ "პისტონზის" წევრია, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი გუნდს სჭირდება. ასე რომ, სეზონი დასრულდეს და დასკვნები მერე გააკეთეთ.

**- ამ სეზონის შემდეგ თავისუფალი აგენტი გახდებით.**

- კი, მაგრამ ამაზე ნამდვილად არ მიფიქრია. მთლიანად ამ სეზონზე ვარ გადართული. გირჩევთ, თქვენც იგივე გააკეთოთ.

**- დასავლეთში აღმოსავლეთზე გაცილებით ძლიერმა გუნდებმა მოიყარეს თავი. სუპერფინალში რა შანსი ექნება აღმოსავლეთის ჩემპიონს?**

- სუპერფინალში მოგების შანსი ნებისმიერ გუნდს ექნება. დიახ, "დალასი", "სან ანტონიო", "ფინიქსი" და "ჰიუსტონი" ძალიან სოლიდურად გამოიყურებიან, მაგრამ შარშანდელი სეზონი გაიხსენეთ - ჩვენ რეგულარულის დასრულების მერე, ანუ ფლეი ოფის დაწყებამდე გვილოცვდნენ ჩემპიონობას, მერე ფინალში ულაპარაკო ფავორიტად "მავერიქსს" თვლიდნენ, საბოლოოდ კი უეიდმა და შაკმა ჩემპიონობა "ჰიტს" მოუტანეს. ამ ეტაპზე ვინმესთვის ჩემპიონობის გადაცემა სისულელეა.

**- დირკი ამ სეზონის საუკეთესო მოთამაშეა?**

- ერთ-ერთი საუკეთესო. არ მესმის იმ ხალხის არგუმენტების, რომლებიც ნოვიცკისთვის MVP-ს ჯილდოს გადაცემას მხოლოდ იმიტომ მიიჩნევენ აუცილებლად, რომ იგი რეგულარულის საუკეთესო გუნდის საუკეთესო მოთამაშეა. შარშან იგივე პრიზი ჩემთვის უნდა გადმოეცათ, არა?

ზურაბ თალაკვაძე

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**მემფისი-ს. ანტონიო 101:91**

26:17, 30:26, 26:23, 19:25

**მემფისი:** გასოლი (25 ქ. 15 მ. 6 პ. 4 დ. 3 ჩ), ეტკინსი (19 ქ), დ. ჯოუნსი (16 ქ), კინსი (12 ქ. 7 მ), სვიფტი (10 ქ).

**სან ანტონიო:** ფინლი (17 ქ), ჯ. უაითი (17 ქ. 2 ჩ), უდრიხი (12 ქ. 9 პ), ჯ. ბატლერი (12 ქ. 10 მ), ორი (11 ქ. 2 დ), ბონერი (10 ქ. 10 მ).

**საკრამენტო-ნ. ორლეანი 118:125**

31:31, 30:30, 32:33, 25:31

**საკრამენტო:** არტესტი (22 ქ. 7 მ. 5 პ), გარსია (17 ქ. 6 მ. 3 დ), ბიბი (17 ქ. 5 მ. 5 პ), აბდურ-რაჰიმი (15 ქ), კევინ მარტინი (12 ქ), დუბი (11 ქ), ბ. მილერი (10 ქ. 5 მ. 4 პ).

**ნიუ ორლეანი:** დევიდ უესტი (25 ქ. 5 მ. 4 პ. 2 ჩ. 2 დ), პოლი (23 ქ. 12 პ. 4 მ. 2 ჩ), ბ. ჯექსონი (20 ქ), დევინ ბრაუნი (20 ქ. 3 პ), რ. ბატლერი (13 ქ), მ. ჯექსონი (12 ქ).

**დენვერი-მინესოტა 122:107**

26:30, 34:29, 32:18, 30:30

**დენვერი:** აივერსონი (25 ქ. 3 ჩ), კლეიზა (23 ქ. 10 მ), ენტონი (21 ქ. 5 მ. 4 პ. 2 დ), ნენე (18 ქ. 10 მ. 3 ჩ), ს. ბლეიკი (5 ქ. 10 პ).

**მინესოტა:** ფოიე (19 ქ. 9 მ. 5 პ), რიდი (19 ქ), მ. ბლაუნტი (18 ქ. 7 მ), კ. სმიტი (16 ქ. 9 მ. 5 ჩ), ბ. რაიტი (13 ქ. 5 მ. 2 ჩ), რ. დევისი (11 ქ. 11 პ).

**ნ. იორკი-ნ. ჯერსი 95:104**

25:27, 19:28, 25:24, 26:25

**ნიუ იორკი:** ფრენსისი (26 ქ), მ. კოლინზი (23 ქ. 10 მ. 7 პ. 2 ჩ), ფრაი (18 ქ. 7 მ).

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (29 ქ. 12 მ. 10 პ. 2 ჩ), ნახბარი (19 ქ), რ. ჯეფერსონი (15 ქ), მური (14 ქ), კიდი (11 ქ. 8 მ. 6 პ).

**მაიამი-ბოსტონი 89:91**

21:18, 22:18, 22:29, 24:26

**მაიამი:** ჯეისონ უილიამსი (16 ქ. 4 პ), კაპონო (16 ქ), შ. ონილი (14 ქ. 7 მ. 3 დ), დულიკი (10 ქ).

**ბოსტონი:** დელონტე უესტი (28 ქ. 4 მ. 4 პ. 3 ჩ), ელ ჯეფერსონი (20 ქ. 13 მ. 3 დ. 2 ჩ), რონდო (17 ქ. 8 პ. 6 მ), გომესი (11 ქ. 8 მ. 3 პ).

**მილუოკი-ატლანტა 102:96**

31:25, 25:18, 28:28, 18:25

**მილუოკი:** მო უილიამსი (26 ქ. 7 პ. 6 მ), პატერსონი (23 ქ. 4 მ. 4 პ. 2 ჩ), ჩ. ბელი (14 ქ. 4 მ. 4 პ).

**ატლანტა:** მერვინ უილიამსი (21 ქ. 9 მ), ჯოშ სმიტი (17 ქ. 10 მ. 6 პ. 3 ჩ), შელდენ უილიამსი (16 ქ. 17 მ. 3 პ), აივი (16 ქ. 5 მ), ლიუ (11 ქ), **ზაზა ფაჩულიას არ უთამაშია (ტრავმა).**

**ჰიუსტონი-ფინიქსი 120:117**

24:25, 32:29, 35:25, 29:38

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (39 ქ. 11 მ. 9 პ. 2 ჩ), მინი (34 ქ. 9 მ), ბეტიე (17 ქ. 3 ჩ), ალსტონი (11 ქ. 9 პ. 2 ჩ).

**ფინიქსი:** ა. სტაუდმაიერი (30 ქ. 6 ჩ. 5 მ. 2 დ), მერიონი (27 ქ. 2 დ), ნეში (15 ქ. 15 პ. 5 მ), ჯ. ჯოუნსი (15 ქ), ბარბოსა (14 ქ. 5 მ. 4 პ).

**იუტა-პორტლენდი 130:93**

26:23, 37:22, 31:27, 36:21

**იუტა:** ბუზერი (26 ქ. 10 მ. 3 პ), გირიჩეკი (21 ქ. 4 მ), მილსეპი (16 ქ. 6 მ. 3 პ), ოქური (16 ქ), ფიშერი (13 ქ. 7 პ. 6 მ), დ. უილიამსი (13 ქ. 4 პ), ჰარპრინგი (11 ქ).

**პორტლენდი:** ტ. აუთლო (26 ქ. 2 ჩ), უებსტერი (14 ქ. 5 მ), დიკაუ (13 ქ).

კვირის მოთამაშეები

# მაკგრეიდი და გორდონი

**იაო მინის** გარეშე თუ მასთან ერთად, "ჰიუსტონ როკეტსის" უნივერსალი ვარსკვლავი **ტრეისი მაკგრეიდი** ძალიან მაღალი დონის კალათბურთს თამაშობს. ტეხასელთა წლევანდელი აღზევება (შარშანდელი ფიასკოსა და ფლეი ოფს მიღმა დარჩენის მერე), მთავარ მწვრთნელ **ჯეფ ვან განდის** შემდეგ, ყველაზე მეტად სწორედ ტრეისის უკავშირდება, რომელიც წინა კვირის საუკეთესო დასავლელად დაასახელეს. აღმოსავლეთში იდენტური პატივი წილად ხვდა "ჩიკაგო ბულზის" მსროლელ **ბენ გორდონს**.

გორდონის გუნდი ვერ დაეწია "დეტროიტს" და საბოლოოდ, ალბათ, მეორე ადგილზე ჩაამთავრებს აღმოსავლეთის კონფერენციას, რაც გორდონსა და მის თანაგუნდელებს პირველ ორ წრეში საკუთარი მოედნის უპირატესობას მისცემს. ბენის საშუალო სტატისტიკური მონაგარი 24.7 ქულა, 4.3 შედეგიანი გადაცემა და 3.3 მოხსნა იყო, ილინოისელებმა კი სამივე შეხვედრა მოიგეს. სეზონის ბოლოს, როდესაც გორდონი თავის საუკეთესო კონდიციებს იბრუნებს, **კირკ ჰაინრიხი** და **ბენ უოლასი** კი უძლიერეს ფორმაში არიან, **სკოტ სქაილზის** გუნდი, კონფერენციაში იქნებ "პისტონსზე" სახიფათოდაც კი გამოიყურებოდეს.

რაც შეეხება მაკგრეიდის, იგი ერთ შეხვედრაში საშუალოდ 28.0 ქულას, 7.3 პასს, 6.7 მოხსნასა და ზუსტად 3 ჩაჭრას უყრიდა თავს. ისევე როგორც გორდონის "ბულზმა", მისმა "როკეტსმაც" სამივე თამაში თავის სასარგებლოდ დაასრულა და მეოთხე ადგილისთვის ბრძოლაში **კარლოს ბუზერისა და დერონ უილიამსის** "იუტა ჯაზი" მცირედით ჩამოიტოვა.



ლეკავალიემ ბროდოს უკვე ოთხი გაუტანა

NHL. ფლეი ოფი. I წრე

# ბროდოს ტამპა ბეის კომპლექსი აქვს

**აღმოსავლეთი**

**აილენდერსი (8)-ბაფალო (1) 2:3**

0:0, 2:3, 0:0

**გოლები:** 0:1 მეირი-1 (დრური-1, ტალინდერი-1), 0:2 ვანეკი-1 (დ. რუა-1, აფინოგენოვი-2), 1:2 ჰანტერი-2 (რ. სმიტი-1, უიტი-1), 1:3 ბრიერი-1 (ქონოლი-2, ზუბრუსი-4), 2:3 რ. სმიტი-1 (რ. რობიტაილი-2).

**სერია 1:2**

ამ სერიაში ყველაფერი თავის ადგილას დადგა. რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო გუნდმა ნიუ იორკში მინიმალური ანგარიშით მოიგო და დაიბრუნა საკუთარი მოედნის უპირატესობა.

სტუმრები გაცილებით აქტიურნი იყვნენ შეტევაში, რაც დარტყმების საერთო რაოდენობაშიც გამოიხატა. "სეიბრზმა" 35-ჯერ გაისროლა ზუსტად, "აილენდერსმა" - 20-ჯერ. ამ 20 დარტყმიდან, "ბაფალოს" მეკარე **რაიან მილერმა** 18 მოიგერია, თანაც ორ შემთხვევაში, შაიბა სახით შეაჩერა და საბედნიეროდ, ტრავმას გადაურჩა.

მთავარი მოვლენები მეორე პერიოდში განვითარდა, როცა მეტოქეებმა ხუთი შაიბა გაიტანეს. მესამე პერიოდში, თითქოსდა "აილენდერსი" უნდა ნასულიყო შეტევაში, მაგრამ პირიქით მოხდა - "კუნძულელებმა" მხოლოდ ერთხელ დაარტყეს კარში და პრაქტიკულად, უბრძოლველად დაუთმეს მატჩი "ბაფალოს".

ნიუიორკელთა რიგებში პატარა არეულობაცაა. კონფლიქტი აქვთ გუნდის მთავარ მწვრთნელსა და კაპიტან **ალექსეი იაშინს**. ამ უკანასკნელმა, მეორე მატჩში მხოლოდ 7 წუთი ითამაშა, რის შემდეგაც, რუსმა უკმაყოფილება გამოთქვა, რამაც, თავის მხრივ, ის გამოიწვია, რომ სერიის მესამე მატჩში, იაშინი შეტევის მეოთხე სამეულში გადაისროლეს.

**ტამპა ბეი (7)-ნიუ ჯერსი (2) 3:2**

1:0, 0:1, 2:1

**გოლები:** 1:0 ლეკავალიე-4 (სენტ ლუისი-2, ბ. რიჩარდსი-4), 1:1 მადენი-1 (ბრილინი-1, ლუკოვიჩი-1), 2:1 ბ. რიჩარდსი-1 (სენტ ლუისი-3, კუბა-1), 2:2 პარიზე-4 (ზაიაცი-1, ლანგენბრუნერი-4), 3:2 პროსპალი-1 (ლეკავალიე-1, სენტ ლუისი-4).

**სერია 2:1**

აღმოსავლეთის მეშვიდე გუნდი - "ტამპა ბეი" მეორე ნომერ "ნიუ ჯერსისთან" სერიაში დაწინაურდა.

"დევილზის" რიგებში თამაშობს ჰოკეის ეროვნული ლიგის საუკეთესო მეკარე - **მარტინ ბროდო**, რომელმაც რეგულარული ყველაზე მეტი - 48 მოგებით დაასრულა. გარდა ამისა, "ნიუ ჯერსის" მეკარე ფლეი ოფის მატჩებში საშუალოდ 1.89 შაიბას უშვებს, მაგრამ "ტამპა ბეისთან" სერიაში, თითო თამაში სამ შაიბაზე ნაკლები არ გაუშვია. და საერთოდაც, ბროდოს უჭირს ამ გუნდის წინააღმდეგ თამაში - რეგულარულ ჩემპიონატში "ნიუ ჯერსი" და "ტამპა" ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და სამჯერ უპირატესობა "ლაითნინგის" მხარეს იყო.

სამაგიეროდ, ზედიზედ ორი მატჩია შესანიშნავ თამაშს აჩვენებს მასპინძელთა მეკარე **იოჰან ჰოლმკვისტი**. სერიის მეორე შეხვედრაში მან 34 დარტყმა მოიგერია, ამჯერად კი, 30-ჯერ გადაელობა მეტოქე ჰოკეისტების დარტყმებს.

კვლავ შედეგიანი თამაში აჩვენა "ტამპას" მთავარმა დამრტყმელმა ძალამ. **ვენსან ლეკავალიემ** ფლეი ოფში მეოთხე შაიბა გაიტანა, **მარტინ სენტ ლუისმა** სამივე საგოლე კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა, ხოლო **ბრედ რიჩარდსმა** ერთი გოლი და ერთი შედეგიანი პასი ჩაიწერა აქტივში.

აღსანიშნავია, რომ ლეკავალიე ფლეი ოფში ზედიზედ 12 მატჩია ქულის გარეშე არ ტოვებს ყინულს. ეს წარმატებული სერია 2004 წელს დაიწყო. იქედან მოყოლებული, ამ ფორვარდმა 7 გოლი და 12 საგოლე პასი მიითვალა. სხვათა შორის, 2004 წელს "ტამპა ბეი" სტენლის თასის მფლობელი გახდა.

**დასავლეთი**

**სან ხოსე (5)-ნეშვილი (4) 3:1**

0:1, 2:0, 1:0

**გოლები:** 0:1 სატერი-1 (ლეგვანდი-2, დუმონი-1), 1:1 მ. მიხალეკი-2 (რივე-2, ჯ. ტორნტონი-3), 2:1 ქლოუ-2 (მ. კარლი-2, ერჰოფი-2), 3:1 მარლო-1 (გერინი-1).

**სერია 2:1**

ეს არის წლევანდელი ფლეი ოფის ყველაზე უხეში სერია. როგორც გახსოვთ, პირველ მატჩში **სკოტ ჰარტნელმა** კინაღამ დააინვალიდა "სან ხოსეს" საუკეთესო სნაიპერი **ჯონათან ჩიჩუ**. მეორე შეხვედრაში უკვე "ნეშვილის" რუსმა ლეგიონერმა **ალექსანდრ რადულოვმა** იყოჩაღა და ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას გამოკრა ხელი. ბოლოს კი, გუშინდელ დაპირისპირებაში "ზვიგენებმა" ყველა ვალი დაუბრუნეს მეტოქეს, როცა "ნეშვილის" ერთ-ერთ ლიდერს - **მარტინ ერატს** მეორე პერიოდში ტრავმა მიაყენეს და ჩეხი ფორვარდი მოედანზე ველარ დაბრუნდა.

რაც შეეხება თავად შეხვედრას, ის "სან ხოსეს" უპირატესობით წარიმართა. "ნეშვილის" კარის დარაჯმა **ტომაშ ვოკოუნმა** 38 დარტყმა კი მოიგერია, მაგრამ თავის გუნდს მაინც ვერ უშველა. მასპინძლებმა მთავარი ამოცანა შეასრულეს - გაანეიტრალეს **პიტერ ფორსბერგი და პოლ კარია** და იოლად დაწინაურდნენ სერიაში.

ბოსტონის მარათონი

# ბოსტონის მარათონის კენიელი მეფე

ამწოდებას აბსოლუტურად იმსახურებს კენიელი **რობერტ ჩერუიოტი**, ვინც ზედიზედ მესამედ მოიგო მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული, ბოსტონის მარათონი. ქარიანი ამინდის მიუხედავად, მან ჩვეულ სტილში, დისტანციის დასკვნით ეტაპზე, უკან მოიტოვა ყველა მდევარი და ეულად მიაღწია ფინიშის ხაზს.

სტარტზე მარათონის მონაწილეებს ქარის გარდა, წვიმაც უშლიდა ხელს, მაგრამ კენიელებზე არც ამან იმოქმედა. კარგა ხანს, ჩერუიოტს გვერდიდან არ მოსცილებიან პეკინის შარშანდელი მარათონის ჩემპიონი, მისივე თანამემამულე **ჯეიმს კვამბაი** და კიდევ ერთი კენიელი, ნიუ იორკის შარშანდელი მარათონის მეორეადგილოსანი **სტივენ კიოგორა**. თუმცა ჩერუიოტმა, ვისაც შარშან ჩიკაგოს მარათონიც აქვს მოგებული, ბოლოს მაინც თავისი გაიტანა.

*"ცუდი ამინდის გამო, საქმე მეტისმეტად გაგვირთულდა, თუმცა ამას ჩემს შედეგზე არ უმოქმედია. ბედნიერი ვარ, რომ კიდევ ერთხელ მოვიგე მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული მარათონი"*, - ნაფინიშევს განაცხადა 28 წლის კენიელმა, ვინც გამარჯვებისთვის 100 000 დოლარი დაიმსახურა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო 17 რბოლაში, მსოფლიოს უძველესი მარათონი (ის 111-ედ ჩატარდა) კენიელმა მორბენლებმა 15-ჯერ მოიგეს. სამაგიეროდ, ეს რბოლა 1977 წლის შემდეგ ყველაზე ნელი იყო, რაც, რა თქმა უნდა, შტორმულმა ამინდმა განაპირობა - მართალია, წვიმამ სტარტიდან მალევე გადაიღო, მაგრამ სამაგიეროდ, ქარი არ შენელებულა და მისი სიჩქარე ხშირად 80 კმ\სთ-ს აღწევდა.

ქარის მიუხედავად, ჰაერის ტემპერატურა მაინც მოსალოდნელზე მაღალი (10 გრადუსი ცელსიუსით) იყო. რბოლაში კი სულ 23 870 მორბენალი მონაწილეობდა. მონაწილეების გარდა, შესაშური ენთუზიაზმი გამოავლინეს მაყურებლებმა, რომლებიც ქოლგებს შეფარებულები, მაინც გამოვიდნენ ასპარეზობის საცქერლად.

აღსანიშნავია, რომ ბოსტონის მარათონი ამერიკელ მორბენალს 24 წელია არ მოუგია.

ბოლო ამერიკელი, ვინც ბოსტონის მარათონის ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა, **გრეგ მაიერია**. მან რბოლა 1983 წელს მოიგო.

ჩერუიოტმა გადამწყვეტი შეტევა ფინიშამდე 3 კილომეტრით ადრე წამოიწყო. საერთოდ, რეალური მარათონი სწორედ ამ დროს იწყებაო - ყვებოდა ნაფინიშევს. *"როცა ლომი ანტილოპას მისდევს, უკან არ იხედება, რადგან მხოლოდ ერთ რამეზე, ჭამაზე ფიქრობს. ჰოდა, როცა ლიდერი ვარ, მეც უკან გამოხედვას არ ვაპირებ. ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, თუ ვინ მომდევს. მთავარია, წინ ვიყო"*, - განაცხადა კენიელმა.

ანალოგიური სცენარით წარიმართა ქალების ასპარეზობაც. აქ გამარჯვებისთვის სულ სამი მორბენალი იბრძოდა, რომელთაგან ბოლო ათი წუთის განმავლობაში, წინ შარშანდელი ვიცე ჩემპიონი, ლატვიელი **ელენა პროკოპჩუკა** და რუსი **ლიდია გრიგორიევა** დაწინაურდნენ. ბოლოს კი მაინც რუსმა ივარგა და გადამწყვეტი შეტევით, დიდ მანძილზე ჩამოიტოვა მეტოქე. პროკოპჩუკა ამჯერადაც მეორე ადგილს დასჯერდა, მესამეზე კი მექსიკელი **მადაი პერესი** გავიდა.

*"სტარტიდან 35-ე კილომეტრზე ვიგრძენი, რომ მოგება შემეძლო. აღმართი უფრო იოლად გასარბენი გამოდგა, ვიდრე ვფიქრობდი. სწორედ მასზე დავიწყე აჩქარება"*, - განაცხადა ჩემპიონმა.

ამჯერად მხოლოდ მეოთხე შედეგს დასჯერდა ბოსტონის მარათონის შარშანდელი ჩემპიონი, კენიელი **რიტა ჯეპტოო**, რომელმაც უკან მოიტოვა ოლიმპიური ბრინჯაოს პრიზიორი, ბოსტონელი **დიინა კასტორი**, ვინც სტარტამდე ფავორიტთა შორის მოიხსენიებოდა.

*"ამ მარათონისთვის რუსეთში ვემზადებოდი, სადაც ხშირად მიწევდა ასეთივე ამინდში ვარჯიში"*, - განაცხადა გრიგორიევამ, ვისაც ორი წლის წინათ პარიზის მარათონი აქვს მოგებული, შარშან კი ლოს ანჯელესის მარათონის რეკორდი გააუმჯობესა. კენიელის მსგავსად, მოგებისთვის მანაც 100 000 საპრიზო დოლარი მიიღო.



რობერტ ჩერუიოტი

ბოსტონური ასპარეზობის შემდეგ, ჩერუიოტმა, პრაქტიკულად, გაინაღდა გამარჯვება დიდი მარათონების სერიაში, რომლის მოგების შემთხვევაშიც, ჯილდოს სახით ნახევარ მილიონ დოლარს მიიღებს. ქალებში კი ლიდერი პროკოპჩუკაა, ვისაც 55 ქულა დაუგროვდა. ცნობისათვის, დიდი მარათონების სერიაში, ყოველი რბოლის მომგებს 25 ქულა ეძლევა, მეორეადგილოსანი კი 15 ქულას ღებულობს.

დაბოლოს, ერთი უცნაური რეკორდის შესახებ, რომელიც ბოსტონის მარათონზე დაუსწრებლად დაამყარა ამერიკელმა ასტრონავტმა **სანიტა უილიამსმა**. იმ დროს, როდესაც მორბენლებს ბოსტონში სტარტი მიეცათ, სუნიტამ სტარტი კოსმოსში, საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე, სპეციალურ ტრენაჟორზე აიღო. სანამ ტრენაჟორის მოწყობილობა მარათონული დისტანციის გავლას დააფიქსირებდა, სადგურთან ერთად, უილიამსმა ჩვენს პლანეტას ორჯერ შემოუფრინა. მისი საშუალო სიჩქარე საათში 13 კილომეტრი იყო. ამავდროულად, მისი ფრენის სიჩქარე წამში 8 კილომეტრს აღწევდა.

ოფიციალური მონაცემებით, კოსმოსურ სადგურზე სანიტას დისტანციის (42.164 კილომეტრი) "გასარბენად" ოთხი საათი, 23 წუთი და 46 წამი დასჭირდა. სხვათა შორის, ხმელეთზე იმავე დისტანციას ის სამსაათნახევარში დარბის. და კიდევ, იმ დროს, როდესაც ბოსტონში მორბენლებს ხელს ძლიერი ქარი და წვიმა უშლიდა, სანიტას კაბინაში ტემპერატურა 23.8 გრადუსის ფარგლებში იყო.

მერაბ ლორთქიფანიძე

**კაცები**

1. რობერტ ჩერუიოტი (კენია) 2:14:13; 2. ჯეიმს კვამბაი (კენია) 2:14:33; 3. სტივენ კიოგორა (კენია) 2:14:47; 4. ჯეიმს კოსგეი (კენია) 2:15:05; 5. ტეფეი ვოდაიო (ეთიოპია) 2:15:06; 6. ბენჯამინ ამიო (კენია) 2:16:04; 7. რუჯერო პერტილე (იტალია) 2:16:08; 8. პიტერ გილმორი (აშშ) 2:16:41...

**ქალები**

1. ლიდია გრიგორიევა (რუსეთი) 2:29:18; 2. ელენა პროკოპჩუკა (ლატვია) 2:29:58; 3. მადაი პერესი (მექსიკა) 2:30:16; 4. რიტა ჯეპტოო (კენია) 2:33:08; 5. დიინა კასტორი (აშშ) 2:35:09; 6. რობე ტოლა გუტა (ეთიოპია) 2:36:29; 7. ლიუბოვ დენისოვა (რუსეთი) 2:38:00; 8. ელის ჩელანგატი (კენია) 2:38:07...



სანიტა უილიამსი კოსმოსურ სადგურში ასპარეზობისას

ცურვა

## ბრაზილიამ ოლიმპიური ჩემპიონი დაკარგა

ბრაზილიაში, 92 წლის ასაკში გარდაიცვალა პირველი სამხრეთამერიკელი მოცურავე ქალი, რომელმაც ამ კონტინენტს ოლიმპიური ოქროს მედალი მოუტანა. ეს გახლავთ **მარია ემა ჰულდა ლენკი**, ვინც 1932 წელს, ლოს ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედალი მოიპოვა.

92 წლის მოცურავეს გულის შეტევა რიო დე ჟანეიროს ერთ-ერთ აუზში ჰქონდა, სადაც ის, რეგულარულად დადიოდა საცურაოდ. ექიმებმა ლენკის გადარჩენა ვერ შეძლეს.

ბრაზილიის ოლიმპიურმა კომიტეტმა პირველი ჩემპიონის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სამდღიანი გლოვა გამოაცხადა.

ჩოგბურთი

## ფედერერი დევისის თასზე ითამაშებს

მსოფლიო კლასიფიკაციის პირველი ჩოგანი - **როჯერ ფედერერი** დევისის თასზე შვეიცარიის ნაკრებში დაბრუნებას აპირებს. სექტემბერში, ამ გუნდს მსოფლიო ჯგუფში დასარჩენად, ფლეი ოფის მატჩი აქვს გასამართი ჩეხეთის ნაკრების წინააღმდეგ. ეს შეხვედრა ჩეხების მოედანზე გაიმართება.

ბოლო სამი სეზონის განმავლობაში, "დიდი სლემის" ტურნირების 10-გზის გამარჯვებული ყოველთვის უარს ამბობდა მსოფლიო ლიგის პირველი ეტაპის მატჩებში მონაწილეობაზე. ფედერერი უფრო ATP-ის ტურზე გამოსვლებს აქცევდა ყურადღებას. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როცა შვეიცარიას მნიშვნელოვანი მატჩების ჩატარება უწევდა, როჯერი ყოველთვის ბრუნდებოდა ნაკრებში.

# TV სპორტი

**18 აპრილი. ოთხშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი.
14:10 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:10 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
16:55 იტალიის ჩემპიონატი. ასკოლი-მილანი (LIVE).
18:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:20 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:20 პირდაპირი ხაზი.
22:25 იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-რომა (LIVE).
00:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:35 ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. ბარსელონა-ხეტაფე.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:07 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (დ)-ვერდერი.
08:53 სპორტინფორმი.
09:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:00 სპორტინფორმი.
10:12 ჰოკეი. სტენლის თასი. დასავლეთი კონფერენცია. 1/4 ფინალი. სან ხოსე-ნეშვილი. III მატჩი.
11:57 სპორტული ტანვარჯიში. გრან-პრი. მარიბორი. სლოვენია.
14:59 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-სევილია.
16:47 აფროსნობა. ამერიკის თასი.
17:17 გენერაცია 2012.
17:40 ჰოკეი. სტენლის თასი. დასავლეთი კონფერენცია. 1/4 ფინალი. დალასი-ვანკუვერი. IV მატჩი.
19:30 იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-რომა (LIVE).
21:25 სპორტინფორმი.
21:36 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
22:30 იტალიის ჩემპიონატი. პარმა-ფიორენტინა (LIVE).
00:25 ჰოკეი. სტენლის თასი. დღის მიმოხილვა.
00:45 სპორტინფორმი.
00:55 ფეხბურთი. ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. ბარსელონა-ხეტაფე.
02:41 ჰოკეი. სტენლის თასი. დღის მიმოხილვა.
03:00 ჰოკეი. სტენლის თასი. დასავლეთი კონფერენცია. 1/4 ფინალი. ტამპა ბეი-ნიუ ჯერსი. IV მატჩი (LIVE).
05:35 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
06:35 აფროსნობა. ამერიკის თასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**EUROSPORT**

09:30 ექსტრემალური სპორტი.
10:00 მულტისპორტი.
10:30 ჩოგბურთი.
10:45 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 48 კგ. სტრასბური. საფრანგეთი.
11:45 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
12:30 ფეხბურთი. ევრო 2012-ის მასპინძელი ქვეყნის არჩევა. კარდიფი. უელსი (LIVE).
13:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 53 კგ. სტრასბური. საფრანგეთი.
14:00 სნუკერი.
16:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 58 კგ. სტრასბური. საფრანგეთი (LIVE).
17:30 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. უნგრეთის გრან-პრი.
18:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 63 კგ. სტრასბური. საფრანგეთი (LIVE).
20:00 სუმო.
21:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. 62 კგ. სტრასბური. საფრანგეთი (LIVE).
23:00 აფროსნობა.
23:05 მულტისპორტი.
23:10 ცხენოსნობა.
23:15 მულტისპორტი.
23:20 გოლფი. US PGA-ს ტური.
00:20 გოლფი. ევროპის ტური.
00:55 აფროსნობა.
01:00 ექსტრემალური სპორტი.
02:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. 62 კგ. სტრასბური. საფრანგეთი.

**EUROSPORT-2**

08:30 ახალი ამბები.
11:00 ექსტრემალური სპორტი.
13:00 ახალი ამბები.
15:00 რაგბი. მსოფლიო ჩემპიონატი. UNDER 19. ჯგუფური ტურნირი. 1/2 ფინალი. ბელფასტი. ირლანდია.
17:00 ექსტრემალური სპორტი.
19:00 ახალი ამბები.
19:30 სნოუბორდი.
20:30 არმრესტლინგი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 ექსტრემალური სპორტი.
22:30 მულტისპორტი.
23:00 რესტლინგი.
00:30 მულტისპორტი.
01:00 ახალი ამბები.
01:30 ექსტრემალური სპორტი.
02:30 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| არსენალი-მანჩესტერ სითი | 3:1 |
| მანჩესტერი-შეფილდი | 2:0 |
| **ჩემპიონატი** | |
| ბარნლი-ნორვიჩი | 3:0 |
| ლესტერი-ბირმინგემი | 1:2 |
| **კონფერენსი** | |
| ბარტონი-ჰალიფაქსი | 1:0 |
| კიდერმინსტერი-ალდერშოტი | 0:0 |
| სტეფორდი-ნორთვიჩი | 2:0 |
| სტივენეიჯი-რაშდენი | 1:0 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ალბინოლეფე-ლეჩე | 0:0 |
| ბარი-კროტონე | 2:1 |
| ბოლონია-პესკარა | 2:1 |
| ფროსინონე-ტრიესტინა | 2:0 |
| ჯენოა-ვიჩენცა | 2:0 |
| პიაჩენცა-ბრეშია | 1:2 |
| ტრევიზო-ნაპოლი | 0:3 |
| ვერონა-მოდენა | 1:1 |
| იუვენტუსი-რიმინი | 0:0 |
| მანტოვა-არეცო | 1:1 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ემდენი-უნიონი | 2:1 |
| **გერმანიის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| ნიურნბერგი-აინტრახტი | 4:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| გრენობლი-სტრასბური | 1:1 |
| **საფრანგეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| მონაკო-სოშო | 0:0, დ.დ. 0:2 |
| **ბელგიის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| ანდერლეხტი-სტანდარდი | 0:1 |
| **შოტლანდია** | |
| **I დივიზიონი** | |
| კლაიდი-სტ. ჯონსტონი | 0:1 |
| **შვედეთი** | |
| გიოტებორგი-აიკ | 1:2 |
| ერებრუ-ელფსბორგი | 1:1 |
| **ავსტრია** | |
| რაპიდი-მატერსბურგი | 2:2 |
| **შვეიცარია** | |
| სტ. გალენი-ბაზელი | 0:0 |
| **სლოვაკეთის თასი** | |
| არტმედია-მორავცე | 1:0 |
| რუჟომბეროკი II-შენეცი | 0:0 |
| **პოლონეთი** | |
| პლოცკი-ლეგია | 0:3 |
| კორონა-ვიძევი | 3:0 |
| **უნგრეთის თასი** | |
| დიოშდიორი-დებრეცენი | 0:1 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **საბერძნეთი** | |
| არისი-პაოკ | 79:88 |
| **საფრანგეთი** | |
| ბეზანსონი-ლე მანი | 72:84 |
| ბურჟე-გრაველინი | 71:78 |
| ორლეანეზი-ჰავრი | 77:75 |
| პო ორტეზი-ნანსი | 78:89 |
| პსჟ-დიჟონი | 76:78 |
| რეიმსი-სტრასბური | 89:97 |
| რუანი-შოლე | 94:81 |
| ტულონი-შალონი | 82:85 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| მანჰაიმი-ნიურნბერგი | 5:2 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. მონაკო** | |
| ალმაგრო-ბერდიჩი | 0:6, 0:6 |
| გასკე-ვერდასკო | 7:5, 6:7, 7:6 |
| ტ. იოჰანსონი-ბეკერი | 6:7, 2:6 |
| მასუ-ვოლანდრი | 4:6, 7:5, 6:3 |
| ფერერი-სიმონი | 6:3, 6:1 |
| კოლშრაიბერი-პაველი | 6:2, 5:7, 6:4 |
| ჰრბატი-პორტასი | 7:6, 7:5 |
| ფედერერი-სეპი | 7:6, 7:6 |
| მელცერი-როიტმანი | 6:3, 1:6, 4:6 |
| იუჟნი-ლი | 4:6, 3:6 |
| ჟიკელი-გარსია-ლოპესი | 4:6, 6:1, 3:6 |
| საფინი-ვლიეგენი | 6:0, 6:7, 4:6 |

კალათბურთი

## ოთხთა ფინალი მადრიდში

ULEB-ის გადაწყვეტილებით, 2008 წელს, ევროლიგის გათამაშების "ოთხთა ფინალი" ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში გაიმართება. ამ ქალაქის მთავარმა კლუბმა - "რეალმა", წლევანდელ სეზონში ULEB-ის თასი მოიგო, რითაც ავტომატურად მოიპოვა გაისად ევროლიგაზე თამაშის უფლება.

შეგახსენებთ, რომ წელს, ევროლიგის "ოთხთა ფინალი" ათენში გაიმართება. ნახევარფინალური წყვილები ასე გამოიყურება: ცსკა-"უნიკახა" და "პანათინაიკოსი"-"ტაუგრესი". ნახევარფინალები 4 მაისს გაიმართება, ფინალი - 6 მაისს.

აღსანიშნავია, რომ წელს მადრიდი კიდევ ერთ დიდ საკალათბურთო ფორუმს უმასპინძლებს - სექტემბერში, ესპანეთის დედაქალაქში ევროპის ჩემპიონატი გაიმართება.

## შიშკაუსკასი აპრილის MVP გახდა

ამასობაში, ევროლიგის ორგანიზატორებმა აპრილის საუკეთესო კალათბურთელი გამოავლინეს. თვის MVP-ის ტიტული, "პანათინაიკოსის" ლიტველმა ფორვარდმა **რამუნას შიშკაუსკასმა** მოიპოვა.

ევროლიგის მეოთხედფინალურ ეტაპზე, შიშკაუსკასი სამ კატეგორიაში "პაოს" ლიდერი იყო - მარგი ქმედების კოეფიციენტით, შედეგიანობითა და მოხსნების რაოდენობით. გარდა ამისა, მოსკოვის "დინამოსთან" სერიის ორ მატჩში, ლიტველმა რვიდან შვიდი სამქულიანი ჩააგდო.

ჰოკეი

## ამერიკელებმა შემადგენლობა დაასახელეს

ამერიკის ნაკრების გენერალურმა მენეჯერმა **ჯიმ იოჰანსონმა** იმ 18 ჰოკეისტის ვინაობა დაასახელა, რომლებიც მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას. ესენი არიან:

**მეკარეები:** რობერტ ეში ("ფილადელფია"), ჯონ გრემი ("კაროლინა"), კორი შნაიდერი (ბოსტონის კოლეჯი);

**მცველები:** ენდრიუ ალბერტსი ("ბოსტონი"), კიტ ბალარდი ("ფინიქსი"), მეტ გრინი ("ედმონტონი"), ჯეკ ჯონსონი ("ლოს ანჯელესი"), ბრაიან პოტიე ("ვაშინგტონი");

**თავდამსხმელები:** ტაილერ არნასონი ("კოლორადო"), ბრენდონ ბოჩენსკი ("ბოსტონი"), კრის კლარკი ("ვაშინგტონი"), ერიკ კოული ("კაროლინა"), ნათან დევისი (მაიამის უნივერსიტეტი), ფილ კესელი ("ბოსტონი"), ჩედ ლაროუზი ("კაროლინა"), ტობი პიტერსენი ("ედმონტონი"), პოლ შჩასტნი ("კოლორადო"), ლი სტემპნიაკი ("სენტ ლუისი").

*"ჩვენს გუნდში კარგად არიან შერწყმულნი საერთაშორისო გამოცდილების მქონე მოთამაშეები და ახალბედები. საკონსულტაციო ჯგუფმა შესანიშნავი სასელექციო სამუშაო წარმართა და მჯერა, რომ ეს ნაკრები მსოფლიოში საუკეთესო გუნდი გახდება"*, - განაცხადა ჯიმ იოჰანსონმა.

## რუსეთიდან სიომინი გააგდეს

რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ვიაჩესლავ ბიკოვმა**, თავისი გუნდის რიგებიდან გააგდო "ვაშინგტონ კეპიტალზის" ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი **ალექსანდრ სიომინი.** რუსული პრესის ინფორმაციით, ამ გადაწყვეტილების მიზეზი გახდა ის, რომ ფორვარდი დროულად არ გამოცხადდა საწვრთნელ შეკრებაზე.

რუსების რიგებში, ჯერჯერობით, NHL-ის სამი ლეგიონერი ირიცხება - იმავე "ვაშინგტონის" ფორვარდი **ალექსანდრ ოვეჩკინი**, "მონრეალის" მცველი **ანდრეი მარკოვი** და "ლოს ანჯელესის" თავდამსხმელი **ალექსანდრ ფროლოვი**. ეს ტრიო ნაკრებში დროულად გამოცხადდა, განსხვავებით სიომინისგან, რომელმაც ვერც კი დაასაბუთა დაგვიანების მიზეზი.

ნაკრებიდან მოკვეთილმა ფორვარდმა, NHL-ის წლევანდელ რეგულარულში 77 მატჩი გამართა და ლიგის სნაიპერთა დავაში, 38 გოლით მე-13 ადგილი დაიკავა. რუსი ლეგიონერებიდან ის მხოლოდ ოვეჩკინსა (46 გოლი) და **ილია კოვალჩუკს** (42) ჩამორჩა.



ინტერვიუ სერენა უილიამსთან

# მივედი, ვნახე, გავიმარჯვე

## როცა კარგ ფორმაში ვარ, ჩემი დამარცხება შეუძლებელია

**ამ ცოტა ხნის წინათ, ბარსელონაში გამართული "სპორტული ოსკარების" გადაცემის საზეიმო ცერემონიალზე, ლაურეატთა შორის ამერიკელი ჩოგბურთელი სერენა უილიამსიც მოხვდა - მან "წლის დაბრუნების" პრიზი მიიღო. 25 წლის სერენას WTA-ში ტრიუმფალური დაბრუნება ორი დიდი გამარჯვებით აღინიშნა - ავსტრალიის ღია პირველობასა და მაიამის პირველი კატეგორიის ტურნირზე. სხვა ტიტული უმცროს უილიამსს იმ უბრალო მიზეზის გამო არ მიუღია, რომ კორტზე არ გასულა. ის შემდეგი პრინციპით ხელმძღვანელობს - "მივედი, ვნახე, გავიმარჯვე". არადა, მთელი გასული სეზონი, სერენამ ტრავმების გამო თითქმის მთლიანად გამოტოვა. ბევრმა იმაზეც კი დაიწყო საუბარი, რომ ამერიკელის ბრწყინვალე კარიერა დაღმა მიექანებოდა და მალე დასრულდებოდა კიდეც. თითქოს ლოგიკური მსჯელობა იყო - რატომ უნდა მოიკლა თავი ვარჯიშებზე, როცა საბანკო ანგარიშზე 20 მილიონი გაქვს და "დიდი სლემის" ჩემპიონატების რვაგზის გამარჯვებული ხარ?! მაგრამ, სერენამ ამ საუბრებს კორტზე გასვლისთანავე მოუღო ბოლო. იმის შესახებ, თუ რა გეგმებით ცხოვრობს, რა დამოკიდებულება აქვს ტურის სხვა ჩოგბურთელებთან და რითი ერთობა კორტის მიღმა, სერენა უილიამსი თავად მოგვიყვება ინტერვიუში.**



სერენა ამ სეზონში სულ კარგ ხასიათზეა

**- სერენა, გულახდილად გვითხარით, რაში გჭირდებოდათ ტურში დაბრუნება?**

- რომ გითხრათ, ჩოგბურთი ძალიან მიყვარს, ბანალურობაში ჩამომართმევთ? ძალიან მომწონს, თუ რა სტილში დავბრუნდი WTA-ში. მართალია, პირველი ჩოგანი ვერ გავხდი, მაგრამ ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ, მაინც პოდიუმზე აღმოვჩნდი. გავაგრძელებ მძიმე ვარჯიშებს, რადგან გამარჯვებების შემდეგ, მადა მემატება ხოლმე. მაყურებელმაც კარგად მიმიღო, ბევრი გულშემატკივარი მყავს. ესეც დამატებითი მოტივაციაა. არ მინდა, ჩემს ფანებს იმედი გავუცრუო.

**- ტურში ერთ-ერთი ყველაზე შეუპოვარ მებრძოლად ითვლებით. როგორ ახერხებთ თითქოსდა უიმედოდ წაგებული მატჩებისას, დამატებითი ძალების მობილიზებას და საბოლოო ჯამში, გამარჯვების მოპოვებას?**

- როგორც წესი, საკუთარ თავს ვეუბნები: "მშვიდად, ეს ჯერ კიდევ არ არის დასასრული. შენ შეგიძლია უკეთესად თამაში". საერთოდ, მშიშარა გოგო არ ვარ. ხშირად, როცა არ ვიცი როგორ მოვიქცე, ჩემი სხეულის რაღაც ნაწილი მაინც აგრძელებს ბრძოლასა და წინააღმდეგობის გაწევას. ვფიქრობ, ეს გრძნობა ყველა ჩემპიონისთვის ნაცნობია. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, საკუთარი ემოციების გაკონტროლება. ეს არც ისე ადვილია და ყოველთვის არ გამოგდის. ვისწავლე საკუთარი თავის ხელში აყვანა. "უბრალოდ, შენ ეს უნდა გააკეთო", - მივმართავ ხოლმე ჩემს თავს და ვერ ვიტან, როცა ის მეწინააღმდეგება.

**- ბევრი აღნიშნავს, არაქალური სიმტკიცე გაგაჩნიათ.**

- რატომ არაქალური? ჩემი აზრით, მტკიცე ხასიათი აქვს ყველას, ვინც ამ ცხოვრებაში რაღაცას მიაღწია. და აქ მარტო ჩოგბურთში არ არის საქმე. უნდა შეგეძლოს წინააღმდეგობა გაუწიო გარემოებებს, პატიოსანი უნდა იყო საკუთარ თავთან. თუ შენ შეგიძლია ყოველდღიურ ცხოვრებაში ზედაპირზე ამოყვინთო, მაშინ კორტზე ბრძოლასაც მოახერხებ.

**- თქვენს ძირითად კონკურენტებსაც არ დაეწუნებათ ხასიათის სიმტკიცე. ამასთან დაკავშირებით, თურმე კამათიც კი გქონდათ ჟუსტინ ანენთან.**

- ჟუსტინი - ძალიან რთული მეტოქეა. როცა მაიამის ტურნირის ფინალში ერთმანეთს შევხვდით, ცხადად ჩანდა, რომ ის განსაკუთრებულად ემზადებოდა ამ მატჩისთვის და ისეთი გეგმა აირჩია, რომ თავიდან შოკში ჩამაგდო. გასახდელში, რა თქმა უნდა, განცალკევებით ვართ ხოლმე, მაგრამ ხანდახან ცალკეულ ფრაზებს ვესვრით ერთმანეთს: "როგორ ხარ? თავს როგორ გრძნობ?" ერთმანეთს არ ვკბენთ, მაგრამ ჩოგბურთში ასეთი რამეებიც ხდება ხოლმე. პირადად მე, პატიოსანი თამაშის მომხრე ვარ. ასე იყო ყოველთვის. კორტზე იმისთვის გავდივართ, რომ ერთმანეთს შევეჯიბროთ, ბოლოს და ბოლოს, ჩოგბურთი ხომ მხოლოდ თამაშია! არ შეიძლება ყველაფერი ძალიან სერიოზულად აღიქვა. რაც შეეხება ჟუსტინს, ვფიქრობ, ის აღფრთოვანებულია ჩემი დაბრუნებით.

**- ვერ ვიტყვი, რომ მარია შარაპოვაც იგივეს ფიქრობს...**

- ავსტრალიის ღია პირველობის ფინალის შემდეგ, სადაც მან ძალიან ცუდად ითამაშა, მარია დიდხანს საუბრობდა იმაზე, რომ თამაშში შესვლა ვერ შეძლო. ჩემი აზრით, აქ სულ სხვა რამესთან გვაქვს საქმე. უბრალოდ, როცა კარგ ფორმაში ვარ, მე ვერავინ დამამარცხებს. შარაპოვას თამაშს გასაღები ვუპოვნე, მან ჩემსას - ვერა. მე და მარია ბევრ რამეში ვგავართ ერთმანეთს - გვეზიზღება წაგება, მზად ვართ დაცემამდე ვივარჯიშოთ... შეიძლება, ამ მსგავსებების გამო, ჩვენი მეტოქეობა ამიტომაც არის ასეთი ინტენსიური.

**- ბოლო ორ შეხვედრაში - ავსტრალიის ღია პირველობასა და მაიამიში შარაპოვას სასტიკად გაუსწორდით!**

- მთელი მატჩის განმავლობაში მობილიზებული უნდა იყო, რადგან მარია - მებრძოლია და არასოდეს ნებდება. და თუ კონცენტრაციას ვინარჩუნებ, გამარჯვება მე მრჩება ხოლმე. მაგრამ, ყოველთვის ასე არ იქნება. ყოველი მომდევნო მატჩი - განსაკუთრებულია. ჩვენ შესანიშნავად გვესმის, რომ კარიერის ბოლომდე, ყოველთვის განსაკუთრებულად მოვემზადებით ერთმანეთთან შესახვედრად.

**- საუბრობდნენ იმაზე, რომ დიდი სამსახური გაგიწიათ ჩოგნის ახალმა მოდელმა, რომლითაც სეზონი, ავსტრალიაში ტრიუმფით დაიწყეთ.**

- K Factor-ის ჩოგანზე გადავედი, ისევე, როგორც ფედერერი. ამით საშუალება მაქვს, უფრო მეტი ძალა ჩავდო დარტყმაში და თანაც სიზუსტე ვაკონტროლო. ამ ცვლილებამ დიდი სამსახური გამიწია.

**- სხვათა შორის, რა აზრის ხართ თანამედროვე ჩოგბურთში როჯერ ფედერერის ბატონობაზე?**

- ის ძალიან ბევრს მუშაობს იმისთვის, რომ რეიტინგის უმაღლესი საფეხური შეინარჩუნოს და თავისი მაგალითით, ბევრისთვის შთაგონების წყაროდ რჩება. მაგრამ, სჯობს ნაკლებად მომბაძოთ მე - ადამიანს, რომლისთვისაც მთავარია, ტრავმა არ მიიღოს. მკვეთრად შევცვალე ვარჯიშის სტილი: ხშირად მივმართავ იოგას, რადგან ეს ძალიან მომწონს, სტრეტჩინგს, რათა უფრო მოქნილი ვიყო. უფრო მეტსაც დავრბივარ - კორტზე უკეთ მოძრაობისთვის.

**- თქვენთვის მნიშვნელოვანია, რას ფიქრობს ხალხი სერენას შესახებ?**

- მინდა, რომ მათ ასე იფიქრონ: "ის ყოველთვის პოზიტიურად არის განწყობილი, ძალიან პროფესიონალურია და საერთოდ, შესანიშნავი სპორტსმენია". ყოველგვარი მოკრძალების გარეშე ვიტყვი: ყველაფერ ამასთან ერთად, კორტის მიღმაც კარგი ადამიანი ვარ. ჩემი აზრით, ეს ყველაზე მნიშვნელოვანია.

**- WTA-ს ახალი წესების თანახმად, 2009 წლიდან მოყოლებული, წამყვანი ათეულის ჩოგბურთელებმა აუცილებლად უნდა ითამაშონ ოთხ ტურნირში. ორგანიზატორები ტოპ-მოთამაშეების არანაირ მიზეზს არ გაითვალისწინებენ და უთამაშებლობის შემთხვევაში, სერიოზულ ჯარიმებს დააწესებენ. ამ აუცილებელ ტურნირთა ნუსხაში მოხვდა ინდიან უელსი, რომელსაც თქვენ და ვენუსი დიდად არ სწყალობთ. როგორ აპირებთ ამ პრობლემის მოგვარებას?**

- არ ვიცი. ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ არ მისაუბრია ლარი სკოტთან (WTA Tour-ის აღმასრულებელი დირექტორი - რედ.). მაგრამ ვიმეორებ, რაც არ უნდა მოხდეს, ინდიან უელსში ჩემი თამაშის შანსი თითქმის ნულის ტოლია. იქ ჩასვლა არ მაინტერესებს.

**- მაშინ სად ისურვებდით ჩასვლას? აუცილებელი არ არის, მხოლოდ სპორტულ საქმეებზე.**

- ძალიან მომწონს ისრაელი. გამიგია, რომ იქაურობა არაჩვეულებრივად ლამაზია. მინდა იერუსალიმი და ის ძველი ქალაქები მოვინახულო, რომლებზეც ბიბლიაში ვკითხულობ. ვფიქრობ, სასარგებლოა ძველ დროში გადასვლა და ისტორიის გავლენის შეგრძნება. ეს ყველაფერი გეხმარება, სხვაგვარად შეხედო თანამედროვე ცხოვრებას.

**- ასეთი ემოციების შემდეგ, ალბათ, რამე სასარგებლოს გაკეთების სურვილი გიჩნდებათ?**

- მაქვს იდეა, სენეგალში საკუთარი სკოლა გავხსნა. ბევრ აფრიკელ ბავშვს სწავლის ფული არ აქვს და სკოლის გახსნით, მათ იმედს ვაჩუქებ. თუ იქ ერთი ბავშვი მაინც ისწავლის, ეს შეამცირებს ჩემს ვალს საკუთარი მშობლების წინაშე.

### ტურნირები

**ATP**

**მონაკოს მასტერსი**

მონტე კარლო. თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 2 082 500 დოლარი

**I წრე**

**დავიდ ნალბანდიანი (არგ, 9)**-ფედერიკო ლუცი (იტა) 3:6, 6:2, 6:1; **მიხაილ იუჟნი (რუს, 13)**-კარლოს მოია (ესპ) 6:2, 3:1 მოიას უარი; **მაქსი მირნი (ბლრ)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 14) 7:5, 6:4; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 16)**-ტიმ ჰენმანი (ბრიტ) 7:5, 6:2; **რობინ სიოდერლინგი (შვედ)**-ოლივიე როხუსი (ბელ) 6:4, 6:4; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ)**-გაელ მონფილსი (საფ) 6:2, 2:0 მონფილსის უარი; **მარკ ჟიკელი (საფ)**-ფლორიან მაიერი (გერ) 7:5, 5:7, 7:5; **კრისტოფ ვილეგენი (ბელ)**-პოლ ანრი მატიო (საფ) 7:5, 6:3; **გასტონ გაუდიო (არგ)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს) 5:7, 6:2, 6:2; **ანდრეას სეპი (იტა)**-თეიმურაზ გაბაშვილი (რუს) 6:1, 6:3; **იგორ ანდრეევი (რუს)**-ხოსე აკასუსო (არგ) 6:4, 6:1; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ)**-მარტინ ფერკერკი (ჰოლ) 7:5, 6:2.


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოგა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმჯარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი



მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru



ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა